

7. Газета № 1

ԱՎԱՐԱՆՈՒ ՀԱՄԱՅՆՈՒ

ԿԱՎԱՅՏՍԿԻЙ ГОРОДЪ

ՑԱԼՈ ԵԹԱԽՈՍԱ 10 ՑԱԲ.

Цѣна номера 10 руб.

№ 5—6.

ԹՁՈՇՈՒԽ
ТИФЛИСЪ

15 ԱՅՆՈՎՈ 1919 թ.
ապրիլի



ಕ್ರಿಸ್ತರೂಪಾಂಶು

კავკასიის ქალაქი

ორკირეული გამოცემა ოფიციალურობათა კითხვების შესახებ.

რედაქციის აღრესი: თბილისი, სომხის ბაზარი, № 6.
ქალაქთა კავშირი, ტელეფ. 7-31.

ხელის მდგრადის პირობანი: ერთი წლით—60 მან., ექვსი თვით—35 მან.,
სამი თვით—15 მ., ერთი ნომერი თბილისში—3 მ. სხვა ქალაქებში—3 მ. 50 კ.
მისამართის გამოყლა—50 კ. განცხადებების ფასი: პეტიტის სტრიქონი ტექს-
ტის ბოლოში—1 მ. 50 კ. კინც ქალაქთა ოფიციალურობებში აღაგს ექვება
მათ გადახდებათ ნახევარი.

„Кавказский Городъ“

Органъ Главнаго Комитета Союза Городовъ Республики Грузіи.

Двухнедѣльное изданіе по вопросамъ муниципальной жизни.

Адресъ редакціи и Конторы: Тифлісъ, Армянскій Базаръ, 6.
Союзъ Городовъ. Телефонъ 7-31.

Условія подписки: на 1 годъ—60 руб., на 6 мѣсяц.—35 руб., на
3 мѣсяц.—15 руб. За перемѣну адреса—50 коп. Цѣна отдельного номера:
въ Тифлісѣ—3 руб., въ другихъ городахъ 3 руб. 50 коп. Плата за объ-
явленія: за строку письма позади текста—1 руб. 50 коп. Для лицъ, ищущихъ труда въ городскихъ Управленияхъ, въ половинномъ размѣрѣ.

При сношенихъ съ редакціей просить прилагать свой точный адресъ. Пріемъ
редакторомъ, ежедневно, кроме праздниковъ, отъ 1 до 3 ч. дни.

III

323326006

ЕЖЕДНЯК

САХАРНОВЪЛІСЬ РУСЬОВЪЛІСЬ ҃АЛІАГІСА ҃АВІЛІРІСЬ ҃АСАГАРІ С ҃АМІЛІУЕУІСЬ

— 26256 —


АРГІВАРГІСІДІ ҃АМІЧЕМІ ҃АГАТДАРГІСІДІ ҃АСІДІСІДІ ҃АСІДІСІДІ.

6 109

КАВКАЗСКІЙ ГОРОДЪ

Органъ Главнаго Комитета Союза Городовъ Республики Грузіи.

Двухнедѣльное изданіе по вопросамъ муниципальной жизни.



№ 5—6.

ФЕВРАЛЬ
2000000

15 АРГІПІО, 1919



გ ი ნ ა პ რ ს ი:

საქართველოს ჩეხპუბ. ქალაქთა წარმომადგენელების მასალები.
ძართული:

- 1) საქართველოს ოქანუბლიერი ქალაქთა წარმომადგენელების მეორე კრი-
ლობის ოქმი.
- 2) მთავარ კომიტეტის თავმჯდომარის ნ. ზ. ელიაზას მოხსენება.
- 3) ქალ. კავშირის საექიმო-სასანიტარო განყოფ. მოხსენება — ანგარიში.
- 4) სახალხო განათლების განყოფილების გამგის მოხსენება ქალ. წარმომად-
გენელების კრილობაზე.
- 5) ქრონიკა { ქალაქთა თვითმართველობებში,
ერობათა თვითმართველობებში.
- 6) „საქალაქო დებულების“ პროექტის განსამარტებელი წერილი.
- 7) საქალაქო დებულების კანონ-პროექტი.

რ უ ს უ ლ ი ღ :

რუსულ განყოფილებაში მოთავსებულია მოხსენებანი შესახებ ქალაქ-
თა საბიუჯეტო უფლებისა, კოლექტური ხელშეკრულებისა, სამეურნეო
განყოფილებისა, ტეხნიკურ. გან. მოღვაწეობისა და საანგარიშო განყოფ.

С о д е р ж а н і ё:

Материалы II-го Съезда представителей Город. Республики Грузії.

На грузинскомъ:

Протоколъ II съезда Городовъ Республики Грузії.

Докладъ Предсѣд. Главнаго Комитета Н. З. Эліава.

Докладъ и отчетъ Медико-Санит. Отдѣла.

Докладъ Завѣдыв. отдѣломъ народнаго образованія.

Объяснительная записка къ Законопр. Гор. Пол.

Законопроектъ Городового Положенія.

Хроника.

На русскомъ:

А. Бритнева. Второй съездъ Союза Городовъ Республ. Грузіи.

Докладъ комиссии при юридическомъ отдѣлѣ Главнаго Комитета. Объяс-
нительная записка къ проекту Городового положенія.

М. Смирновъ. Бюджетное право городовъ. Тезисы къ докладу.

Е. Маддисонъ. Коллективный договоръ

Н. Фалилкевъ. Докладъ хозяйственного отдѣла. Деятельность соединен-
ной комиссии по снабженію хлѣбомъ городского населения.

В. Лукасевичъ. Центральный В. Цедринскій. Цидубійскій

складъ С. Любавскій. Починочный подотдѣлъ Г. Гаракалидзе.

Цидубійская мельница Ихс. Звържанская. Центральная

хлѣбопекария Д. Мекавишвили. Протоколъ частнаго со-
вѣщанія по хозяйственнымъ вопросамъ.

П. Зурабянцъ. Докладъ о дѣятельности отдѣла техническаго и предпріятій.

А. Саксаганскій. Балансъ на 1-ое августа 1918 г. Балансъ на 1-ое января

1919 г. (операционный). Общая вѣдомость товаровъ, отпу-
щенныхъ городамъ.

Свѣдѣнія обѣ отцуѣскѣ антекарскихъ

матер. и медикам. Списокъ городовъ, за коими числятся

долги. Членскіе взносы городоцъ.

Хроника.

Приложение. Проектъ Городовою Положеніемъ.

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენელების მეორე
ყრილობის ოქმი.

ყრილობაზე გამოცხადდენ შემდეგი დელეგატები: თბილისიდან—კო-
ნიევი, ჯაჭანაშვილი, გვაზავა; ქუთაისიდან—კალანდარაშვილი; ცეირილი-
დან—ბუჩაძე; თელავიდან—იმნაძე; ოზურგეთიდან—მურვანიძე; ხონიდან ჭავ-
ჭანიძე; ბორჯომიდან—კანდელაკი; ფოთიდან—კორძაია; სენაკიდან—ლორ-
თქიფანიძე; ხაშურიდან—სიხარულიძე; სურამიდან—ხილიჩბეგიშვილი; ოჩეტ-
ჩირედან—ეორეოლიანი; გორიდან—ჯაფარიძე; კოჯორიდან—ხოსროევი;
ლანჩხუთიდან—შარაშენიძე; სიღნალიდან—გოცირიძე.

ყრილობის შემდეგ სხდომებს მოემატენ შემდეგი დელეგატები: სამ-
ტრედიიდან—მიქელაძე; ლუშეთიდან—ინაშვილი; ჭიათურიდან—მოდებაძე;
სიღნალიდან—ტყავაძე; თელავიდან—ანდრონიკაშვილი და გორიდან—გაგუა.

ამას გარდა ყრილობას დაესწრენ მთავარი კომიტეტის და აღმასრუ-
ლებელ ბიუროს წევრნი.

კველა დელეგატების მანდატები, რომლებიც წარმოდგენილი იყო
პრეზიდიუმში, უკანასკნელის მიერ დადასტურებულია.

შანდატები სრულიად არ წარმოუდგენიათ: თბილისის დელეგატებს:
კონიევს, ჯაჭანაშვილს, გვაზავას (წარმოდგენილია ამონაწერი ოქმიდან, რომ
ეს პირები არჩეული არიან ყრილობის მიერ); ლანჩხუთისას—შარაშენიძეს,
სიღნალისას—ტყავაძეს.

დანარჩენი დელეგატები სითანადო მანდატებით არიან აღჭურვილნი.

ყრილობის პირველი დღე.

16 მარტი.

ყრილობაზე გამოცხადდენ 16 დელეგატი. და: კავშირის მთავარ კო-
მიტეტის და აღმასრულებელი ბიუროს წევრნი.

კრება შესდგა თბილისის ქალ. საბჭოს დარბაზში, 12 საათ. და 40 წ.

კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ნ. ელიავა აცხადებს, რომ დებულე-
ბის სალით, ვინაიდან გამოცხადდა ნახევარზე მეტი დელეგატი, ყრილობა
კანონიერია და წინადადებას იძლევა ყრილობის გახსნისას; წინადადებას
კრება იღებს და ირჩევს ყრილობის პრეზიდიუმს 3 კაცისაგან.

თავმჯდომარეთ ბ. დ. კალანდარაშვილი, მის ამხანგად ბ. კანდელაკი
და მდივნალ ა. პაპავა.

ბ. ელიავას წინადადებით ყრილობა ესალმება საქართველოს დამ-
ფუძნებელ კრებას, მთავრობებს თავმჯდომარეს ბ. ნ. ეორდანიას, და
საერთობო ცენტრს.

ყრილობა ანდობს პრეზიდიუმს შესაფერისი ტექსტის შედგნას და გაგზავნას.

საერობო ცენტრის წარმომადგენელი ესალმება ყრილობას, უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას და გამოსთქვამს სურვილს, რომ ამ ძმებმა ქალაქებმა და ერობებმა შეთანხმებულის მუშაობით და მჭიდრო კავშირით სათანადო დახმარება გაუწიოს ნორჩ რესპუბლიკის აღმშენებლობას და ჩვენ დემოკრატიას.

თავმჯდომარე კალანდარაშვილი კრების სახელით მადლობას უძლვნის ტრობათა წარმომადგენლებს.

თავმჯდომარე წინადადებას იძლევა მანდატების გასინჯვის. უფლება მიერთოს პრეზიდიუმს, რასაც კრება აღასტურებს. ამის შემდეგ აცხადებს ყრილობის წეს-რიგს.

ბ. რობაქიძეს წინადადება შემოაქვს ამ წეს-რიგს დაერთოს კიდევ ერთი საკითხი: მიწის რეფორმა ქალაქებში, რამდენადაც ეს დაკავშირებულია აგრძარულ რეფორმასთან და რამდენადაც ყრილობის აზრი საინტერესოა მიწად-მოქმედების სამინისტროსათვის. ყრილობა წინადადებას იღებს.

ბ. შარაშენიძეს წინადადება შემოაქვს — დაისეს საკითხი სარევიზიო კომისიის მოხსენების და ონსტრუქციის განხილვისა. ყრილობა წინადადებას იღებს.

ბ. გვაზავას შემოაქვს წინადადება — პირველ რიგში შევიტანოთ საკითხი კავშირის არსებობის შესახებ. საზოგადოთ ორატორს ასეთი კავშირი ანახრონიზმად მიაჩნია და უზითებს, ევროპის პრაქტიკაზე, საცა ასეთ კავშირს ადგილი არა აქვს.

თავმჯდომარეს შემოაქვს წინადადება ეს საკითხი დაუკავშიროთ პროგრამის მე-5 მუხლს, საცა ერობის და ქალაქის ცენტრების ურთიერობაზეა ლაპარაკი:

ბ. ჯაფარიძე ითხოვს, ეს საკითხი სავსებით მოიხსნას, რადგან იგი შესწავლას და მასალების დამზადებას ითხოვს, ყრილობას ამის დრო არა აქვს, თანაც დელეგატებს საამისო დირექტივები არ მიუღიათ ამრჩეველთაგან. ეს წინადადება მიღებულია 11 ხმით.

ბ. ელია გას წინადადებით ყრილობა საბოლოოდ არ ნიშნავს განსაზღვრულ საათებს სამუშაოდ, არამედ ყოველი კრება ნიშნავს შემდეგი საზღვრომის დროს და ადგილს.

თავმჯდომარე იძლევა შეკითხვას — არის თუ არა მზად მოხსენება საკევიზო კომისიისა, რომ ყრილობა მას წინასწარ გაეცნოს.

ბ. ელიავა განმარტავს, რომ ეს მოხსენება ჯერ უნდა განიხილოს აღმასრულებელმა ბიურომ სათანადო განმარტებისათვის და შემდეგ უნდა დაურიგდეს ყრილობის წევრთ. წინადადება მიღებულია.

დღიური წეს-რიგი შემდეგია:

1. მთავარი კომიტეტის განყოფილებათა მოხსენებანი;
2. მოხსენება ადგილებიდან საქალაქო საბჭოების არჩევნების შესახებ;
3. ქალაქების საბიუჯეტო უფლება.
4. საქალაქო დებულება.
5. ერობათა და ქალაქთა ურთი-ერთობა.
6. მიწის საკითხი ქალაქებში.
7. სარევიზიო კომისიის ინსტრუქციის და მოხსენების განხილვა;
8. არჩევნები მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიისა.

იწყება მოხსენებანი. ადგილებიდან საბჭოების, გამგეობის და პრეზიდიუმის შემაღენლობის და არჩევნების შესახებ. (იხ. ცალკე ფურცელი დამატება № 1.)

ამ მოხსენების შემდეგ სიტყვა ეძლევა კავშირის კომიტეტის თავ-მჯდომარეს ბ. ელიავას—კომიტეტის და აღმასრულებელი ბიუროს საერთო მუშაობის შესახებ, ხოლო დაწერილებით ამ მუშაობას ყრილობას გააცნობენ განყოფილებათა წარმომაღენელნი—წევრნი აღმასრულებელი კომიტეტისა.

ქალაქთა კავშირის თავმჯდომარის ნ. ელიავას. მოხსენება: (იხილეთ მთლიანი მოხსენება ქვეით).

შეკითხვების შესახებ ბ. გვაზავას შემოაქვს წინადაღება, განყოფილებათა კერძო მოხსენების შემდეგ იქნას დასმული შეკითხვები. წინადაღება მიღებულია.

შემდეგი სხდომა დანიშნულია საღამოს 7 საათზე:

ყრილობის პირველი დღე — საღამოს სხდომა.

ყრილობა გაიხსნა საღამოს 8 საათზე.

თავმჯდომარეობს ბ. კალარაშვილი, მდივანი აკ.. 3 ა 3 ა ვ ა.

იწყება მოხსენებანი განყოფილებათა წარმომაღენლებისა.

პირველ მოხსენებას აკეთებს კავშირის საექიმო-სასანიტარო ნაწილის გამგე ბ. კიკალიშვილი. (მოხსენება იხილეთ ქვევით).

კერძო შეკითხვების შემდეგ, რომლებსაც პასუხი გასცა ბ. მომხსენებელმა, იწყება საერთო ხასიათის კამათი, რომელშიაც გზა და გზა აღნიშნული იქმნა, რომ დღეს განყოფილება უფრო საღსა და ვარკვეულ ნიადაგზე დამდგარა, რომ მშენალ თეორეტიულ დებულებათაგან, იგი უკვე გადასულა პრაკტიკულ საქმიანობაზე.

ფოთის წარმომაღენელი ბ. კორძაია სასურველად აღიარებს; რომ ცენტრს უფრო მჭიდრო კავშირი ქონდეს ადგილობრივ სამუნიციპალო ერთეულთან. სამკურნალო საქმეებში, საჭიროა აქედან იგზავნებოდეს საქმის.

მცოდნე სპეციალისტი ექიმი; რათა აპარატი აღგილობრივ რიგიანად მომართოს და შემდეგ მას აღგილობრივი ძალებიც გაუძლვებიან.

ხონის წარმომადგენელი ჭავჭავანიძე აღნიშნავს, რომ აუცილებლად საჭიროა მომავალშიაც განყოფილებას სათავეში უდგეს მხოლოდ სპეციალისტი—ექიმი, რადგან პრაკტიკაში ნათლად დამტკიცა არა სპეციალისტის ყოლა ზედმეტ ხარჯებს იწვევს და საქმესაც ართულებს.

თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ საჭიროა წამლების განაწილებას საფუძვლად დაედგას განსაზღვრული სისტემა. მედიკამენტები უნდა ეძლეოდეს მარტო ქალაქებს და არავითარ შემთხვევაში სხვა და სხვა ტიპის საზოგადოებრივ დაწესებულებებს დღეიდან მაინც, რადგან ედიკამეტების რაოდენობა მეტად განსაზღვრულია და არც იმედია ახლო მომავალში მათი შეძენის და მოტანისა.

ბორჯომის წარმომადგენელი ბ. კანდელაკი აღნიშნავს, რომ დღეს განსაკუთრებულ პირობათა გამო საქართველოს მრავალი ქალაქები უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან სხვა და სხვა სახის ეპიდემის გავრცელების გამო. კერძოდ თბილისი აუტანელ მდგომარეობაშია. პროვინციებში მაღარია საშინალად მოდებულია, ამიტომ სათანადო დახმარების გარდა, განსაკუთრებული ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ ავათმყოფობა უფრო არა გავრცელდეს. დაყონება შეუძლებელია.

ლანჩხუთის წარმომადგენელი ბ. შარაშენიძე აღნიშნავს; რომ საჭიროა დაუყონებლივ იქნას მიღებული ზომები მედიკამენტების. შესაძენად და მოსატანად და აგრეთვე გაიხსნას განსაკუთრებული კურსები, სადაც მომზადებიან სპეციალისტები—ექიმი—სანიტარები.

თბილისის წარმომადგენელი ბ. კანდელაკი აღნიშნავს, რომ შემდეგ შემოდის ზოგი პრაკტიკული ხასიათის წინადადება.

ქ. თბილისის წარმომადგენილი ა. ჯაჯანიშვილი აღნიშნავს, რომ კათეგორიულ ხასიათის დადგენილებათა გამოტანა არაა საჭირო, რადგან მოხსენებიდან სხანდა, რომ საამისო ზომები უკვე მიღებული იყო აღმასრულებელ ბიუროს მიერ. საკმარისია კრებამ სახელმძღვანელო სურვილები გამოსთქვას. წინადადება მიღებულია, რის შემდეგ კრება გამოსთქვამს სურვილს.

I. მიღებულ იქნას სათანადო ზომები მედიკამენტების შესაძენად და მოსატანად, რაც შეიძლება დაჩქარებით.

II. მედიკამენტები განაწილდეს ქალაქთა შორის და საზოგადოებრივ დაწესებულებებს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში მიეცეთ განსაზღვრული რიცხვი წამლებისა.

ამის შემდეგ საწყობთა გამგე ცხომელიძე იძლევა მთელ რიგს პრაქტიკულ ხასიათის წინადადებებს მედიკამენტების შეძენის შესახებ.

ყრილობა ამტკიცებს ბ. კიკალიშვილის მოხსენებას. თავმჯდომარე

აკვეყნებს დამფუძნებელი კრებისა და 6. უორდანისაღმი მიღლოცვის. დეპე-
შების ტექსტს, რომელიც უცვლელად მიღებულია ყრილობისაგან.

შემდეგი სხდომა 17 მარტს დილით 11 საათზე.

სხვომა იხურება.

თავმჯდომარე დ. კალანდარაშვილი მდივანი აკ. პაპავა.

ყრილობის მეორე დღე.

17 მარტის სხდომა.

ყრილობა ისხნება დილის 11 საათზე და 40 წ.

თავმჯდომარეობს ბ. კალანდარაშვილი, მდივანი აკ. პაპაუა.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ყრილობაზე გამოცხადდა კიდევ სამი დელეგატი პროვინციიდან: სამტრედიიდან—ბ. მიქელაძე, ლუშეთიძან—ბ. ინაშვილი და ჭიათურიძან—ბ. მოდებაძე.

ამის შემდეგ, სიტყვა მოხსენებისათვის, კომიტეტის სამეურნეო ნაწილის მუშაობის და მისი მომავალი გეგმის შესახებ, ეძღვა აღმასრულებელი ბიუროს წევრს, სამ. ნაწილის გამგეს ბ. ფალილივას.

(მოხსენება დასტამბულით (კალკი*):

მოხსენების შემდეგ დელეგატები იძლევიან სხვა. და სხვა ხასიათის შეკითხებს, რომელთაც უპასუხებან მოხსენებილი.

არსებითად მსჯელობის ღროს გორის წარმომადგენელი ბ. ჯაფარიძე
გამოსთქვამს სურვილს, რომ საქონლების მისალებად, ყოველ კერძო შემ-
თხვევების გარდა, არ იყოს საჭირო მაინცა და მაინც ჩამოსულა თბილისში
და ჟელეტი ხარჯების გაწევა. საჭიროა შემუშავებულ იქნას განსაზღრული
სისტემა საქონლის დანაწილებისა პროვინციებისათვის და, ამისდა მიხედ-
ვით, ცენტრი ადგილობრივ გზავნიდეს ამ საქონელს. ამას გარდა, საჭიროა
იყოს ნამდვილი ნუსხა განსაზღრულ რიცხვებისათვის, რომ ყოველთვის
საჭირო არ იყოს საწყობების პირადად დათვალიერება და ამნაირად სა-
ქონლის ამორჩევა.

თელავის წარმომადგენელი ბ. იმნაძე აღნიშნავს, რომ საჭიროა ქალა-
ქებს სისტემატიურათ მოღილეთ ცნობა—რა და რა საქონელი აქვთ კავ-
შირს საწყობში და ამას გარდა საჭიროა ქალაქებს ცენტრმა კრედიტი
გაუქსნას საქონლების შესაძენად, ხოლო თუ ქალაქები განსაზღრულ დროზე
ვალს არ გადაიხდიან, კრედიტი მათ დაეხურებათ.

ფოთის ჭარბმადგენელი ბ: კორძაია აღნიშნავს, რომ საჭიროა განცო-
ფილებას სხვა და სხვა საყურადღებო პუნქტებში: ფოთში, ოდესაში, ნოვო-
როსიისკეში ყავდეს თავის მუდმივი აგენტები, რათა შესაძლო იყოს აქვე
საქონლების ან ფულზე შეძენა, ან გადაცვლა, რომ ეს საჭიროელი სპეცუ-
ლიიანტებს არ ჩაუვარდეთ ხელში.

*) იხილეთ რუსულ. განყოფილებაში.

თავმჯდომარე გამოსთქვამს სურვილს, რომ ს ქურიოა სამეურნეო ნაწილს მეტი კავშირი და კონტაქტი ქონდეს ოესპუბლიკის ცენტრალურ სასურსათო საბჭოსთან, რათა ქალაქების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებად მათ შორის წინასწარი შეთანხმება მოხდეს და საქონელი თანაბრად განაწილდეს ქალაქების შორის.

მომხსენებელი ვრცელ პასუხს იძლევა ამ სიტყვებზე.

ყრილობა მოხსენებას ადასტურებს და მასში აღნიშნულ გეგმას იღებს მომავალ მუშაობისათვის სახელმძღვანელოდ.

ყრილობა სურვილს გამოსთქვამს:

I. დელეგატებმა თითონ დაათვალიერონ საწყობები და დაუკვეთონ განყოფილებას, რაც საჭიროა მათი ქალაქებისათვის.

II. მოქანდაკონ სამეურნეო ნაწილის და დელეგატების კერძო თათბირი, მომავალ სამეურნეო ხასიათის ნაბიჯების გასათვალისწინებლად და მოქმედებათა შესათანხმებლად.

თავმჯდომარე წინადადებას იძლევა. არჩეულ იქნას განსაკუთრებული კომისიები, მოხსენებების გასაცნობად და დასამუშავებლად და მათი წარსადგენად ყრილობისათვის შემდეგ საკითხების გამო: საქალაქო დებულება, საფინანსო-საბიუჯეტო უფლება ქალაქთა, ქალაქთა და ერობათა ურთიერთო განწყობილება, მიწის საკითხი ქალაქებში.

შემოდის წინადადება გაერთიანდეს პირველი ორი საკითხი და შემდის 1 კომისიას და ასევე გაერთიანდეს დანარჩენი ორიც. წინადადება მიღებულია: კომისიაში არჩეულია ოთხ-ოთხი პირი.

1. საქალაქო დებულებისა და საბიუჯეტო უფლების კომისიაში არჩეული არიან კალანდარაშვილი, კორქაია, ბუაჩიძე, ჯაფარიძე, მათგან თავი მჯდომარედ ბ. კალანდარაშვილი:

2. ქალაქთა და ერობათა ურთიერთობის და ქალაქებში მიწის საკითხის კომისიაში არჩეული არიან: სიხარულიძე, ჯაჯანაშვილი, გაგუა და იმნაძე. მათგან თავმჯდომარედ ბ. გაგუა.

სხდომა იხურება.

შემდეგი კრება 17-ს საღ. 8 საათზე.

ყრილობის მეორე დღე

17 მარტის სალამოს სხდომა.

კრება გაიხსნა ქალაქთა კავშირის შენობაში სალამოს 8 საათზე,

თავმჯდომარეობს ბ. კალანდარაშვილი, მდივანი ა. პაპუა..

სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგს, სატეხნიკო ნაწილის გამგეს ბ. რუსიას, რომელიც აღნიშნავს, რომ აღმა-სრულებელი ბიუროს წევრის მდივნის შემდეგ მას შეაერთა საწარმოო და სატეხნიკო ნაწილები. ბ. რუსია აღნიშნავს, რომ მისი მოხსენება უფრო

საერთო ხასიათისაა, ხოლო დაწერილებით დელეგატები საქმეს გაეცნობიან, როცა ადგილობრივ დაათვალიერებენ ქარხნებს-საწყობებს, საცა მათ დახვდებათ სპეციალისტები.

მოხსენება ცალკე დასტამბულია.

მოხსენების შემდეგ ბ. რუსია პასუხს იძლევა სხვა. და სხვა შეკითხვებზე:

არსებითად კამათის ღროს გორის წარმომადგენელი ბ. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ განყოფილებას ახალი არაფერი შეუქმნია, მან განაგრძო იმის თვერაციები, რაც მიიღო მეკვიდრეობით. გარდა ამისა დამზადებული საქონელი უმეტესად ქალაქებში არ იგზაურება, არამედ ადგილობრივ საკომისიოდ ეძლევა კერძო ფირმებს და ორატორი სასურველად სცნობს მომავალში ეს საქონელი კრედიტის სახით მიეცეს ქალაქებს.

ლანჩხუთის წარმომადგენელი შარაშენიძე აღნიშნავს, რომ თუ კერძო ფირმებს ეძლევათ საკომისიოდ კრედიტის სახით ეს საქონელი გასანალდებლად, მით უმეტეს უნდა მიეცეს ქალაქებს, რომლებსაც ყველაზე უწინ უნდა ემსახურებოდეს კავშირი,

კვირილის წარმომადგენელი ბ. ბუაჩიძე აღნიშნავს, რომ სატეხნიკო ნაწილს არავითარი კავშირი არა აქვს ადგილობრივ ერთეულებთან და პროვინციაში არც კი იცის რა და რა ხასიათის წარმოება, აქვს კავშირს გამართული. აგრეთვე პროვინციას არ მიდის გეგმები, კერძოდ კვირილის თავის შეკითხვაზე არავითარი პასუხი არ მიუღია.

ფეხსაცემელები, ძალიან ნაკლები ხარისხის გამოდგა და თან ძეირი: ამას გარდა წარმომადგენელი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ სარევიზიო კომისიამ არავითარი მასალა არ მიაწოდა, ყრილობას განყოფილების მუშაობის შესახებ.

ბ. ელიავა იძლევა განმარტებას, რომ ფეხსაცემელების დამზადების ფროს ერთი პარტია მართლაც. დაბალ ხარისხისა გაეპარა განყოფილებას და საჭირო იყო ქალაქებს ასეთი უკან დაებრუნებიათ და ახალი მოეთხოვათ, რაიც დაუყონებლივ იქნებოდა შესრულებული.

სატეხნიკო გამგეობის თანაშემწე განმარტავს, რომ ყვირილამ თუმცა გეგმა მოითხოვა, მაგრამ არ წარმოადგინა სათანადო ცნობები სატეხნიკო ხასიათისა ურომლისოდაც გეგმის შედგენა შეუძლებელი იყო დამატებით ცნობები მოვითხოვეთ კვირილიდან, პასუხი არ მოგვივიდა.

მომხსენებელი ვრცელ პასუხს იძლევა, რის შემდეგ თავმჯდომარებს წინადადება შემოაქვს საერთოდ მოხსენება დამტკიცდეს, ხოლო კონკრეტიული ხასიათის დადგენილებანი გამოტანილ იქნას მას შემდეგ, რაც დელეგატები ადგილობრივ დაათვალიერებენ და გაეცნობიან სატეხნიკო ნაწილის წარმოებას.

წინადადება მიღებულია.

სხდომა იხურება,

ყრილობის მესამე დღე.

18 მარტის სხდომა.

გაიხსნა საღ. 71/2, საათ.

თავმჯდომარეობს ბ. კალანდარაშვილი, მდივანი აკ. პაპავა.

სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა კავშირის განათლების განყოფილების გამგეს აღმასრულებელ ბიუროს წევრს ბ. რობაქიძეს. (იხილეთ მთლიანი მოხსენება ქვევით).

ამ მოხსენების გამო კომიტეტის თავმჯდომარე ელიავა საჭიროდ სთვლის მოახსენოს ყრილობას, რომ რამდენათაც ამ მოხსენებაში წარმოდგენილია ფართო პერსპექტივები, ეს თვით მომხსენებელის აზრია და არა აღმასრულებელი ბიუროსი. ყრილობა დაინახავდა, რომ მომხსენებელი ხან ცენტრალური მთავრობის სფეროში გადადის და ხან ადგილობრივ თვითმართველობათა კომპეტენციაში იჭრება. ბიუროსთვის და კერძოდ ჩემთვის, ამბობს ელიავა, ეხლავე ეს მიუღებელია. ჩვენ უნდა ავირჩიოთ ის შუათანა ხაზი, რომელიც მოგვცემს შეძლებას ქალაქებს დავეხმაროთ და მთავრობას კი არ შეუშალოთ ხელი ამ საქმეში. ასეთი უნდა იყოს ჩვენი ხაზი დღეს, როცა მთავრობაც და თვითმართველობანიც დემოკრატიულ ელემენტების ხელშია. ხოლო თუ პირობები შეიცვალა მაშინ ახალი ხაზის გამონახვასაც შევძლებთ. ბიუროს აზრით, ამ განყოფილებამ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს სახელმძღვანელოების გამოცემას და სამოსწავლო ნივთების მიწოდებას. დაეხმაროს ქალაქების სკოლას გარეშე სწავლების საქმის მოწყობაში და სხ. ასეთები. ამისთვის შეიძლება საქმაო იქნეს ერთი სპეციალისტის ყოლა და ასეთივე საბჭოს მოწვევა როგორიცა გვყავს იურიდიულ და საექიმო განყოფილებებთან.

შეკითხვების შემდეგ, არსებითი კამათში ბ. ჯაჯანაშვილი აღნიშნავს, რომ მომხსენებელს საზოგადო ძალიან ფართო პერსპექტივები დაუსახავს და იგი ამაირად შეიძლება შეიცრეს განათლების სამინისტროს და ადგილობრივ სამუნიციპალო ერთეულობის სფეროში, რაც საქმისთვის, არც საჭიროა და არც სასარგებლო. სამაგიროდ არსებობს მთელი რიგი პრაქტიკულ ღონისძიებათა, რომელიც შეიძლება მიიღოს თავის თავზე კავშირმა. ავეჯის, რვეულების, წიგნების დამზადება და სხვა, მაგრამ ამისთვის საჭირო არაა ცალკე განყოფილების არსებობა, არამედ შესაძლებელია ეს ფუნქციები მივაუთნოთ რომელსამე განყოფილებას.

გორის წარმომადგენელი ბ. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ შეუძლებელია განათლების საქმე, რომელიც სავსებით გადადის თვითმართველობათა ხელში, უყურადღებოთ დასტოვოს ცენტრმა. უკანასკნელი უნდა ეთანხმებოდეს და აკავშირებდეს ერთეულების მოქმედებას და დახმარებასაც უწევდეს მათ. ორატორს სამუშაროდ მიაჩნია; რომ განყოფილებას დღემდე არავი-

თარი პრაქტიკული ხასიათის მუშაობა არ უწარმოებია, ცოტა რამეს გაკეთება კი მაინც შეიძლებოდა.

ლანჩხუთის წარმომადგენელი, ბ. შარაშენიძე დახსლოებით იმავ აზრს გამოსთვამს და აუცილებლად სთვლის—განყოფილება დაუყონებლივ გადავიდეს პრაქტიკული საქმიანობაზე.

ბ. გვაზავა საზოგადოდ უარყოფს უფლებრივ სახეს კავშირისას და აღნიშნავს, რომ ასეთი საკითხები იყოფა ორ დარგად: ან შეეხება ადგილობრივ ერთეულს სავსებით და მაშინ მან უნდა განავოს კიდეც, ან ვრცელდება სახელმწიფოს მთელ საზღვრებზე და მაშინ შეეხება მთავრობის ცენტრალურ ორგანოს და სამინისტრომ უნდა განავოს. კავშირი კი იჭრება ან პირველის, ან მეორეს ფუნქციებში და ხელს უშლის სახელმწიფოებრივ ნორმალურ აღმშენებლობას—ქმის არევ-დარევას.

ბ. კალანდარაშვილი აღნიშნავს, რომ კავშირი აღმოცენებულია წმინდა უფლებრივ ნიადაგზე და მისი მიზნები ამართლებენ ასეთ ცენტრის არსებობას. კერძოდ ასეთ იურიდიულ სახეს აძლევს მას დებულების ზოგი ადგილები, საცა აღნიშნულია კავშირის კონსტრუქცია და გათვალისწინებულია მისი მიზნებიც.

ბ. პაპავა აღნიშნავს, რომ კავშირი სდგას უფლებრივ წიადაგზე თავის კონსტრუქციით და ამავე დროს მის არსებობას ამართლებს ჩვენი სახელმწიფოს მრავალმხრივი საჭიროება: მათვის დახმარება ითხოვს—კონკერაციას, კავშირს საზოგადოებრივ ძალების, მაგრამ მომხსენებელს დაუსახავს ძალიან ფართო გეგმა და ჩვენ დავაწვებით ცარიელ ხაზინას და ღატავ ქალაქებს. ხოლო პატარა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ჩვენ რეალურად შეგვიძლია, არ ითხოვონ ცალკე განყოფილების არსებობას, შეგვიძლია ღროვებით მაინც სხვა განყოფილებას. მივაჟუთნოთ და ამით ხარჯებიც შევამოკლოთ, აპარატი შევამციროთ.

მომხსენებელი ყველას უპასუხებს, რის შემდეგ ყრილობა მოხსენებას ამტკიცებს და აღნიშნავს, რომ განყოფილებას არსებულ პირობებში მართლაც არ შეეძლო მეტი რამეს გაკეთება.

თავმჯდომარე წინადადებას იდლევა: ვინაიდგან ყრილობას შემოემატენ ახალი დელეგატები: სამტრედიის, დუშეთის და ჭიათურის, მოვისმინოთ მათი მოხსენებანიც ადგილებიდან. წინადადება მიღებულია და დელაგატებიც აკეთებენ მოხსენებას.

თავმჯდომარე კომისიის წევრებს მოახსენებს, რომ დილითვე შეუდგენ მუშაობას, რათა შემდეგ პლენუმის სხდომაზე მასალები მზად იყოს.

შემდეგი სხდომა—20 მარტისთვის დილის 10 საათზე.

თავმჯდომარე დ. კალანდარაშვილი.

ყრილობის მეოთხე დღე.

20 მარტის სხდომა.

გაიხსნა დღისით 12 საათზე.

თავმჯდომარეობს პ. ქალაქდარაშვილი, მდივანი ა. პაპავა.

სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა 1 კომისიის თავმჯდომარეს პ. ვაგუას. მოხსენებელი აღნიშნავს, რომ კომისიამ მიწის საკითხის შესახებ ქალაქებში დაადგინა: 1) გავრცელდეს არსებული ძირითადი კანონი, ქალაქებზე დაც სათანადო ცვლილებებით.

2) ეთხოვოს დამტუქნებელ კრებას დააჩქაროს შესაფერისი კანონ-პროექტის შემუშავება.

ამას გარდა: კომისიამ სასურველად სკნო დაკანონდეს აღკრძალვა ქალაქებში მიწების ყიდვა-გაყიდვისა.

დაუყონებლივ განისაზღროს ქალაქთა ფარგლები, რომლებშიაც უნდა გავრცელდეს ეს რეფორმა.

კრება აღასტურებს მოხსენებას და ადგენს:

აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ყველა მიწები ქალაქებში და მის გარეთ, რომლებიც დღემდე ამ ქალაქების საკუთრებას შეადგენდენ, ამ ქალაქების ხელში დარჩეს და მათ შესახებ გამოიცეს სათანადო დამატებითი კანონი.

სოხოვოს ქალაქთა საბჭოებს დაამუშაონ ეს საკითხი ადგილობრივ, სათანადოდ შეისწავლონ მასალები და თავისი დასკვნანი წარმოუდგინონ ქალაქთა კავშირს, რათა მან თავისი განმარტებით ეს მასალა გადასცეს. მიწად-მოქმედების სამინისტროს.

ყრილობა აგრეთვე გამოსთვამს სურვილს, რომ ქალაქთა კავშირის წარმომადგენელი დაესწრენ ამ მასალების გარჩევას და შესწავლას, სადაც ჯერ არს.

გორის წარმომადგენელი პ. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ დასკვნების შესათანხმებლად სასურველია ასეთი სრული საკითხი აქვე შევიმუშაოთ და არ მივანდოთ ადგილობრივ საბჭოებს. კრება ამ წინადადებას უარყოფს.

ფოთის წარმომადგენელი პ. კორძაიას შემოაქვს წინადადება—დაისებას ყრილობაზე საკითხი იმ მიწების შესახებ, რომლებიც ქალაქებს. ეკუთვნონდენ და რეფორმის ძალით მათ ჩამოართვეს.

ყრილობა ამ საკითხს იღებს და არსებითად ქამათს ხსნის.

ფოთის წარმომადგენელი პ. კორძაია აღნიშნავს, რომ მიზან-შეწინილია ასეთი რეფორმის საერთო მასტებაბით გატარება. შეუსაბამოა და საზარალო, როცა კერძო პირებთან ერთად, მამულებს სრთამევენ ქალაქებსაც.

ამავე აზრს გამოსთვამს პ. თავმჯდომარეც, რის შემდეგ კრებას გამოაქვს შემდეგი რეზოლუცია: აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე,

რომ ყველა მიწები ქალაქებში და მის გარეთ, რომლებიც დღემდე ამ ქალაქების საკუთრებას შეადგენდენ, ამ ქალაქების ხელში დარჩეს და, მათ შესახებ გამოიცეს სათანადო დამატებითი კანონი.

დუშეთის წარმომადგენელი ბ. ინაშვილი სვამს კითხვას, როგორიც ბედი, ამ მამულებისა, რომლებიც ანდერძით სპეციალურის მიზნით გადმოსულან ქალაქებზე კერძო ქველმოქმედთაგან.

თავმჯდომარე განმარტავს, რომ ანდერძის სპეციალური განკარგულებანი ძალაში რჩებიან, ხოლო მიწა უნდა დარჩეს ქალაქის ხელში, თანახმად მიღებულ წინადაღებისა დამატებით კანონის შესახებ.

სენაკის წარმომადგენელი ბ. ლორთქიფანიძე სვამს საკითხს ქალაქების გამიჯვნის შესახებ ზომების შემუშავებაზე.

ყრილობა ადგენს: საკითხს მოგვირება მიენდოს ადგილობრივ ქალაქის საბჭოებს, სამაზრო ერობებთან შეთანხმებით.

საქალაქო დებულების შეცვლის შესახებ მოხსენებას აკეთებს კომისიის სახელით ბ. ბრილის კირითაცი დებულებანი ახალი პროექტისა ყრილობისაგან მიღებულია და უკანასკნელი გადადის მუხლობრივ განხილვაზე.

პროექტი საესებით მიღებულია, ცოტაოდენი ცვლილებანი შეტანილია შემდეგ მუხლებში:

„მე-19 სტატიის მე-4 პარაგრაფში 1 წლის ჯამი შეცვლილია ½ წლად“.

„მე-22 სტატია სიტყვა ქართულზე შეცვლილია სახელმწიფოებრივზე“ და ბოლოს დართული აქვს: управленија отъ лицъ принадлежащихъ къ тѣмъ же національностямъ меньшиствамъ.

მე-23 სტატიაში და თანაბრად ყველგან სიტყვები გородской секретаря, შეცვლილია думской секретарь.

მე-24 სტატიაში საგანგებო სხდომის მოწვევის ვადა შემცირებულია. და 7 დღის ნაცვლად მიღებულია 3 დღე.

ამ დროს სხდომაზე გამოცხადდენ შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხ. ლომთათიძე, რომელთაც თავმჯდომარე ესალმება ყრილობის სახელით.

ყრილობა ხანგრძლივი ტაშით ხვდება საპატიო სტუმრებს.

ამის შემდეგ ბ. რამიშვილი მთავრობის სახელით ესალმება ყრილობას და აღნიშნავს 2 დიდ ლვაჭლს ქალაქებისას სახელმწიფოს, განმტკიცების საქმეში. I. დიდი მატერიალური დახმარება, რომელიც ესალმებლივას გაუწია კავშირმა უკანასკნელი ორი მდის ხანაში და II. უმაგალითო წესიერება, რომელიც დაცული იყო ქალაქებში, მაშინ როცა მთავრობა ანარქიით მოუკლ პროვინციებში იძულებული იყო ექსპედიციები გაეგზავნა. ბოლოს იგი იმედს გამოსთვევას, რომ რესპუბლიკის მთავრობა მომავალშიც დაემყარება ადგილობრივ დემოკრატიულ თვითმართველობათ და მათი დახმარებით განამტკიცებს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თავის მხრივ

მთავრობა მუდამ მზადაა შესაფერისი მფარველობა და დახმარება გაუწიოს. მუნიციპალურ ერთეულებს.

თავმჯდომარე ყრილობის სახელით მადლობას უძღვნის მინისტრს, უცხადებს სრულ ნდობას და არწმუნებს, რომ მომავალშიაც ქალაქები ჩვენს მთავრობასთან იქნებიან მუდამ და მის დახმარებისაკენ მოუწოდებენ დემოკრატიის ძალებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

გრძელდება საქალაქო დებულების განხილვა.

ხმოსანთა დიეტის შესახებ კრება ადგენს: საბჭოებს უფლება აქვთ დააწესონ დიეტა ხმოსანთაოვის საბჭოს სხდომაზე და არა კომისიებში დასწრებისათვის თბილისისა და ქუთაისისათვის 10 მან., სხვაგან 5 მან.

II. გამგეობის წევრის არა ხმოსანის შესახებ ყრილობა ადგენს თანახმად პროექტისა: ასეთი წევრი ქვორუმში ვერ შეავსებენ, ხოლო მონაწილეობას მიღებენ ისე, როგორც ხმოსანები.

მუხლი კონტრაგენტების შესახებ ემატება შენიშვნა, როგორც იყო დროებით მთავრობის დებულებაში: „ხმოსანი არ შეიძლება იყოს კონტრაგენტი თვითმართველობისა“.

სხდომა იხურება.

შემდეგი სხდომა საღ. 7 საათზე.

ყრილობის მეოთხე დღე.

სალამოს სხდომა.

სხდომა იწყება სალამოს $7 \frac{1}{2}$ საათზე.

თავმჯდომარეობს ბ. კალანდარაშვილი, მდივანი ა. პაპაგა.

გრძელდება მუხლობრივი განხილვა საქალაქო დებულების პროექტისა. მომხსენებელია ბ. ბროდსკი.

სტ. 43,44 მიღებულია უცვლელად.

სტ. 45

თავი V და VI მიღებულია პროექტის თანახმად უცვლელად.

სტ. 57 იყითხება ასე: „При выборѣ отвѣтственныхъ должностныхъ лицъ по городскому общественному управлению запрашается (не допускается) адъютантъ генералъ Шебенищевъ: Примѣч.: „должности отвѣтственныхъ разъ навсегда опредѣляются Городскими Думами“.

მუხლობრივ განხილვის შემდეგ ხდება საერთო კენჭის ყრა და პროექტი დამტკიცებულია ერთხმად.

სიტუაცია მოხსენებისათვის ეძლევა II კომისიის წარმომადგენელს ბ. სმირნოვს, თემა: „საბიუჯეტო უფლება ქალაქებისა“.

(იხ. დასტამბული მოხსენების ტეზისები რუსულ განყოფილებაში).

შეკითხვებზე მომხსენებელი ვრცელ პასუხს იძლევა, რის შემდეგ ყრილობა ადასტურებს მოხსენების საერთო პრინციპებს და თავმჯდომარე კენჭს უყრის ტეზისებს სათითაოდ. ტეზისებს ყრილობა უცვლელად ამტკიცებს, და უმატებს ერთ მუხლს შემდეგის რეაქციით: „Во время народныхъ

бъдствій Дума можетъ установить специальные налоги съ согла-
сія па то центральныхъ властей".

თავმჯდომარე წინადადებას იძლევა სამრეწველო-სატეხნიკო ნაწილის
ქარსენების დათვალიერების შემდეგ ყრილობამ დამტკიცოს განყოფილების
გამგის რუსის მოხსენება. წინადადება მიღებულია.

ამავე მოხსენების გამო ყრილობა გამოსთხვამს სურეილს დაჩქარდეს
ქალაქთა გეგმების შედგენის საქმე და ავალებს ქალაქებს საამისო მასალები
დაამზადოს ადგილობრივ და გადმოუგზავნოს ცენტრს ასეთი გეგმების შე-
საკვეთად.

თავმჯდომარე წინადადებას იძლევა ყრილობამ მოისმინოს მოხსენება
ბ. მადისონისა კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესახებ. კრება წინადადე-
ბას ადასტურებს და ბ. მადისონი მოხსენებას კითხულობს.

მოხსენება დასტამბულია (ცალქ. (ის. რუსულ განყოფილებაში).

მსჯელობა მოხსენების შესახებ გადიდვა შემდეგ სხდომისათვის.

სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა 21 მარტს საღ. 6 საათ.

თავმჯდომარე დ. კალანდარაშვილი.

21 მარტის სხდომა. სხდომა იხსნება საღ. 6½ საათზე.

თავმჯდომარებს ბ. კალანდარაშვილი, მდივანი აკ. პაპავა.

სიტყვა ეძლევა კომიტეტის თავმჯდომარეს ბ. ელიავას, რომელიც
ყრილობას აწედის დამატებითი ცნობებს და იძლევა სათანადო შენიშვნებს.
სხვათა შორის იგი აღნიშნავს, რომ მიუხედავათ დადგენილებისა, ქალაქებს
არ შემოაქვთ საწევრო გადასახადი. აგრეთვე მათ კრედიტის სახით მიე-
ცათ სხვა და სხვა საქონელი, განსაკუთრებით მედიკამენტები, მაგრამ ანგა-
რიშები ჯერ კიდევ გასწორებული არ არის. აგრეთვე ქალაქებს არ წარ-
მოუდგენიათ საკუთარი სმეტა, ჩვენ არ ვიცით მათი შემოსავალ-გასავალი
და ეს მეტად აბრკოლებს მათი კრედიტის საქმეს. კავშირს აქვს საკუთარი
ორგანო, რომელიც პროვინციებში, სამწუხაროდ, ნაკლებად ვრცელდება და
მასალებიც მათგან ცოტა მოვდის, საზოგადოდ უურნალი დამაკაყოფილე-
ბელია და არც არსაიდან გვსმენია მის შესახებ რაიმე შენიშვნები. იური-
დიული განყოფილებას ცოტა ქრისტიანული სამუშაო, რადგან მას პროვინცია
უურადლებას არ აქცევდა. მას მოვეიდა შეკითხვები — კოჯორიდან, ფოთი-
ლან და სიღნალიდან, ამ შეკითხვებზე პასუხი უკვე გაცემულია. და საქმე-
ებმაც სათანადო მსვლელობა მიიღო.

თუმცა ნაკლებათ, მაგრამ მაინც ზოგიერთმა ქალაქებმა მომართეს
აგრეთვე საფინანსო-საეკონომიკო განყოფილებას. სხვა და სხვა ხასიათის
შუამდგომლობანი ცენტრი ამის შესახებ უკვე აღმრულია.

საანკეტო ფურცლები თუმცა ყველა ქალაქებს დაეგზავნა, მაგრამ,
სამწუხაროდ, მარტო ჭიათურამ გამოგზავნა პასუხი. სასურველია მომავალ-
ში მაინც გასწორდეს ასითი შეცდომები და მეტის ყურადღებით მოეპყრიან-
ქალაქები სხვა და სხვა. შეკითხვებს და ანკეტებს.

მოხსენებას ყრილობა აღასტურებს და მხედველობაში იღებს.

შემდეგი სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა სარევიზიო კომისიის თავ-მჯდომარეს ბ. შარაშენიძეს, რომელიც აღნიშნავს, რომ მთავარი კომიტეტის აღმასრულებელ ბიუროსა და განკოფილებათა მუშაობის შესახებ, სათა-ნადო მოხსენება ვერ წარმოადგინა სარევიზიო კომისიამ, საზოგადოდ ამ კომისიის მუშაობა ვერ იყო დამაკმაყოფილებელი; თუმცა წინა ყრილობამ ამ კომისიაში აირჩია 5 წევრი, მაგრამ ფაქტიურად მარტო თავმჯდომარე მუშაობდა, რაც ძალიან უშლიდა ხელს საქმეს:

მოასწრო მარტო ფაქტიური რევიზია სტუმბისა, დიდუბის წისქვილი-სა და ცენტრ. სახელოსნოთა საწყობისა. დანარჩენი ქარხნების და საწყო-ბების რევიზია ვერ მოასწრო კავშირის ბალანსი აქვთ წარმოდგენილი და სარევიზიო კომისიის აზრით დამაკმაყოფილებელია.

მოხსენების გამო ლაპარაკობენ ბ. მოდებაძე, ჯაჯანაშვილი, პაპავა, ბუჩიძე, ტყავაძე, იმნაძე და ელიავა. ყველანი აღნიშნავენ, რომ დღემდე კომისიის მუშაობა ვერ მიღიოდა სათანადოთ და ამიტომ არც მისი მოხსე-ნება იძლევა რაიმე მასალას, რომ ყრილობამ სათანადოთ გაითვალისწინოს განკოფილებათა მუშაობა, პაპავა აღნიშნავს, რომ კავშირში ერთ დიდ სა-ხელმწიფოებრივ საკითხს, ნაციონალიზაციას, არა აქეს მიქცეული ყურად-ღება; დაგვიანება კი შეეძლებელია; სარევიზიო კომისიის უნდა ამის შე-სახებ თავისი აზრი წარმოედგინა და დაესახელებინა ის კონკრეტი მიზე-ზები, რომელიც ხელს უშლიან ამ დაწესებულებაში ნაციონალიზაციის საქ-მეს, თუ ასეთი მართლა არსებობს. საკიროა მომავალში მაინც მიექცეს ამ კითხვას განსაკუთრებული ყურადღება და შედარებით უმტკივნეულოდ გა-ტარდეს იგი დაუყონებლივ.

კრება კამათის დასრულებისას ადგენს: ბ. შარაშენიძეს, როგორც ერ-თად-ერთ წევრს, რომელმაც მუშაობა არ დასტოვა გამოეცხადოს მაღლობა. ხოლო მომავალისათვის სარევიზიო კომისიამ მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა მუშაობა ნორმალურად მიმდინარებდეს და კომისიაც სათანადო მა-სალას უდგენდეს ყრილობას.

ყრილობა გადადის სარევიზიო კომისიის ინსტრუქციის. განხილვაზე შემოდის წინადადება, რომ სარევიზიო კომისიას ირჩევდეს მთავარი კომი-ტეტი. წინადადება უარყოფილია და ყრილობა გადადის ინსტრუქციის მუ-ხლობრივ განხილვაზე.

მესამე პარაგრაფი იცვლება ასე: „თავმჯდომარე ან მისი ამხანაგი:“

მე 13 პარაგრაფის მეოთხე სტრიქონს ემატება: „რის შესახებ უნდა ეცნობოს კომიტეტის თავმჯდომარეს“.

მე 19 პარაგრაფი იკითხება ასე: „აღმასრულებელი ბიურო და მთა-ვარი კომიტეტი უგზავნიან თავიანთ ოქმების პირს სარევიზიო კომისიას“. საერთოდ ინსტრუქცია ერთხმად დამტკიცებულია: გრძელდება კამათი კოლექტურ ხელშეკრულების შესახებ.

ბ. რუსია წინადადებას იძლევა, რადგან საკითხი რთულია და საზოგადოთ დღეს მწვავეთ სდგას, არჩეულ იქნას მცირედი კომისია მოხსენების დაწვრილებით შესასწავლად და მან თავისი აზრი წარმოუდგინოს ყრილობას ხვალვე. წინადადება მიღებულია: ყრილობა ირჩევს 5 კაცს: კონიევს, რუსიას, ჯავანაშვილს, გაგუას და კიკალიშვილს.

თავმჯდომარე აქვეყნებს საექიმო-სასანიტარო ნაწილის გამგის კიკალიშვილის წერილს, რომ მას სურვილი აქვს გამართოს საუბარი დელეგატებთან წინწერიან ტიფის შესახებ. ყრილობა წინადადებას იღებს და ბ. კიკალიშვილიც აკეთებს მოხსენებას.

შემდეგი სხდომა 22 მარტს საღ. 5 საათზე.

ყრილობის უკანასკნელი დღე.

22 მარტის სხდომა. კრება იხსნება საღ. 5 საათზე.

დროებით თავმჯდომარეობს ყრილობის წევრი ბ. მურვანიძე. მდივანი აკ. პაპავა.

გრძელდება მსჯელობა კოლექტიურ ხელშეკრულების შესახებ.

მომხსენებელია საგანგებო კომისიის წარმომადგენელი ბ. მ. რუსია, რომელიც აღნიშნავს, რომ საკითხი მართლაც რთული აღმოჩნდა და მისი გადაწყვეტა ერთის საზომით, კატეგორიული საერთო პასუხით კომისიამ შესაძლებლად ვერ სცნო. ხანგრძლივ მსჯელობის შემდეგ კომისიამ; ერთი წევრის წინააღმდეგ, შემდეგი დებულება მიიღო სახელმძღვანელოდ: მუნიციპალური ერთეულები როცა გამოდიან როგორც სახელმწიფოებრივი ორგანოები და ამის ფუნქციებს ასრულებენ, ვერავითარ შემთხვევაში კოლექტიურ ხელშეკრულების გზას ვერ გაყვებიან, ხოლო იმ სფეროში, საცაოვითმართველობა გამოდის, როგორც კერძო ხასიათის სამრეწველო ფუნქციათა მატარებელი (მაგ. საკუთარ ქარხნებში) ასეთი ხელშეკრულობა მისაღებია თვითმართველობისაჭიროის.

კომისიის მეორე წევრი ბ. კიკალიშვილი ვრცლად ეხება ამ საკითხს და აღნიშნავს, რომ კომისიის დადგენილება იურიდიულად და ფორმალურადაც შეუსაბამოა, რის გამო პრაქტიკაში მრავალ წინააღმდეგობას გაუხსნის გზას და ზნეობრივათაც სრულიად უარსაყოფია. ასეთი დადგენილება მას ორმაგად მიაჩნია და მოითხოვს ერთ საერთო გარკვეულ საზომს; ან ყოველივე შრომის პირობები უნდა განისაზღვრებოდეს კანონით, როგორც ბოლშევიკურ რუსეთშია, ან ყოველ ხასიათის შრომაში დაცული უნდა იყოს მშრომელთა ინტერესები ერთნაირად კოლექტიურ ხელშეკრულების სახით. არავითარ პრივატულების. აღიღოთ არ უნდა ჰქონდეს.

ქალაქთა კავშირის მოსამსახურეთა აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ კომისიამ უსაბუთოდ გაჲყო მოსამსახურენი ორჯერთა. ყველა ესენი მშრომელნი არიან და თუ სახელმწიფოებრივ ფუნქ-

ციებს ატარებს ქალაქი, სულ ერთია, იგი მაინც დაქირავებულ შრომით აწყობს საქმეს და არ შეუძლია დაიცვას დაქირავებულთა ინტერესები, ამიტომ საჭიროა მეტი გარანტია — კოლექტიურ ხელშეკრულების შემოღება.

ბ. კალანდარაშვილი ვრცლად ეხება ამ საკითხს და აღნიშნავს, რომ მუნიციპალური ერთეულები დღეს არიან სახელმწიფო აღგილობრივი ორგანოები და ატარებენ სახელმწიფო ფუნქციებს, ხოლო სახელმწიფოს არ შეუძლია და არც პრატიკაში იცის მაგალითი, რომ თავის მოხელეებთან ხელშეკრულებანი დასდოს. ამ შემთხვევაში იგი დიკარგავდა თავის ძალას და სრულიად დამკიდებული იქნებოდა შემთხვევებზე, გახდებოდა მერყევი ორგანიზმი, რომელიც უთუოთ დაიშლებოდა. თუ ამ ნიადაგზე დავღვებით, ჩა გინდ სოციალისტები ვიყოთ, ამ შემთხვევაში სახელმწიფოებრივი მოსაზრებით კოლექტიურ ხელშეკრულებას მხარს ვერ დაუჭერთ.

ბ. ტყვაძე აღნიშნავს, რომ შეუძლებელია ამ საკითხის შესახებ ასეთ ყრილობაზე ლაპარაკი და მოითხოვს ეს საკითხი წესრიგიდან სრულიად მოიხსნას.

ა. პაპავა აღნიშნავს, რომ შეუხლებელია სოციალისტი პრინციპიალურად მხარს არ უჭერდეს კოლექტიურ ხელშეკრულებას, რადგან შრომისა და კაპიტალის ბრძოლაში ეს საუკეთესო იარაღია მუშების დასაცავად. მაგრამ როგორ შეგვიძლია მუნიციპალური ერთეული შევადაროთ კერძო მწარმოებელს. თვითმართველობა სახელმწიფოს ორგანოა და ამ გზით მასზე უნდა გავრცელდეს სახელმწიფოს წესები. ხოლო სახელმწიფო ხასიათდება სუვერენულ უფლებით და უმაღლესი ნებით, იგი იძულებითი ორგანიზაციაა. ასეთ უმაღლეს ორგანიზაციას არ შეუძლია შემთხვევებზე და მოხელეთა სურვილებზე ააგოს თავისი არსებობა. შემთხვევითი შემადგენლობა ამ მოხელეთა, და მისი გადაჯვეულება დამხობდა სახელმწიფოს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სახელმწიფო შრომის მიმთვისებელი კი არ არის, როგორც კერძო მწარმოებელი, არამედ ხალხის ორგანიზაცია, — დემოკრატიის ინტერესების დამცველი. თვითმართველობანიც ამ საქმეს ემსახურებიან. მაგრამ თუ ისინი გამოდიან ზოგ დარღვი იურიდიულ პირობების სახით, როგორც კერძო ხასიათის მწარმოებელნი, მარტო ამ დარღვი შეტყიდია მიუღევთ მას არა როგორც სახელმწიფოებრივს, არამედ როგორც საზოგადოებრივ საწარმოო ერთეულს; და ჩვენ აქ მოვითხოვთ დაუულ იქმნას კოლექტიური ხელშეკრულება. ამბობენ წინაიღმდეგობაში ჩავეფლებითო; საჭიროა, ან კანონდებით, ან სხვა გზით განისაზღვროს ეს ორი სფერო, მაგრამ ეს ტენისური საკითხია, რომელსაც ეჭლა კომისია ვერ ამოსწუროვდა, მაგრამ მისი პრინციპები კი ყრილობამ უნდა მიიღოს.

ბ. გაგუა აღნიშნავს, რომ სწორეთ დემოკრატიის და დემოკრატიულ სახელმწიფოს შექმნის ინტერესები მოითხოვენ საკითხს უფრო ღრმად შევზედოთ, არ გავყვეთ უბრალო ფრაზეოლოგიას და ისეთი პირობები შევქმნათ, რომ სახელმწიფოს მართლაც შეეძლოს არსებობა. თვითმართველო-

ბაც იგივე სახელმწიფო მინისტრუაში და ამიტომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ კოლექტიურ ხელშეკრულებისა.

კამათი წყდება. დასასრულ მომხსენებელი მოკლე პასუხს აძლევს ოპონენტებს, იცავს კომისიის დებულებას და შემოაქვს შემდეგი რეზოლუცია, რომელსაც ყრილობა ადასტურებს: „ვინაიდან საქალაქო თვითმართველობანი არიან, ორგანოები სახელმწიფო ბრივი მმართველობისა და შედიან სახელმწიფო დაწესებულებათა საერთო სისტემაში და რომ სახელმწიფო ებრივ ფუნქციასთან ერთად ადგილობრივი მართველობანი ახორციელებენ წმინდა კერძო სამეურნეო მოღვაწეობასაც, — ყრილობა შესაძლებლათ სცნობს კოლექტიურ ხელშეკრულების დადებას მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ე. ი. ქალ. თვითმართველობათა წარმოებითი მოღვაწეობაში.

კრება რამდენიმე წუთით სწყდება, რის შემდეგ კრებას თავმჯდომარეობს ბ. კალანდარაშვილი.

მდივანი აქვეყნებს ყრილობის ყველა სხდომების აქმებს, რას შემდეგ ყრილობა მათ ამტკიცებს.

ყრილობას შემდეგი დამატებანი და შესწორებანი შეაქვს. ქალაქთა კავშირის დებულებაში:

§ 1. Образований, на основації п. 17 ст. 2 Городового Положенія, Союзъ Городовъ Республики Грузіі и т. д.

§ 3. Союзъ Городовъ имѣеть право, на основації обицыхъ гражданскихъ законовъ и сего положенія, пріобрѣтать и отчуждать имущество, заключать договоры, вступать въ обязательства, а также вчинять гражданскіе иски и отвѣтчиать на судѣ.

п. е. § 5. Организація и управлениe предпріятіями Союза, пріобрѣтеніе, залогъ и отчужденіе имуществъ, заключеніе договоровъ и вступленіе во всякаго рода обязательства.

Если $\frac{1}{3}$ городовъ, входящихъ въ составъ Союза, заявить о необходимости созыва Съѣзда то Главный Комитетъ обязанъ его созвать.

ამის შემდეგ ყრილობა ადგენს: სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის აღაგი არ ირიცხებოდეს ქალაქთა კავშირის შტატში და მას კომისიის დანარჩენ წევრებთან ერთად მიუცეს დლიური გასამრჯელო, რომლის რაოდენობას იმუშავებს მთავარი კომიტეტი. იგივე კომიტეტი ამტკიცებს შტატებს სარევიზიო კომისიისას.

ამის შემდეგ ხდება არჩევნები მთავარი კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრთა.

თავმჯდომარე მაღლობას უცხადებს ყრილობას, მოუწოდებს ნაცოფიერ მუშაობისკენ მცირო კავშირისაკენ და ყრილობას ხურავს.

მთავარ კომიტეტის თავმჯდომარის ნ. ელიაშ მოხსენება.

დავიწყებ თვით ყრილობის მოწვევის მიზეზებისა და მიზნის აღნიშვნით. ამ ყრილობის მოწვევა ჩვენ განზრახული გვქონდა არა უგვიანეს თებერჯლისა, რადგან ამ ღრივისთვის უნდა განახლებულიყო ყველა ქალაქების თვითმართველობანი და საჭირო იყო მათ საშვალება მისცემოდათ აერჩიათ ახალი აღმასრულებელი ორგანო ცენტრისა, მაგრამ რადგან ერთი მხრით ზოგიერთ ქალაქებში და მათ შორის ქუთაისშიც არჩევნები დაგვიანდა და მხოლოდ მარტში დასრულდა, და მეორე მხრით მარტის შუა რიცხვებამდე ადგილობრივი თვითმართველობანი გართული იყვნენ დამფუძნებული კრების არჩევნების საქმეში. ყრილობის მოწვევაც მხოლოდ ამ ღრივისთვის მოესწრო. იყო კიდევ ერთი მიზეზიც, რომელიც აღმასრულებელ ორგანოს ზნეობრივად ვალდებულათ ხდიდა სამსახურის ვადის გასვლამდე წარმოედგინა თავისი მოქმედების ანგარიში. ეს გახლავთ ის საყვედურები, რომელიც გაისმოდა დეკემბრის თათბირზე აღმასრულებელი ბიუროს წინააღმდეგ. ჩვენ ამას ანგარიში გავუწიეთ და დღიურ წესრიგში არის დასმული მთავარი კომიტეტის არჩევნებიც. ყრილობაზე გამოირკვევა თქვენი ხაზი მოქმედებისა და ახალი ორგანოც ამ ხაზს გაყვება.

ჩემი ანგარიში საზოგადო ხასიათის, იქნება. დაწვრილებით ცნობებს და ციფრებს კი მოგახსენებენ განყოფილებათა გამგენი.

ყველას მოგეხსენებათ, ქალაქთა კავშირი წარმოშვა უკანასკნელმა მსოფლიო ომშა და უმთავრესად იგი ჯარის საჭიროებას ემსახურებოდა. რევოლუციის მოხდენის და რუსეთის ამ ომიდან გამოსულის შემდეგაც საპიროთ იქნა ცნობილი. ამ ორგანიზაციის შეხახვა, მხოლოდ მუნიციპალური მიზნების სახამსახუროდ. ეს მხარე კი ახალი იყო ჩვენთვის და მხოლოდ თან და თან ირკვევა ჩვენი ორგანიზაციის დანიშნულება. ბიუროს აზრით, ეს დინიშნულება განისაზღვრება ორი დებულებით:

1. იდეური ხელმძღვანელობა და
2. მატერიალური დახმარება.

ასე გვესმოდა ჩვენი დანიშნულება. პირველი დებულება ტარდება ცხოვრებაში შემდეგი ჩვენი მოღვაწეობით. 1.

1. ვაწვდიდით ქალაქებს განმარტებათა და პასუხებს ადგილობრივ წარმოშდგარ კითხვებზე. ასეთი კითხვები მოდიოდა, იურიდიული განყოფილებას, საფინანსოს, სატეხნიკოს და სხვა.

2. ჩვენი ურადღება მიიქცა აგრეთვე არსებულ კანონებშა, ანუ უკეთ ვთქვათ მათმა დეფექტებშა. არც საქალაქო დებულება, არც ქალაქთა საბიუჯეტო ფფლება არ არის შეთანხმებული ღრივის მოთხოვნილებებთან, თუმცა ორივე რევოლუციის შემდეგ არის გამოცემული რუსეთის ღრობითი მთავრობის მიერ. ბიურომ საჭიროთ დაინახა თავს ედო საქმის მო-

გვარების ინიციატივა და შეადგინა მათ გადასასინჯვათ და შესამუშავება— ლად განსაკუთრებული კომისია. ამ კომისიის ნამუშავარი მოგხსენდებათ ტქვენ, და თქვენი სანქციის შემდეგ წარედგინება საკანონმდებლო დაწესებულებას.

3. გარდა ამისა ბიუროს მოვალეობათ მიაჩნდა ეკისრნა წარმომადგენლობა ქალაქთა ინტერესებისა საერთო და გაეცა პასუხი ყველა მნიშვნელოვანი კითხვებისათვის, რომელიც აღიძრებოდენ ცენტრალურ დაწესებულებებში. ამ შეხედულობის თანახმად ჯერ კიდევ ამიერ კავკასიის მთავრობის არსებობის დროს საჭიროდ დავინახეთ ჩავრეულიყავით შაქარზე აქციზის დაწესების საკითხში. ჩვენ მიუღებლად ჩავთვალეთ პირველი მოთხოვნილების საგანზე აქციზის დაწესება და მოვითხოვთ მისი მოხსნა; ქალაქებმაც მხარი დაგვიჭირეს და მივაღწიეთ კიდეც მაშინ მიზანს.

რესპუბლიკის მთავრობის მიერ განხრასულ ერთდროული გადასახადის შესახებაც საჭიროდ ვცანით ჩვენი აზრი მოგვეხსენებია მთავრობისა და საპარლამენტო კომისიისათვის, რადგან განხრასული გადიდება გადასახადებისა არსებითად შეეხებოდა ქალაქთა ინტერესებს. ამ მოსაზრებით ჩვენმა საფინანსო განყოფილებამ შეადგინა ვრცელი მოხსენება და იგი მოხსენდა კიდეც პარლამენტის კომისიას. უკანასკნელი ზოგიერთ კითხვებში დაეთანხმა ჩვენ მოსაზრებებს!

მესამე კითხვა, რომელმაც ამ სფეროში მიიქცია ჩვენი ყურადღება, იყო გადასახადი დავინოზე. საფინანსო უწყების პროექტი ამ გადასახადს სახელმწიფოთ აცხადებს და ქალაქებს და ერობებს მხოლოდ მცირე პროცენტს უთმობს. ჩვენ კი იმ აზრის ვიყავით, რომ ასეთი გადასახადები თვირმართველობების ხელში ყოფილიყო და ეს არ მოხდებოდა, მაშინ იძლენი შემოსავალი მაინც დარჩენოდათ თვითმართველობებს, რამდენიც ჰქონდათ გასული წლის ხარჯთ-ალრიცხვით. და მათი ხვედრი პროცენტი გადიდებულიყო.

2. ქალაქების მატერიალურ დამარტებას, როგორც მოგხსენებათ, აწარმოებდენ ჩვენი ორგანიზაციის: ა). სამეურნეო განყოფილება, რომელიც აწვდიდა მათ არა მარტო იმ საქონელს, რომელიც მივიღეთ ძველი ორგანიზაციიდან, მთავრობის ნებართვით, არამედ ახალს, ჩვენი ოპერაციებით შეძენილსაც. ეს ნაწილი თან და თან ფართოვდება და თუ ქალაქებიც დაგვიჭირენ მხარს, შეძლება გვექნება საგრძნობელი დამარტება გავუწიოთ კავშირის შევრებს. ამავე განყოფილებამ იქისრა ქალაქთა წარმომადგენლობა და აგენტობა იმ საქონლის განაწილებაში, რომელსაც ვიღებთ სახელმწიფოსა და ცენტრალური სასურსათო ორგანიზაციისაგან. (მაგალ ასანთი ნავთი). ეს განყოფილება არის დღეს ჩვენი შემოსავლის უმთავრესი წყარო. მხოლოდ მისი მოტანილი მოგება გვაძლევს საშვალებას განვავითაროთ სხვა განყოფილები და გაუწიოთ ქალაქებს ის. მცირე დამარტება, რომელიც აქამდინ აღმოგვიჩნია თუნდ საქონლის კრედიტის მოწყობით.

ბ) საექიმო ნაწილი და აფთიაქის საწყობიც უმთავრესად ამ მატერიალურ დახმარებას უწევდენ კავშირის წევრთ წამლებისა და სააგათმყოფებისათვის საჭირო ნივთების მოწოდებით. იგივე განყოფილება იმუშავებდა სხვადასხვა ტიპის საავათმყოფოთა ხარჯთ-აღრიცხვებს, საჭირო მასალების აღწერას და სხვა ასეთებს. ბიუროს აზრით; ამ განყოფილების მთავარი დანიშნულება უნდა ყოფილიყო იდეიური ხელმძღვანელობა ქალაქების მედიკო-სანიტარულ საქმის მოწყობაში. მაგრამ სინამდვილე და შექმნილი მდგომარეობა აქაც უფრო მატერიალური დახმარებას თხოვლობს და ჩვენი ყურადღებაც აქეთ იქნა მიქცეული. მაგ. ეპიდემიასთან ბრძოლის საქმის მოსაწყობად იძულებული გავხდით გადაგვედო განსაზღვრული თანხა ფულათ და წამლებით.

გ) წარმოებათა და სატეხნიკო განყოფილების დანიშნულებაც, რასაკვირველია ეს მატერიალური დახმარებაა. ამათ უნდა მიაწოდონ ქალაქებს თავისი აზრი და ცნობები ამა. თუ იმ ტეხნიკურ საქმის მოწყობის შესახებ; გაუადვილონ საქმის მოგვარება ადგილობრივ და სხვა.

თვით ჩვენი წარმოებანი მომავალში თავის მიზნათ დაისახავენ ქალაქების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და შესძლებენ კიდევ სამსახური გაუწიონ მათ. ასეთია ჩვენი ტყავის ქარხანა და ფეხსაცმელების დამტეადებელი სახელოსნო, სტამბა, სახელოსნოები მექანიკური და ხისა, რომელიც მხოლოდ ახლა ეწყობა.

ყველა ეს ჩვენი წარმოებანი ფართოვდებიან და ამრავლებენ კავშირის სიმდიდრეს.

მართალია, დღემდინ ამ განყოფილებათ დიდი დახმარება არ აღმოაჩენიათ ქალაქებისათვის, მაგრამ ეს აისხება უმთავრესად მით, რომ განსაკუთრებულ პირობების გამო დიდი ნაწილი ჩვენი ქონებრივი და ზეობრივი ძალებისა დასჭირდა ცენტრალურ მთავრობას და ჩვენ დედაქალაქს.

სომხეთან რმა მოითხოვა ჩვენგან უახლობელესი მონაწილეობა მგველო ჩვენი შეიარაღებული ძალებისათვის, საექიმო დახმარების მოწყობის საქმეში. მართალია ჩვენ ჩვენი ხარჯით მხოლოდ ას საწოლიანი საავათმყოფოს მოწყობა ვიკისრეთ თბილისში და 50-ანი ბორჯომში, მაგრამ, რადგან ქალაქების ყველა სამხედრო ლაზარეთების შენახვა დაგვაესრუს, თითქოს მთელი თავისუფალი თანხა ამას / მოუნდა და დღესაც ამ საქმისათვის დაბანდებულია ნახევრი მილიონშე მეტი.

ჩვენი დედა-ქალაქის სამსახურმაც საქმაო ენერგია მოითხოვა განსაკუთრებით პურის მოწოდების საქმეში, და ჩვენ სავალდებულოდ მივიჩნიეთ ეს საქმე გვეკისრნა, რადგან თბილისს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის. ჩვენ ვიკისრეთ თბილისისათვის პურის გამოცხობა, თუმცა რომელიმე ერთი ქალაქის სამსახური ჩვენი საქმე არ არის.

იმედი გვაქვს ყრილობაც გაიზიარებს ამ ჩვენს აზრს და მომავალშიც.

არ გაექცევა თქვენი აღმასრულებელი ორგანო მთავრობასთან და დედა-ქალაქთან ასეთს თანამშრომლობას.

გარდა ამისა მოსახსენებელია ჩვენი თანამშრომლობა ცენტრალურ სასურსათო საბჭოში, რომელიც თუმცა არა იმ სახით, როგორც ეს სასურველათ მიაჩნდა პირველ ყრილობას, მაგრამ მაიც ჩვენი ინიციატივით აღმოცენდა სასურსათო სამინისტროს ნაცვლად.

მთავრობამ არ მიიღო სავსებით ჩვენი პროექტი და სწორედ ამანდასევა თავისი კვალი ამ ორგანოს მოღვაწეობას. ახლა ამავე პროგრამით წარმოდგა მთავრობის წინაშე ჩვენი ახალი მოძმე, ერობათა ცენტრი, და ახალი კონსტრუქცია საბჭოში სწორეთ ისეთივე როგორსაც ჩვენ ვთხოულობდით წინეთ. მთელი აღმასრულებელი ორგანო არჩეულია და წინასწარ სახელმწიფო კონტროლსაც არ აქვს ადგილი. ამ რიგად ახალი საბჭო წარმოადგენს თითქმის ისეთზე თავისუფალ როგანიზაციას, როგორც არის ჩვენი კავშირი. ჩვენ გვყავს ორი წარმომადგენელი საბჭოში და დამობილი გვაქვს ერთი ადგილი პრეზიდიუმში. მეცენ ბიუროს პრეზიდიუმში არავინ აურჩევია. თუ ეს სასარგებლოთ მიგაჩნიათ მისი არჩევა უნდა დაავალოთ ახალ მთავარ კომიტეტს.

აი მთავარი მომენტები ჩვენი მუშაობისა. ასეთი იყო ჩვენი მოღვაწეობის საერთო ხაზი და ასეთი უნდა იქნეს მომავალშიაც. ჩვენი ორგანიზაცია უნდა დარჩეს ქალაქთა თავისუფალ შეკავშირებათ, იურიდიული პირის უფლებებით. არავითარი სახელმწიფო ანუ სამინისტრატიული უფლებები მისთვის საჭირო არ არის. ასეთი მდგომარეობა მას მისცემს. სამავლებას განავითაროს თქვენ მიერ ნაჩვენები გზით, საერთო საქმე და თავისი ზეობრივი ავტორიტეტით დაიკავეს ის ადგილი, რომელიც შეეცერება ქალაქთა შეერთებულ ცენტრს.

დასასრულ არ შეგვიძლია ყურადღება არ შევაჩეროდ შემდეგზე.

ჩვენი ორგანიზაციის მთავარი ხელის შემწყობი პირობა იყო მთავრობის ჩვენდამი ნილბა და თანაგრძნობა. დანარჩენი კი ჩვენდა სამწუხაროდ არ იყო მიმართული ისე, როგორც ამას ჩვენი საქმის ინტერესი მოითხოვდა. უდიდესი სიმწვდევეს დაბრკოლებას წარმოადგენდა თვით ბაზრის პირობები. ჩვენი მუშაობის აღნუსხვიდგან თქვენ დაინახავთ, რომ მთავარი ძარღვი ჩვენი საქმისა კომერციაშია. ამნაირი საქმის განვითარებას კი ძალიან უშლიდა ხელს გარეშე ბაზარზე სრული მოწყვეტა და შინაგანზე სპეციულიაციის მეფობა.

არა ნაკლებ გვიშლიდა ხელს ქალაქების გულგრილობა. მათთან მეტად სუსტი კავშირის გვაქვს გაბმული. ეს სამწუხაროა მით უმეტეს, რომ მიზეზი თვით ადგილობრივი თვითმართველობებია. თითქმის არსაიდან არ გვაძლევდენ პასუხს არც ანკეტებზე, არც შეკითხვებზე. ასეთი უბრალო თხოვნაც კი არ შეგვისრულეს, როგორც საბჭოთა და გამვეობათა პრინციპიალური დადგენილებათა პირის გამოგზავნაა. გარდა ამისა არც ერთ განყოფილე-

ბას და არც საერთოთ აღმასრულებელ ბიუროს არ მოსვლია არავითარი შენიშვნა ან რჩევა საქმის ამა თუ იმ ნაკლის შესახებ. თუ ეს გაგრძელდება კავშირი ფიქტიათ გარდაიქცევა. აუცილებლად საჭიროა უფრო მჭიდრო კავშირი ცენტრთან, უფრო მეტი ყურადღება მისი საქმეებისადმი ცალკე წევრისაგან და უფრო სასტიკი, მაგრამ კეთილგანწყობილი კრიტიკა. მაშინ საქმე მტკიცე ნიადაგზე დადგება და თქვენი აღმასრულებელი ორგანოც უფრო ნაყოფიერად იმუშავებს.

ქალაქთა კურშირის საექიმო-სასანიტარო განყოფილების ანგარიში
პირველ ოქტომბრიდან პირველ თებერვლამდე.

I. ცენტრალური საექიმო-სასანიტარო განყოფილება.

კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების მეშვიდე ყრილობაზე გამოიყვანილი ფრიად უნუგეშო მდგომარეობა საექიმო-სასანიტარო საქმისა რესპუბლიკის ქალაქებში. საექიმო-სასანიტარო სექციის მოხსენების თანახმათ ყრილობამ გამოიტანა მთელი რიგი რეზოლუციებისა, რომელნიც ეხებოდენ ამ საქმის ჩიტირანათ მოგვარებას. განყოფილების აზრით უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ქალაქების საექიმო-სასანიტარო მდგომარეობის შესწავლა და მხოლოდ შემდეგ იყო შესაძლებელი საექიმო-სასანიტარო ორგანიზაციის გეგმის გამომუშავება. ამ მიზნის მისაღწევათ წარსული წლის 9 დეკემბერს განყოფილებამ დაუგზავნა რესპუბლიკის ყველა ქალაქებს საანკეტო ფურცლები და სთხოვა. დაებრუნებინა ეს ფურცლები დეკემბრის დამლევს. საგანგებო მიმართვაში განყოფილება აღნიშნავდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მოქალაქეთა ჯანსაღობისათვის ამ ფურცლების საჩვაროთ უკან დაბრუნებას და ამასთანავე აუწყებდა, რომ განყოფილება კისრულობს გაგზავნის სპეციალისტი იმ ქალაქებში, რომელნიც საკუთარი ძალებით ვერ შესძლებენ საანკეტო ფურცელში აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემას. ვერ მიიღო რა პასუხი ვერცერთ ქალაქიდან, არა თუ დეკემბერში, არამედ იანვარშიაც, განყოფილებამ ხელმეორეთ მიმართა ქალაქებს თხოვნით, გამოეგზავნათ უსაჭიროესი ცნობები მაინც საექიმო-სასანიტარო ორგანიზაციის შესახებ. სამწუხაროთ, ქალაქებმა ჯერ-ჯერობით არც ეს ცნობები მოვალეობათ ვრაცხთ აღვნიშნოთ, რომ, თუ ქალაქების თვითმართველობებმა არ გამოიჩინეს თვითმოქმედობა, თუ მათ და ცენტრის შორის არ დაყორდა მჭიდრო და ცხოველი კავშირი, ყოველივე საქმიანობა, ქალაქთა კავშირისა უნაყოფო იქნება. დემოკრატიისათვის ხომ აუცილებელი კეშმარიტებაა, რომ ზევიდან რაიმე რეფორმის გატარება ყოვლათ

შეუძლებელია, თუ ამ რეფორმის განხორციელებაში მონაწილეობას არ მიღებენ ადგილობრივი ძალები.

თავკარილობის რეზოლუციებში აღნიშნული საექიმო-სასანიტარო კითხვების რიგიანათ შესმუშავებლათ საჭირო იყო ისეთი საექიმო ორგანიზაციების შექმნა, რომელიც შესძლებდა ამ მოვალეობის პირნათლად შესრულებას და განყოფილებაც შეუდგა ასეთი აპარატის შექმნას. მან წინადაღება მისცა თბილისში არსებულ ყველა საექიმო ორგანიზაციებს აერჩიათ. თითო ექიმი საექიმო-სასანიტარო საბჭოს სხდომებში მონაწილეობის მისაღებათ. ამ გვარით განყოფილებამ თავისთან დაირსა საექიმო-სასანიტარო საბჭო, რომლის წევრებათ თბილისის საექიმო ორგანიზაციების მიერ გამოგზავნილი ექიმები, განყოფილების ექიმები და პროვიზორი. საბჭოს სხდომები ხდება თვეში ერთხელ; საექიმო ორგანიზაციების მიერ გამოგზავნილ ექიმს თითო სხდომისათვის ჯილდოთ ეძლევა 50- მან.. იანვარში მოხდა პირველი სხდომა საბჭოსი. ამ სხდომაზე განხილულ და მოწონებულ იქნა ერთი ნაწილი იმ სამეცადინო გეგმისა, რომელიც გამოიმუშავა საექიმო-სასანიტარო განყოფილებამ. ამავე სხდომაზე განხილულ იქნა ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის გამგის მოხსენება იმის შესახებ, თუ რა მიზანს უნდა ისახავდეს როგორც ცენტრალური ლაბორატორია, ისე მისი ფილიალური განყოფილებანი. ძირითადი დებულება მოხსენებისა შემდეგია: ცენტრალური ლაბორატორია უნდა შეუდგეს საექიმო შრატების და ასაცრელ ნივთიერების მომზადებას. ამავე დროს აკეთებს კლინიკურ-დიაგნოსტიურ და ქიმიურ ანალიზებს. მანვე უნდა მოაწყოს. რესპუბლიკის ქალაქთა ექიმთათვის თეორეტიული და პრაქტიკული ბაქტერიოლოგიური კურსები, ხოლო ცენტრალური ლაბორატორიის ფილიალური განყოფილებებმა აწარმოონ ანალიზების საქმე და ეპიდემიის დროს მასიური აცრა. ამ ზომების განსახორციელებლათ საჭიროა საქმეს სათავეში ჩაუდგეს გამოცდილი ბაქტერიოლოგი, ხოლო საქმის დასაწყებათ ქალაქთა კავშირმა უნდა გაიღოს 30.000 მან. საბჭოს მიერ მიღებული პროექტის დებულებანი გადაეცა დასამტკიცებლათ აღმასრულებელ ბიუროს.

აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა კავშირის თანამშრომელთათვის საექიმო დაბმარების მოწყობა. საექიმო-სასანიტარო განყოფილებაში შეიმუშავა საავათმყოფო კასის პროექტი და წარუდგინა დასამტკიცებლათ აღმასრულებელ ბიუროს, ხოლო კასის პროექტის განხორციელებამდის, ბიუროს თანხმობით მოიწვია ექიმი, რომელსაც დაავალა კავშირის თანამშრომელთა საექიმო დაბმარება და ქალაქთა კავშირის დეწესებულებების სანიტარულ მდხომარეობის თვალ-ყურის დევნა.

წინწელიანი ტიფის გაჩენისათანავე, განყოფილებამ მიმართა ქალაქებს თხოვნით ეცნობებინათ სენის გავრცელების შესახებ და აგრეთვე იმ ზომების შესახებ, რომელსაც იღებენ ქალაქები სენთან საბრძოლველათ. ამავე დროს განყოფილების წარმომადგენელმა აღძრა განსაკუთრებული

რწმუნებულის წინაშე საკითხი იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს მისას და ქალაქთა კავშირის შორის; კომისიაში, სადაც ეს საკითხი გაირჩა, დადგინდა შემდეგი: განსაკუთრებული რწმუნებული ახდენს განკარგულებებს სენატის ბრძოლაში, ქალაქის თვითმართველობანი იღებენ ხარჯებს, ქალაქთა კავშირი აძლევს ქალაქებს წამალს და საავათმყოფს მოსაწყობ ავეჯეულობას განსაზღვრული ფასებში, ხოლო იმ ხარჯებს, რომლის გაღებასაც ქალაქები ვერ შესძლებენ — ფარავს საგანგებო რწმუნებული მთავრობის მიერ ამ საქმისთვის გადადებულ თანხიდან. თანახმათ ქუთაისის თვითმართველობის მომართვისა, განყოფილებამ დაამზადა დასაბუთებული მოხსენება იმის შესახებ, რათა ქალაქები განთავისუფლებულ იქნება ქალაქის ექიმების, ფერშლების და ბებია ქალების შესანახავ ხარჯების გაღებისაგან და ამ ხარჯების გაღება იკისროს სახელმწიფო ხაზინაში. ეს მოხსენება გადაეცა აღმასრულებელ ბიუროს მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღსაძრელათ.

საექიმო-სასანიტარო საბჭომ თავის მომავალ სხდომაზე უნდა განიხილოს შემდეგი კითხვები: 1) საექიმო დაწესებულები და სასანიტარო ორგანიზაციების ტიპები ქალაქებში, 2) თვითეულ ქალაქისათვის ხარჯთ-აღრიცხვების შედეგენა, 3) იმ კითხების გამორკვევა, თუ რამდენი ხარჯის გაღება შეუძლია თვითეულ ქალაქს. ქალაქთა კავშირის საფინანსო-საეკონომიკო განყოფილებამ უნდა გამოსძებნოს წყარო იმ ხარჯების დასაფარავათ, რომელსაც ვერ გაიღებენ ქალაქები, 4) აფთიაქების მუნიციპალიტაციის კანონ-პროექტის შემუშავება. მინიჭება ქალაქის თვითმართველობებს კერძო აფთიაქების კონტროლის უფლებისა და აფთიაქის გახსნის ნებართვის მიერისა. 5) საკურორტო საკითხი. საკურორტო თავყრილობის მოწვევა. თავყრილობის სამეცადინო გეგმა.

ომის დაწყების შემდეგ განყოფილების შემოქმედებით მუშაობა შესწყდა და იგი იძულებული გახდა მთელი თავისი მუშაობა ლაზარეთების გახსნისათვის, დაჭრილ და ავათმყოფ მეომართა სამსახურისათვის მოენდომებინა. ეს მუშაობა განყოფილებამ დაიწყო 13 დეკემბერს, ომის გამოცხადების დღიდან. 20-ს დეკემბერს აღმასრულებელი ბიუროს წინადადებით, განყოფილება შეუდგა შემხვევი რაზმის მოწყობას და 30-ს დეკემბერს, ოცდა ცხრა კაცისაგან შემდგარი რაზმი ყოველივე საჭირო მასალით გაემგზავრა სანაინის მიმართულებით.

ქალაქთა კავშირის თავმჯდომარის მიერ, თანახმათ მთავრობის წინადადებით 24/12, მოწვეულ იქმნა თათბირი სამხედრო უწყების, წითელი ჯვრის, სახალხო გვარდიის და საექიმო-სასანიტარო განყოფილების წარმომადგენლებისა; ამ თათბირზე გადაწყდა დაარსდეს სამხედრო სასანიტარო ინსპექტორთან ცენტრალური სამხედრო სასანიტარო საბჭო, რომლიმოვალეობას შეადგენდა ამ მოქმედ ჯარის საექიმო და სასანიტარო მოთხოვე ნილების დაქმაყოფილება. ამავე თათბირმა ქალაქთა კავშირს დაავალი

გახსნას ლაზარეთები მომქმედ ჯარის ზურგში; თანახმად ამ დადგენილებისა საექიმო-სასანიტარო განყოფილებამ დეკემბრის ბოლო რიცხვებში გახსნა ქირურგიული 192 საწოლიანი ლაზარეთი მიხეილის საავათმყოფოში და 200 საწოლიანი თერაპევტიული ლაზარეთი ალექსანდრეს საავათმყოფოში. 9 იანვარს გახსნა 200 საწოლიანი წინწკლიანი ტიფით ავათმყოფ-თათვის ლაზარეთი ქალაქის საავათმყოფოს „ბარაკებში“, ხოლო 16-ს იანვარს ბორჯომში აგეთივე ავათმყოფთათვის 70 საწოლიანი ლაზარეთი. სამხედრო საფერმშლო სკოლაში განყოფილებამ მოაწყო 400 საწოლიანი ლაზარეთი და გადასცა თბილისის თვითმართველობას წინწკლიანი ტიფით ავათმყოფთა მოსათავსებლათ. ალექსანდრეს საავათმყოფოში არსებული ლაზარეთი დაიხურა 24/12, ხოლო განყოფილება დღეს განაგებს მიხეილის საავათმყოფოში, ქალაქის საავათმყოფოში და ბორჯომში არსებულ ლაზარეთებს. ქალაქთა კავშირის მიერ ამ ლაზარეთების შესანახავათ გალებული ხარჯების რაოდენობა პირველ თებერვლამდის უორის 430.201 მან. 88 კაპ.

II. ქვეგანყოფილებანი.

I. ბაქტერიოლოგიური დაბილრაციონი.

ქალაქთა კავშირმა მემკვიდრეობით მიიღო სამხედრო ქალაქთა კავშირიდან ბექტერიოლოგიური რაზმი, რამელიც წინეთ ემსახურებოდა ლაშქარს და აქმაყოფილებდა მხოლოდ მის მოთხოვნილებას. მუნიციპალურმა ქალაქთა კავშირმა სულ სხვა მიზანი დაისახა და ამ მიზნის და მრხედვით ბაქტერიოლოგიურმა ლაბორატორიამაც უნდა სხვა გვარ მოქმედებას მიჰყოს ხელი. თუ წინეთ რაზმი ჯარში აცრის საქმეს ფართოთ აწარმოებდა, ეხლა ლაბორატორიამ მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაქციოს სალაბარატორიის მუშაობას, ეხლავე უნდა შეუდგეს სამუქრნალო შრატების და ასაცრელ ნივთიერებათა დამზადებას და განაგრძოს ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზების წარმოება. ხოლო ეპიდემიის დროს აწარმოოს აცრის საქმეც. ასეთი უნდა იყოს მოქმედების გეგმა, როგორც ცენტრალური ლაბორატორიისა, ისე მისი ფილიალური განყოფილებებისა. საანგარიშო ხნის განმავლობაში ლაბორატორიის მოქმედება გამოიხატა შემდეგში: თბილისის ლაბორატორიის გაუკეთებია 1.042- ანალიზი, ქუთაისისას 282, ბორჯომისას 441, სულ 1.764 ანალიზი. თუ აქვე წარმოდგენილ დიაგრამებას დავათვალიერებთ, ნათლად დავინახავთ, რომ დაწყებულ სექტემბრიდან რიცხვი გაკეთებულ ანალიზების თან და თან იზრდება.

ანალიზების წარმოების გარდა ლაბორატორია ამზადებდა გონიკებებს და სტაფილო-კოკებს სამუქრნალო ასაცრელ მასალას, აგრეთვე ტიფისა და ხოლერისაგან თავდასაცავ ასაცრელ ნივთიერებას და ტეტროვაქციისას. გასული წლის ხოლერობის დროს ბაქტერიოლოგიური რაზმი აწარმოებდა ამ

სენთან ბრძოლას და მან აუცრა 91.706 პირს. უახლობელესი სამოქმედო გეგმა ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიისა უკვე აღნიშნულია ზევით.

2. ოფიციალური საწყის.

გასულ წლის 15-ს ოქტომბერს დამთავრდა აღწერა საწყობის მთელი ქონებისა; ამ ქონების რაოდენობა მაშინ უდრიდა 840.000 მან. ძველი ფასებით. საწყობის დანიშნულება — მიაწოდოს რესპუბლიკის ქალაქებს წამალი, სადოსტაქრო ხელსაწყო და შესახევევი მასალა. ყველა ეს საქონელი ქალაქებს ეძლევათ მომარაგების კომიტეტის კასებში ოცდა ხუთი პორცენტის დაკლებით; საქონლის წალებისას ქალაქები იხდიან ღირებულობის ერთ მეოთხედს. ყველა სხვა დაწესებულებებს საქონელი ეძლევა მომარაგების კომიტეტის მიერ გამომუშავებულ ფასებში და ნალდ ფულზე. საანგარიშო ხნის განმავლობაში რაოდენობა ქალაქების მიერ წალებულ საქონლისა უდრის — 361.369 მან. 77 კაპ. სხვა და სხვა დაწესებულებების მიერ — 200.708 მან. 20 კაპ.—სულ საწყობის მიერ გაცემულია — 562.077 მან. 97 კაპ. ღირებულების საქონელი. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქალაქების მიერ დაკვეთილი საქონელი მთელი თვეებით აწყვია დამზადებული და ამ შემთხვევებში, განყოფილება იძულებული ხდება მიმართოს ქალაქებს თხოვნით, რომ საქონელი წაილონ. სასურველია, რომ მომავალში ასეთ მოვლენას არ ქონდეს ადგილი. განყოფილების მიერ გამართულია მოლაპარაკება სამხედრო უწყებასთან წამლების შექნის შესახებ და ამ მოკლე ხანში მიიღებს მისგან წამლებს. ოდესის ფირმის წარმომადგენელთან მოლაპარაკება შესწყდა, რადგან წარმომადგენელის მიერ წაჩერები ფასების მიღება განყოფილებამ ვერ სცნო შესაძლოთ. თუ პოლიტიკური პორიზონტი გადიწმინდა განზრახულია მომზადებულის პირის გაგზავნა ოდესაში და აგრეთვე საზღვარ გარეთაც, წამლების შესაძენათ.

III. ქონება საექიმო-სასანიტარო განყოფილებისა.

მიმდინარე წლის პირველ თებერვლისათვის საექიმო-სასანიტარო განყოფილების ყველა დაწესებულებებში იყო: თბილისის, ქუთაისის და ბორჯომის ლაბორატორიებში ავეჯეულობა 22.451 მან. და 57 კაპ. ღირებული. ამავე ლაბორატორიებში წამლები და სხვა ქონება — 45.705 მან. 77 კაპ. ღირებული. აფთიაქის საწყობში — ავეჯეულობა 17.040 მან. და 40 კ. ღირებული, ხოლო წამლები, სადოსტაქრო ხელსაწყო, შესახევევი მასალა და სხვა ქონება 564.750 მ. ღირებული.

აღნიშნულ ფასებში საქონელი თვით განყოფილებას აქვს შეძენილი.

IV. საექიმო-სასანიტარო განყოფილების დაწესებულებათა მო-
სამსახურების შტატები.

I. ჩენტრალური დაწესებულება.

ა) გამგე განყოფილების, წევრი კომიტეტისა	1.200 მან.
ბ) გამგე განყოფილებისა მოწეული ექიმი	1.200 მან.
გ) საქმის მწარმოებელი	550 მან.

2. ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია.

თბილისი: ა) გამგე ლაბორატორიისა	1.000 მან.
ბ) ხუთი ლაბორანტი	2.500 მან. (500 მ. თითოს)
გ) ორი სანიტარი	750 მ. (375 მან. თითოს)
ქუთაისი: ა) ლაბორატორიის გამგე	900 მან.
ბ) ლაბორანტი	750 მან.
გ) სანიტარი	375 მან.
ბორჯომი: ა) ლაბორატორიის გამგე	759 მან.
ბ) სანიტარი	375 მან.

3. აფთიაქის საწყლო.

ა) საწყობის გამგე	900 მან..
ბ) მისი თანაშემწე	750 მან.
გ) შეკვეთილი საქონლის გადამრჩევი	650 მან.
დ) იმავე საქონლის გასაგზავნათ დამზადებელი.	450 მან.
ე) დამზადებული საქონლის მეთვალყურე და გამგზავნი. 500 მ.	
ვ) ორი მუშა	750 მ. (375 მ. თოთოს)
ზ) ორი დარაჯი	1.200 მან. (600 მ. თით.)
ნ) კანტორის მოსამსახურე	400 მან.

სახალხო განათლების განყოფილების უმცის მოსსენება ქალაქთა
წარმომადგენელების ყრილობაზე.

ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტს მეშვიდე ყრილობისაგან, დავა-
ლებული ქონდა მოწყვო სახალხო განათლების განყოფილება. მან ეს
დავალება შეასრულა და სახალხო განათლების განყოფილება პირველ თა-
ვის სხდომაზედვე დაარსა. ამ განყოფილების გამგეობა და ხელმძღვანელობა
ჩაბარებული ქონდა მთავარი კომიტეტის წევრს ს. რობაქიძეს. რადგან ეს

განყოფილება ახლად არსებობდა, მას ქალაქთა კავშირში არავითარი ტრადიციები არ ქონია და ამიტომ არც არავითარი მემკვიდრეობა მიუღია მას. ამიტომ ამ განყოფილებას მოუხდა მუშაობის ახლად დაწყება და მოწმედების გეგმის ახლად შემუშავება.

განყოფილების გამგემ შეიმუშავა მოქმედების გეგმა, მაგრამ ამ გეგმის ცხოვრებაში გატარება უნდა მომხდარიყო მხოლოთ მთავარი კომიტეტისაგან დადასტურების შემდეგ; — ამიტომ ეს გეგმა წარუდგინა განსახილველათ მთავარ კომიტეტს. მთავარმა კომიტეტმა განიხილა გეგმა და, რადგან გეგმაში ნაჩვენები იყო სპეციალური მუშაობის ცხოვრებაში გატარება, დაადგინა განყოფილების გამგემ მოიწვიოს სპეციალისტებისაგან შემდგარი თათბირი, შემდეგ მოწონებისა და ცვლილების შეტანისა დაიწყოს ონიშნული გეგმით მუშაობა. ასეთი თათბირი მოწვევულ იქნა; თათბირმა, რომელიც შესდგებოდა თბილისის თვითმართველობის გამგეობის წევრის კონიაშვილისაგან, სახალხო სკოლების ინსტრუქტორის გ. ჯაფარიძისაგან და გამოცდილი მასწავლებლის ს. გრიაზნოვისაგან, განათლების განყოფილების გამგისაგან — შემუშავებული გეგმა მოიწონა და სასურველათ სცნ მისი ცხოვრებაში გატარება.

ამ გეგმაში აღნიშნული იყო განყოფილების მოღვაწეობის უსაჭიროესი და უახლობელესი მიზნები და მათი მისაღწევი, საშუალებანი. ეს მიზნები და საშვალებანი იყო შემდეგი:

1. უშიორველეს ყოვლისა განათლების განყოფილებას ყურადღება უნდა მიეცია რესპუბლიკის ცველა ქალაქებში საყოველთაო, უფასო და სავალდებულო სწავლის შემოღებისათვის. თათბირმა ამ ცორმულას მესამე მუხლი მოაშორა, რადგან, მისი აზრით, ჯერჯერობით სავალდებულო სწავლის შემოღება მოუხერხებელი იქნება. რაც შეეხება ფორმულის ორ მუხლს, ესე იგი, საყოველთაო და უფასო სწავლას, ეს, თათბირის აზრით, შესაძლებელია ეხლავე იქნას გატარებული ცხოვრებაში. ამისთვის გეგმაში ნაჩვენები იყო შემდევი საშუალებანი და ზომები: ქალაქთა კავშირის სახალხო განათლების განყოფილების ხელმძღვანელობით უნდა მომხდარიყო ყველა ჩვენ ქალაქებში დაწვრილებითი აღწერა საშუალო ასაკის ყანვილებისა და ამ აღწერის შედევების მიხედვით შემუშავებულიყო პირველ დაწყებითი და უმაღლესი პირველ დაწყებითი შეკოლების ქსელი. როცა აღინიშნებოდა რაოდენობა სკოლებისა უნდა შემდგარიყო თვითეული ქალაქისათვის ხარჯთაღრიცხვაც. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ქალაქთა თვითმართველობების ეხლანდელი ბიუჯეტი ამ ხარჯებს ვერ დააკმაყოფილებდა და ამიტომ კავშირის მთავარ კომიტეტს უნდა შეემუშავებინა შესაფერი კანონპროექტი სასკოლო გადასახდის შემოსალებათ და წარუდგინა პარლამენტში გასატარებლათ. მაშასადამე, ეს მიზანი განყოფილებისა მოითხოვდა ქალაქებში აღწერის მოქმედებს და, რადგან ეს მუშაობა საჩქაროთ ვერ

შესრულდებოდა, ილმასრულებელმა ბიურომ განყოფილების გამგეს დაავალა ესარგებლა იმ აღწერით, რომელიც მოხდა ამ ათი წლის წინათ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით. განყოფილების გამგემ მიმართა განათლების სამინისტროს თხოვნით ამ ცნობის მისაღებათ. საჩქაროთ ვერც ეს ცნობები იქნა მიღებული და შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ასეთი ცნობები შესახებ ქალაქების სამინისტროში არც კი ყოფილა. ყველა ამ მიზეზების გამო აღნიშნული მიზნის განხორციელება დაგვიანდა და დღესაც განყოფილებას არ შეუდგენია ქალაქებისათვის პირველ დაწყებითი სკოლების ქსელი. ამიტომ გინყოფილება უუცილებელ საჭიროა სთვლის არ უცადოს სამინისტროსაგან ცნობების მიღებას და თვითონ შეუდგეს აღნიშნული მუშაობის. შესრულებას ადგილობრივ თვითმართველობამა დამარცხებით.

2. თავის მოქმედების გეგმაში განყოფილებამ მეორე, ადგილზე დააყენა საკითხი შესახებ სასკოლო აღმშენებლობისა. საქმე ის არის, რომ ეს საკითხი ჩვენ სკოლის ცხოვრებაში სრულიათ უყურადღებოთ იყო დატოვებული; ვინც რამდენადმეთ მაინც იცნობს ჩვენი სკოლის ცხოვრებას; მან ძალიან კარგათ იცის, თუ როგორ შენობებში არის მოთავსებული სახალხო სკოლები, ზოგიერთ ადგილში ხარჯსაც არ ერიდებოდენ სკოლის შენობისათვის, მაგრამ იშვიათათ შეხვდებით ისეთ სასკოლო შენობებს, რომელიც რამდენათმე მაინც ასრულებდენ სკოლის მოთხოვნილებას. ევროპაში სახალხო განათლების საქმეში სასკოლო აღმშენებლობას უპირველესი ადგილი უჭირავს. ქალაქში თუ სოფელში, იქ სკოლის შენობა საუკეთესო შენობა არის. ადგილობრივ მცხოვრებთა კეთილდღეობის მაჩვენებელი იქ სკოლის შენობა არის. იქ დარწმუნებული არიან მთავრობებიც და საზოგადო ორგანიზაციებიც, რომ სწავლა—აღზრდის რაციონალურათ დაყენებისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ამ საქმისთვის ხელის შემწყობი გარეშე პირობები. გიგიენურათ, პედაგოგიურათ და ესტეტიურათ; სკოლის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი შენობები ყველასთვის სავალდებულოთ არის ცნობილი, როგორც მთავრობასაგან, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდანაც.

ქალაქითა კავშირის განათლების განყოფილებამ სხვათა შორის ერთ უმთავრეს მიზნათ დაისახა ხელი შეუყოს ჩვენ ქალაქებში ამ ფრიად დიდმნიშნელოვან საქმის შესაფერ ნიაღაზე დაყენებას. ამ მიზნის განსახორციელებლათ განყოფილებას უნდა თავის განკარგულებაში ყავდეს სპეციალისტი ინჟინერ-არქიტეკტორი და სანიტარი-ექიმი. ეს ორი სპეციალისტი შეიმუშავებს სხვა და სხვა გეგმებს ყოველგვარი ტიპის შენობებისას და ასეთ შემუშავებულ გეგმებს მიაწვდის ადგილობრივ თვითმართველობებს. როდესაც რომელიმე თვითმართველობა შეუდგება სასკოლო შენობის აგებას, ეს სპეციალისტები დამარცხებას აღმოუჩენენ მას გეგმის შედგენით და შემდეგ უხელმძღვანელობენ ამ შენობების წესირათ აგებას. თვითეული ქალა-

ქისათვის ასეთი სპეციალისტების ყოლა და შენახვა დიდი ხარჯების გამო შეუძლებელი იქნება, ხოლო ცენტრალური ორგანო ქალაქებისა კი ადვილათ შესძლებს ამ საქმის თავის თავზე აღებას და დიდ სამსახურსაც გაუწევს ადგილობრივ თვითმართველობებს განათლების წესიერ ნიადაგზე დასაყენებლათ.

3. სასკოლო აღმშენებლობაზე არა ნაკლები ყურადღების მიქცევა არის საჭირო სკოლისათვის საჭირო ავეჯის დამზადებაზე. ამ მხრივაც ჩვენი სკოლები აუტანელ პირობებში არიან ჩაყენებული. თუ როგორ ასახიჩრებს მოზარდ თაობას უვარვისი სასკოლო ავეჯი, ამის შესახებ პედაგოგიური ლიტერატურაში მრავალი მეცნიერული გამოკვლევები არსებობენ.

ქალაქთა კავშირის განათლების განყოფილებამ განიჩრას ჩვენი ქალაქების სკოლის ამ მხრვ უზრუნველ საყოფათ თბილისში სასკოლო ავეჯების დასამზადებელი სახელოსნოების მოწყობა. ასეთი სახელოსნოები დაამზადებენ ქალაქების შეკვეთით მათი სკოლებისათვის საჭირო სასკოლო ავეჯებს და ამით გაადვილებენ მათ სკოლების ნორმალურ პირობებში ჩაყენებას. ასეთი სახელოსნოს დაარსება და მოწყობა ცენტრალური ორგანოსათვის მოსახერხებელი და შესაძლებელიც არის და სარგებლობა დიდი იქნება ჩვენი თვითმართველობებისათვის:

4. ქალაქთა კავშირის განათლების განყოფილებამ ანგარიში გაუწია იმ გარემოებას, რომ ჩვენ ახლად გაეროვნებულ სკოლას თითქმის არ მოეპოვება არავითარი საშუალება ცხოვერებაში ეროვნული პრინციპის გასატარებლათ. საქმე ის არის, რომ სკოლის გასაეროვნებლათ არ კმარა მარტო სამშობლო ენაზე სწავლის წარმოება. აუცილებლათ საჭიროა სკოლას ქოდეს ამ გაეროვნებისათვის გამოსადეგი, ჩვენ ბუნებასთან და ჩვენი ცხოვრების ზე-ჩვეულებასთან შეკავშირებული და შეთანხმებული სახელმძღვანელოები და სხვა და სხვა გვარი სასწავლო დამხმარე საგნები. დღემდის ჩვენი სკოლა უმთავრესათ რუსული სახელმძღვანელოებით იკვებებოდენ. დღეს გაეროვნებული შეოლისათვის საჭირო შეიქნა მრავალი სხვადასხვა გვარის სახელმძღვანელოები. მართალია არსებობს რამდენიმე კერძო გამომცემლობა, მაგრამ მათთვის ეს საქმე უმთავრესათ ვაჭრული თვალისაზრისით იზომება. ნამდვილათ კი ამ საქმის წესიერ ნიადაგზე დაყენებას სკოლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. უვარვისი სახელმძღვანელო სრულიათ აქარწყლებს მასწავლებლის შრომას და ხელს უშლის განათლების წესიერ კალაპოტში ჩაყენებას. ამიტომ კავშირის განათლების განყოფილებამ საჭალდებულოთ დაინახა ამ საქმის თავის ხელში აღება რამდენათაც მოსახერხებელი იქნება მისი მოწყობა. ამ მიზნის განსახორციელებლათ ქალაქს აქვს მშვენიერათ მოწყობილი სტამბა, უკვე მოაწყო კარგი სახელოსნო, რვეულების დასამზადებლათ და აუცილებლათ უნდა მოაწყოს კარგი ლიტოგრაფია და ცინკოგრაფია. ასეთი დაწესებულებების საშვალე-

ბით განყოფილებას შეძლება მიეცემა გააფართოოს სასწავლო ნივთების, სხვა და სხვა სურათების და ქარტების გამომცემბლობა. და ჯეროვან ნიადაგზე დააყენოს სახელმძღვანელოების გამოცემის საქმე.

კავშირის განათლების განყოფილება ისეთ დროს მოეწყო და შეუდგა მოქმედებას, რომ წრევანდელი სასწავლო წლისათვის სახელმძღვანელოებების გამოცემაზე ზრუნვა დაგვიანებული იყო: სახელმძღვანელოთა ავტორებს უკვე გადაცემული ჰქონდათ თავისი ნაშრომები გამომცემლებისათვის. მომავალი წლისათვის განყოფილება ფიქტობს გამოსცეს რამდენიმე სახელმძღვანელო, თუ როგორმე თავი დააღწია ბაზარზე არსებულ ქალალდის კრიზისს; მიღებულია ზომები საზოგადო გარეთიდან საბეჭდავი ქალალდის შემოსატანათ. დღეს მხოლოდ რამდენიმე ათი ათასი სასკოლო რვეულის გამოცემა მოახერხა განყოფილებამ და ამ რვეულებს ხელმისაწვდომ ფასებში აძლევს საზოგადოებრივ დაწესებულებებს რომელთაც განათლებასთან პირდაპირი კივშირი აქვთ.

5. ქალაქთა კავშირის განათლების განყოფილებამ. სხვა მიზანთა შორის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მიზანი სკოლის გარეშე განათლების მოგვარების საკითხი ყველაზე უფრო საჭირო ბოლო საჭირო საკითხათ ჩასთვალიდან მის მოსაწესრიგებლათ, მუშაობასაც შეუდგა. ჩვენ ყველამ კარგათ ვიცით, რომ ცხოვრების უკულმართი პირობების გამო ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა უმეტესობა სკოლის გარეთ იყო დატოვებული. სკოლის საშვალებით განათლების მიღება მარტო იმას შეეძლო, ვისაც ამისათვის საჭირო მატერიალური სახსარი ქონდა. რადგან მცხოვრებთა უმეტესი ნაწალი მუდამ სიღარიბეს და უსახსრობას განიცდიდა, ამიტომ ამ უმეტესობის შვილები სკოლის გარეთ რჩებოდა. დღეს ჩვენი ცხოვრების პირობები სრულიად შეიცვალა. დემოკრატიული ორესპუბლიკა თავის მოვალეობათ სოფლის საყოველთაო სწავლა შემოიღოს მთელ რესპუბლიკაში და, ცხადია, მომავალი თაობა სკოლის გარეთ აღარ დარჩება, მაგრამ, რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, ჩვენ ვალდებული ვართ გაასკეცებული ენერგიით ვიზრუნოთ სკოლის გარეშე დარჩენილ მოქალაქეთა გათვითცნობიერებაზე. ამ მიზნისათვის საჭიროა ყოველ ქალაქში მოეწყოს საკირაო სკოლები, სალამოს კურსები და სახალხო უნივერსიტეტები. საკვირაო სკოლების და სალამოს კურსების მოწყობას ადგილათ შესძლებს ადგილობრივით თვითმართველობა ადგილობრივი ძალების საშალებით, მაგრამ რაც შეეხება სახალხო უნივერსიტეტის მოწყობას, ეს ძნელი იქნება არაშც თუ პატარა ქალაქებისათვის, არამედ დიდი ქალაქებისათისაც კი. ამიტომ ქალაქთნ კავშირის ცენტრალური ორგანონ ვალდებულია იზრუნოს ამ საქმის მოსაგვარებლათ. განათლების განყოფილება კიდევაც შეუდგა ამ საქმეზე ზრუნვას და შეიმუშავა დაწვრილებითი გეგმა მოძრავი სახალხო უნივერსიტეტისა. მუშაობა ამ საკითხის შესახებ დაწყებულია. ქალაქებში გაგზავნილი იყო შესა-

ფერი პირები საკითხის ადგილობრივ გამოსარკვევათ და, მიღებული ცნობების მიხედვით, განათლების განყოფილება შეუდგება აპრილის პირველ რიცხვებიდან ამ დღიდ—მნიშვნელოვან საკითხის პრაქტიკულათ ცხოვრებაში გატარებას.

6. ქალაქთა კავშირის განათლების განყოფილებას განზრახული აქვს აგრეთვე დახმარება აღმოუჩინოს ქალაქთა თვითმართველობებს საყმაწვილო ბალების მოწყობაში. პედაგოგიკაში ცნობილია, რომ ყმაწვილების აღზრდა იწყება დღიდან დაბადებისა. საყოველთაო სწავლის შემოღების გეგმაში ჩვენ მიღებული გვაქვს დებულობა, რომ სკოლაში იწყებდეს ყმაწვილი 7—8 წლიდან. ამ დრომდე ის მშობელთა გავლენის ქვეშ იმყოფება, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მოქალაქეთა უმეტესი ნაწილი, სოციალური უსამართლობის გამო, მთელი დღის განმავლობაში იძულებულია ლუქმა პურის მოსაპოებლათ იზრუნოს და ამიტომ ის ასეთ პირობებშია ჩაიგენებული, რომ უმეტეს დროს ოჯახს გარეთ ატარებენ და ან არავითარი საშვალება არა აქვს თავის შვილების გონებრივ თუ ზნეობრივ აღზრდაზე იზრუნოს. აი, ასეთი მშობლების ბავშვები ქუჩის შვილებათ ხდებიან და რა გასაკვირვალია, რომ მათი აღზრდა ხდება ქუჩის გავლენის ქვეშ. ამიტომ მთავრობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ვალდებული არიან ამ ელემენტზე იზრუნონ და მოუწყონ მათ ისეთი პირობები, რაც მათ გონებას და ზნეობას ნორმალურ პირობებში განავითარებს. ამ მიზნის განსახორციელებლათ ქალაქთა კავშირის განათლების განყოფილება ფიქრობს დახმარება აღმოუჩინოს ადგილობრივ თვითმართველობებს საყმაწვილო ბალების მოწყობაში. ამისათვის განყოფილება ეცდება მასალები მიაწოდოს ქალაქებს საყმაწვილო ბალების მოსაწყობათ. ასეთი ბალების მოწყობა თხოულობს სპეციალისტების მუშაობას და ისეთი სპეციალისტების შოვნა პატარა ქალაქებისათვის მოუხერხებელი იქნება და ცენტრალური ორგანო კი ყოველივე. ამას ადვილათ შესძლება.

7. ქალაქთა კავშირის განათლების განყოფილება თავის ვალდებულებათ სთვლის აგრეთვე ხელი შეუწყოს ქალაქებს მასწავლებელთა მომზადებაშიაც. ამ მიზნის განსახორციელებლათ განათლების განყოფილება ფიქრობს დრო გამოშვებით მოაწყოს მასწავლებელთათვის სპეციალური კურსები და ყრილობები.

8. ამ უკანასკნელ დროს წიგნებით და სასწავლო ნივთებით ვაჭრობა სასპეკულიაციო საგნათ გადაიქცა. საჭირო წიგნის შოვნა ბაზარზე შეუძლებელია და თუ იშოვა კაცმა ასეთი წიგნი, ერთი ათად და ხშირათ ერთი ასათ შეტი ფასი უნდა მისცეს. ასევე ითქმის ყოველგვარ საკანცელიარიო ნივთებით სავაჭრო მაღაზია. ამ მაღაზიიდან ადვილათ შეიძენნ ქალაქთა თვითმართველობები თავის სკოლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოებს და სასწავლო ნივთებს; გარდა ამისა ამავე მაღაზიის საშვალებით განათ-

ლების განყოფილება გადღვილებს ყოველგვარ ლიტერატურულ ნაწარმოების შეძენას როგორც ადგილობრივ ენებზე, აგრეთვე უცხო ენებზედაც.

9. სწავლა-აღზრდის საქმეში ამ ჟამათ დიდი უურადლება აქვს მიცემული ევროპაში სასკოლო პროფექტორების მოწყობას, ასეთი პროფექტორები დიდ სამსახურს გაუწევენ ჩვენს სკოლებს, თუ ისინი წესიერათ მოწყობიან ამა თუ იმ ადგილში. ასეთი პროფექტორების მოწყობა რასაკვირველია, ადგილობრივ თვითმართველობათა დამარებით თავის თავზე უნდა მიიღოს ქალაქთა კავშირის განათლების განყოფილებამ. მას შეუძლია ჯერ-ჯერობით სხვა და სხვა ფირმებისაგან შეიძინოს ამ მიზნის შესაფერი სურათები და აპარატები და მომავლისათვის კი თვითონ დაარსოს ასეთი სურათების დასამზადებელი დაწესებულებანი.

კიდევ ბევრი რამეს გაკეთება შეუძლია სახალხო განათლების სასარგებლოთ და ასაყვავებლათ ქალაქთა კავშირს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ზემორე აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებაც საკმაო იქნება მისთვის და ამიტომ აქ აღარ შეუდგები დანარჩენ საჭიროებაზე ლაპარაკი:

მე ვისურვებ მხოლოდ, რომ ყრილობამ შესაფერი ყურადღება მიაქციოს მოხსენებაში აღნიშნულ საჭიროებებს და დაადასტუროს კავშირის განათლების განყოფილების მუშაობის გეგმა. არც ერთი აქ ჩამოთვლილი საჭიროება აღვილი საქმე არ არის და ამიტომ მათი განხორციელება აჩქრებით ვერ იწარმოებს. ასეთ სამუშაოს სჭირდება სერიოზული მოპყრობა, მოთვიქრებული და აწონ-დაწონილი ნაბიჯების გადაღვენა და თანდათანობით ცხოვრებაში გატარება. განათლების განყოფილების არსებობა მეტათ ხანმოკლეა და ამაზე მეტის გაკეთება, რაც მან ამ მოკლე დროში შესძლო, მას არც მოეთხოვება.

ქ რ მ ნ ი პ ა.

კალაქთა თვითმართველობაზი:

დამფუძნებელი კრების დეკრეტი ქალაქებში დაუსახლებელ აღვილ-მამულის შესახებ.

1. დროებით აირძალოს ქალაქის ფარგლებში მდებარე დაუსახლებელ აღვილ-მამულის სხვისათვის საკუთრებად გადაცემა, დაგირავება და აგრეთვე იჯარით გაცემა ერთ წელზე მეტის ვადით დღიდან ამ დეკრეტის მიღებისა.

2. დასახლებულ ადგილ-მამულად, რომელიც ამ შეზღუდვისაგან თავისუფალია, ითვლება ყველა მიწა, რაზედაც ამ დეკრეტის გამოცემამდე სახლი, ქარხანა ან სხვა შენობა იყო და აგრეთვე ტერიტორია ამ შენობის გარშემო საერთო სივრცით არა უმეტეს ერთი დესიატინისა.

3. ყოველი ხელშეკრულება, რომელიც ამ დეკრეტის გამოცემამდე ან შემდეგ არის დადებული და ეხება. აკრძალვა დადებულ მიწის იჯარით გაცემას ერთ წელზე მეტის ვადით, ძალას კარგავს ერთი წლის გასელისა-თანავე დღიდან ამ დეკრეტის მიღებისა. დამფუძნებელი კრების მიერ.

4. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

— მიწების ყიდვა-გაყიდვის ქალაქებში აკრძალვის გამო ქუთ. სამაზრო ერობის გამგეობამ მისწერა ნატარიუსებს ეხლავე, მათ სახელზე განკარგუ-ლების მიღებამდე, შეაჩერონ. ნაყიდობების დამტკიცება, რადგან გამგეობის ცნობით ზოგი მემამულე შეეცადა მოესწრო მიწის გაყიდვა. ამის შესახებ გამგეობამ აცნობა სამინისტროს, საიდანაც შემდეგი დეპეშა მოუვიდა.

კანონი ქალაქის მიწების გაყიდვის აკრძალვისა მიღებულია 15 აპ-რილს ამ დღიდვან შედგენილი სიმტკიცის ქალალდს ძალა აქვს, უკა-ნონოა.

— თბილისის საბჭოს 28 აპრილს სხდომაზე მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებანი: სანიტარული გადასახადის შემოლების შესა-ხებ რაზედაც მოხსენება გააკეთა გამგეობის წევრება გ. კონიაშვილმა: საბ-ჭომ დაადგინა: რადგან ქალაქი ანტესანიტარულ მდგრამარეობაშია, რადგან, არ არის საყოფი სუფთა წყალი, ჰაერი მოწამლულია და სხ. და ამის გრ-მი გადამდები სენი ვრცელდება, სენიან საბრძოლველად კი ქალაქს საშუა-ლებები არა აქვს, გაიწეროს მოქალაქეებზე სანიტარული გადასახადი. გა-დასახადი ეხება იმ პირებს, რომლებიც აპრილში იღებდენ ჯამაგირს. ან შემოსავალი ჰქონდათ არა ნაკლები 700 მ. თითო პროცენტი, ზევით ვინც იღებს თანდათან ემატება შემოსავლის კვალობაზე. სხვა და სხვა თხოვნების და საჩივრების გასარჩევად, რომლებიც ამ გადასახადის გატარებასთან იქნება დაკავშირებული, აირჩევა სპეციალური კომისია.

საბჭომ დააგალა გამგეობას აღძრას შუამდგომლობა, რათა ნება მიე-ცეთ მათ, რომ ეს გადასახადი მალე იქნეს შემოლებული ქალ. თბილისში.

— წლალზე ნიხრის გადიდება. მოხსენება შესახებ წყალზე ნიხრის გადიდებისა ვედროზე 5 კ. საბჭომ ერთხელ უკვე განიხილა და გადასცა საზიუ-ჭეტო-საფინანსო კომისიას განსახილველათ. კომისიამ წარმოადგინა, თავისი დასკვნა, რომელითაც წყალზე ნიხრი გადიდებულ იქნა ვედროზე 5 კავ.

— თბ. ქალ. გამგეობის მეხუთე წევრათ არჩეულ იქნა გიორგი შო-თაძე. მილიციის უფროსათ არჩეულ იქნა ყოფილი ქუთაისის ქალაქის მილიციის უფროსი ვლ. სულაქველიძე.

— ალექსანდრეს სახელობის სააგათმყოფოს ხარჯთ-აღრიცხვა. ქა-ლაქის გამგეობის მოხსენება შესახებ ალექსანდრეს სახელობის სააგათმყო-ფოს სახადით ავათმყოფების განცოლილების შესანახი ხარჯთ-აღრიცხვისა, რომელიც სამი თვით ნაანგარიშებია 367.638. მან. 15 კ., საბჭომ გადასცა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას განსახილველათ და დასამტკიცებლათ.

სანამ ეს ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულ და წარდგენილი იქნება კომისიის მიერ, გამგეობას ეძლევა უფლებას დახარჯოს თითო ავათმყოფის შესანახად დღეში 20 მანეთი.

— ავანსის მიცემა. ქალაქის გამგეობამ დაადგინა ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებს ეხლავე მიეცეთ ავანსი თითოს 200 მანაპრილის ჯამაგირის ანგარიშში.

— მეშვიდე დამატება. კინაიდან ქალაქის საბჭომ 17 მარტს პრინციპიალურად მიიღო ჯამაგირებზე მეშვიდე დამატების დანიშვნა უფროს პასუხის მგებელ მოსამსახურეებზე. დამატების ორდენობა უფრო მეტი უნდა იყოს, ვინემ იგი დაენიშნება დანარჩენ მოსამსახურეებს, ქალაქის გამგეობამ დაადგინა იმ პირთ, რომელიც 17 მარტის შემდეგ სამსახურს თავს დაანებებენ, სანამ საბჭო გადასწყვევტს ამ მომატების რაოდენობას, უფლება აქვთ 1 იანვრიდან თვეში 250, მან. მიღლონ.

— ქალაქის ფარმაცევტების მოთხოვნილება. თბილისის აფთიაქებში შესამსახურეთა კაფშირმა ქალაქის გამგეობას მოთხოვნილება წარუდგინა, რათა ქალაქის ფარმაცევტებს, პროვიზორებს და აფთიაქში მომუშავეთ ჯამაგირები მოუმატოს 100 პროცენტი.

— თბილ. სადეზინფექციო კამერაში გაფიცვის მოხსნა. ქალაქის სადეზინფექციო კამერის მოსამსახურეებმა გაფიცვა მოხსნეს. და მუშაობას შეუდგენ.

— საკლავზე ნიხრის გადიდება. ქალაქის სასაკლაოს საექსპლოატაციო ხარჯი სიძვირისა გამო თანდათან ემატება და მისი შემოსავალი ველარ ხურავს ხარჯს. ამ ერთი წლის განმავლობაში საექსპლოატაციო ხარჯმა 955 მანეთიდანიმატა 2,493,336 მანეთამდე. ამ ხარჯის დასაფარავად ქალაქის გამგეობამ დაადგინა სტხოოს საბჭოს ნებართვა დასაკლავი გაადასახადის მომატებაზე. გამგეობა ადგენს თითო კამერის დაკვლაზე გადაახდევინოს 18 მან., თითო ხარზე და ძროხაზე—9 მან., ღორზე—6 მან. 50 კაპ. და ტხვარზე 3 მან.

— ქალაქის ელექტრონული სადგური. ქალაქის ელექტრონული სადგური, რომელიც წელიწადზე მეტია რაც არ მუშაობს, მანქანების გაფუჭების გამო, მალე მუშაობას განაახლებს. ჯერ შეკეთებულია, ერთი მანქანა, მეორე მანქანას შეაკეთებენ ღრი თვის განმავლობაში და ისიც დაიწყებს მუშაობას. მესამე მანქანის შეკეთების იმედი კი ამ წლის განმავლობაში არა აქვთ.

— ქალაქის ბოსტანი. ტბ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა ქალაქის ბოსტანი, რომელიც ავჭალის წყალსადენთან მდებარეობს არენდათ არ გასცეს, არამედ თვით დაიმუშაოს.

— ბალის მიღება. მიწად-მოქმედების მინისტრმა თბილისის საბჭოს შუამდგომლობისამებრ ნება დართო მუშტაილის ბალის ქალაქის თვითმართველობის განკარგულებაში გადაცემაზე. ამის გამო ქალაქის საბჭოს სატყე-

საბალო კომისიაშ თავის თავმჯდომარე ს. თ. ხუნდაძითურთ დაწვრილებით დაათვალიერა დასახელებული ბალი და მასში მოქცეული შენობები, გარდა სააბრეშუმო სადგურის შენობისა, რომელიც მიწად-მოქმედების სამინისტროს განკარგულებაში ჩეჩება—ამ დღეებში ქალ გამგეობა ჩაიბარებს.

— სენაკის ქალ საბჭოს არჩევნების შედეგი. მარტის 30-ს სენაკში შობდა თვითმართველობის ხმოსანთა ხელახლი არჩევნები. სოც.-დემ. მიიღო—569 ხმა, გაიყვანა—12 ხმოსანი; სოც.-ფედ. მიიღო 97, გაიყვანა—2 ხმოსანი; სოც.-რევ.—95 ხმა, გაიყვანა—2 ხმოსანი და ეროვნულ-დემ.—170 ხმა, გაიყვანა—4 ხმოსანი.

შ რ თ გ ი ს გ ი რ ა პ .

— მიმღინარე წლის იანვრის თვეში თბილისის შრომის ბირჟაში ჩაეწერა 746 მამაკაცი, 22 დედაკაცი. გაიგზავნა სამუშაოზე 609 მამაკაცი და 8 დედაკაცი. მათ შორის თავის პროფესიაზე გაიგზავნა 604. სხვა პროფესიაზე 13. მიმღინარე წლის თებერვალში ჩაეწერა 279 მამაკაცი და 25 დედაკაცი, გაიგზავნა სამუშაოზე 238 მამაკაცი და 8 დედაკაცი. თავის პროფესიაზე გაიგზავნა—236, სხვა პროფესიაზე 10.

მთავარ კომიტეტი.

ანკეტა. ქალაქთა ქავშირის მთავარ კომიტეტის დავალებით მიწად-მოქმედების სამინისტროს საგრანტო რეფორმის განყოფილების მიერ შედგენილია და დაგზავნილია ქალ. თვითმართველობებში საანკენტო ფურცლები შემდეგი შეკითხვებით:

1. საჭიროა თუ არა გავრცელებულ იქნას აგრარული რეფორმა კერძო მესაკუთრეთა, იურიდიულ პიროვნებათა, მონასტერთა, ეკლესიათა და სხვა მიწებზე, რომელიც მდებარეობენ ქალაქის საზღვრებში.

2. თუ საჭიროა—მაშინ რა მიწებზე: გაშენებულ, გაუშენებელ, სპბალო და სხვა მიწებზე.

3. რამდენი დესიატინა დარჩეს კერძო მესაკუთრეს, როგორც ნორმა?

4. შესაძლებელია თუ არა, რომ რესპუბლიკის ყველა ქალაქებში დატოვებულ მიწის ნორმა ერთნაირი იქნეს?

5. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ რა კატეგორიებათ უნდა დაიყრის ქალაქები და რა უნდა დაედოს საფუძვლათ დაყოფას: სამეურნეო ხასიათი, ტერიტორიის სიდიდე თუ სხვა რამე?

6. როგორი უნდა იყვას ნორმა დატოვებულ მიწებისა კატეგორიებათ 1, 2, 3 დესიატინა თუ მეტი?

7. დასატოვებულ მიწების ნორმის გამორკვევის დროს მიღებულ უნდა იქნეს თუ არა მხედველობაში მისი ხარისხი?

8. თუ — კი მიწის მესაკუთოებ უკვე მიიღო ნორმა სოფელში; საჭიროა მიეცეს კიდევ მეორე ნორმა ქადაქში?

9. მიწების ჩამორთმება უნდა მოხდეს გამოყიდვით თუ არა.

10. თუ ჩამოსართმებ მიწაზე სამრეწველო, საწარმოო ან საცხოვრებელი ბინა არა — საჭიროა მათი გამოყიდვა თუ არა?

11. რა უნდა იქნას მიღებული ქალაქების საზღვრებათ. როცა ქალაქის გეგმა დიდი ხნის შედგენილია და მისი საზღვრები მის შემდეგ გაფართოვდა?

12. რა საზღვრები უნდა დაედოს იმ ახალ ქალაქებს, რომელთაც ჯერ გეგმა არა აქვთ შემუშავებული და არც დამტკიცებულია.

13. შესაძლებელია თუ არა იმ ახალ ქალაქებში, რომელთაც გეგმა არ აქვთ, უბრალოთ განისაზღვროს?

14. თუ შესაძლებელია — რა საშვალებით და რა დროის განშავლობაში შეუძლია თვითონულ ქალაქმა გამოირკვიოს თავისი საზღვრები?

15. ვის უნდა გადაეცეს ქალაქებში ჩამორთმებული მიწები?

16. რა სახით უნდა გადაეცეს ჩამორთმებული მიწები — საკუთრებათ, არენდათ, ფასში თუ უფასოთ?

ოთხ მაისს მოხდა მთავარი კომიტეტის სხდომა. დღიური წესრიგი შემდეგი იყო:

1 აღმასრულებელი ბიუროს მე 5-თე წევრის არჩევა, რომელიც რესპუბლიკის ცენტრალურ სასურსათო საბჭოს პრეზედიუმის შემადგენლობაში შევა.

2. მთავარ კომიტეტის საკონტროლო განყოფილების დებულებანი და ინსტრუქციები.

3. უფროსი კონტროლიორის არჩევა.

4. ქალ. კავშირის თანამშრომლებთათვეს ჯილდოს მიცემის წესი თანაბრად თბ. ქალაქის თვითმართველობის ჯილდოს მიცემის წესისა.

5. განსაკუთრებული საკონტროლო კომიტეტის დაარსება ლიკვიდაციის საკითხისათვის.

6. საექიმო საშვალების აღმოჩენა ქალაქთა კავშირის თანამშრომელთათვის და მათ ოჯახებისათვის.

7. მთავმრ კომიტეტის ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისათვის.

8. ურნალ „ექიმი-“ს სუბსიდიის შესახებ.

— ფოთში მოწყობილია ქალაქთა კავშირის მიერ სააგენტო დაწესებულება აღვილობრივ სავაჭრო ოპერაციების საწარმოებლათ.

სამეურნეო ბიურო მარტში მომხდარ ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობის დროს, სამეურნეო ბიურომ გასცა სხვა და სხვა საქონელი, ქალაქთა თვითმართველობათა მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლათ,

მილიონ ნახევარზე მეტი ლირებულებისა. საქონელი, უმეტეს ნაწილათ იყო დათვალიერებული თვით ქალაქთა წარმომადგენლების მიერ და ამნაირათ იყო მათ მიერ დაკვეთილი. გაყიდული საქონელი გაცემულია ნაწილი წალდ ფულზე და ნაწილი ნისიათ. თანაბმათ შეთანხმებისა, რომელიც მოხდა ა.წ. 23 მარტს ქალ. თვითმართველობების წარმომადგენელების და სამეურნეო განყოფილების შორის, საქონელი გაცემულია ნისიათ ერთი თვის ვადით. ამ ვადის შემდეგ ქალაქები მოვალენი არიან შემოიტანონ 75%, საქონლის ღირებულებისა.

— სამეურნეო განყოფილებაში დიდი მოთხოვნილება იყო. ტყავის ქარხნის ნიწარმოებებზე და იმ საქონელზე, რომელიც განყოფილების მიერ ახლად შეძნილი იყო ბაქოდან.

— პურის ფქვილის კრიზისის გამო, სამეურნეო განყოფილება აწვდის სახელმწიფო დაწესებულებებს, საზოგადო დაწესებულებებს, პროფესიონალურ კავშირებს, სასახლო კომიტეტებს და სხვა, სიმიდის ფქვილს ფულს 80 მანეთად. ამ დაწესებულებებს ეძლევათ აგრეთვე დაწესებული ნორმით შემდეგი სანოვაგე: ლერლილი, ბრინჯი, გამხმარი ხილი, ფქვილი, ჩაი, შანულაქტურა და სხვა.

— საინტედანტოდან, დიდუბის საწყობში ნაყიდი უვარვისი უესტბს ბითონებდან კეთდება ახალი და ახლო მომავალში გაიყიდება. შეკეთებული ბითონები ისინჯება და შემდეგ უჯრედებში იწყობა. ბითონებზე, როგორც კერძო პირთაგან, ისე საზოგადო და სახელმწიფო. დაწესებულებათ თაგან მოთხოვნილებანი ძალიან ბევრია.

— ინგლისის მისის მიერ მოწვდენილი თეთრი ფქვილით, ქალაქთა, კავშირის ცენტრალურმა ფურნემ დაიწყო თეთრი პურის ცხობრ. პური ეძლევათ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების თანამშრომლებს თბ. ქარხნებში და ფაბრიკებში მომუშავეთ და სხვა. პურის ანაწილებს ქალ. გამგეობის სურსათო განყოფილება. ცენტრალური ფურნე აცხობს ყოველდღიურათ 800 ფუტი თეთრ პურს. გარდა თეთრი პურისა ამ ფურნეში იცხობა სახალხო გვარდიისათვის შავი პური, რომლისათვისაც ფქვილი თვით გვარდიაშ შეიძინა. ცხვება აგრეთვე 200 ფუთამდე შავი პური ქალაქთა კავშირისა, რომელიც ეძლევა ციხეს და იმ დაწესებულებებს რომელებიც სხვა და სხვა მიზეზებისა გამო არ ლებულობენ პურს ქალ. გამგეობის სასურსათო განყოფილებიდან.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს აღმინისტრაციულმა განყოფილებამ ქალაქთა კავშირის სატეხნიკო განყოფილებას კიდევ დაუკვეთა 30.000 წყვილი ფეხსაცმელი.

— ქალაქთა კავშირის სატეხნიკო განყოფილებასთან მოწყობილია სახელოსნო, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული აღმოჩენის დამარება ქალაქებს სააგათმყოფოებისა და სკოლების აშენება-მოწყობაში, აგრეთვე იმ სახლების გაწყობაში, რომელთაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ.

სამაგიდო სახელოსნოს შეუძლია გააკეთოს: მოწაფეების მაგიდები (პარტები), მაგიდები, სკამები, კათედრები, საკლასო დაფა და სხვა. აგრეთვე შეუძლია გააკეთოს კარებების და ფანჯრების. ჩარჩოები, ბალის სკამები და სხვა. მუშაობა წარმოობს ხატვით.

მეფუტკრეობის გასავრცელებლათ ამზადებს სკებს და სხვა და სხვა იარაღებს.

მეხანიკურ სახელოსნოს შეუძლია გააკეთოს: ჭურჭელი. შავი რკინისაგან, ოთრი ჟესტისაგან, ცინკისაგან, ცინკიან რკინისაგან და სხვა; რკინის. მოძრავი ფეხები, ტრუბები, წყლის-სადენის წვრილი ნაწილები, ოჯახისათვის აუცილებელი საგნები როგორიც არის მაგალითად: რკინის საცერო ფეხის საწმენდათ და სხ. აგრეთვე უკეთებს რემონტს: მაღალებულებს, სადეზინფექციო კამერებს და სხვა.

მოთხოვნილების გამოსარკვევათ განყოფილების მიერ ყველა ქალაქებში დაგზავნილია საანკენტო ფურცლები.

— საექიმო-სასანიტარო განყოფილების მიერ უკვე მოწყობილია ამბულატორია, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ ქალ. კავშირის თანამშრომლებმა თავიანთი ოჯახებით. ამბულატორიამ აპრილიდან დაიწყო მუშაობა. ავათმყოფები მიიღება განსაკუთრებულ დაწესებულ ინსტრუქციით.

— ქალაქთა კავშირის ცენტრალური ბაქტერიოლოგიური განყოფილება, რომელიც ახალ შენობაში გადინდა (სერგიევის ქუჩა № 4 ტელ. 18—96) მიიღებს კერძო პირთაგან ფასიან კლინიკო-დიაგნოსტიკურ, ბაქტერიოლოგიურ და სეროდიაგნოსტურ გამოკვლევებს.

გარდა ამისა ლაბორატორია გააკეთებს ინდივიდუალურ სამკურნალო ვაჭკინებს.

ლარიბთათვის ანალიზები უფასოა.

— საქართველოს რეპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენელების ყრილობის კერძო თათბირმა, რომელიც ა.წ. 23 მარტს შესდგა შემდეგი დებულებანი მიიღო:

1. საქონელი ქალაქთა თვითმართველობებს ეძლევათ იმ ფასში, რა ფასიც მას სამეურნეო განყოფილებამ დაადო.

2. საქონელი, გაიცემა ნალდ ფულზე, როგორც ეს საზოგადოო მიღებულია.

3. თუ საქონელი გაიცა ნისიათ ქალ. თვითმართველობანი მოვალენი არიან გადიხადონ ერთი თვეს შემდეგ 75%, მთელი ჯამისა, და 25%-კი დროებით ჩაება ქალ. გამგეობის განკარგულებაში. როგორც სატრიალებელი ჯამი, იმ პირობით, რომ ეს ჯამი დაბრუნებულ ექნეს ქალ. კავშირს არი თვის განმავლობაში.

4. ქალაქთა თვითმართველობები ქალ. კავშირისაგან შეძენილ საქონელს ყიდიან იმ ფასში რა ფასადაც მათ შეიძინეს დამატებით, დაწესებული 0%-ბისა.

5. საქონლის გაყიდვა უნდა მოეწყოს საკუთარი მაღაზიის საშვალებით.
6. მოხსენების შემდეგ დადგენილ იქნა, მოეწყოს კავშირის დახმარებით ამა თუ იმ ქალაქში ესა თუ ის სასურველი წარმოება.

ეროვათა თვითმართვლობები.

ანკეტა ერობათა შორის. ერობათა ცენტრალურმა ბიურომ მიმართა სამაზრო ერობებს წინადადებით, რათა მათ უპასუხონ შემდეგ საკითხებზე:

1. როდის მოხდა ერობის არჩევნები.

2. როდის მოხდა ერობის პირველი კრება.

3. ერობის გამგეობის და პრეზიდიუმის შემადგენლობა პირველ კრებაზე. (პარტიულ მიმღინარეობა და განათლების ცენზი).

4. ხოსანთა რიცხვი, მათი პარტიული მიმღინარეობა და ეროვნება; განათლების ცენზი.

ერობათა ცენტრალურმა ბიურომ წინადადება მისცა სამაზრო ერობებს, რათა მათ გამოუგზავნონ სამაზრო ერობის კრებების ოქმები:

— ერობის მცირე ერთეული. ერობათა ცენტრალური ბიურო შეკითხა ყველა სამაზრო ერობებს თუ რა მდგომარეობაშია ერობის მცირე ერთეულის ორგანიზაციის საქმე. პასუხი ჯერჯერობით მიღებულია თბილისის, გორის და თელავის ერობებიდან.

ერობის მცირე ერთეულის არჩევნები დამთავრდება პირველ მაისამდი. ერობის მცირე ერთეული იქნება: თბილისის მაზრაში—8, გორის მაზრაში—20 და თელავის მაზრაში—12.

— ერობის არჩევნები. შინაგან საქმეთა სამინისტროს ერობის განყოფილება აწყობს ერობის არჩევნებს ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს და თიანეთის მაზრებში. ესაჭიროებათ ინსტრუქტორები: თიანეთის მაზრაში, ერობის არჩევნების საქმე მინდობილი აქვს სამაზრო კომისარს.

— ინსტრუქცია აღმინისტრაციის ინსპექტორისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიძლება ინსტრუქცია აღმინისტრაციის ინსპექტორისათვის.

— ინსტრუქცია აღმინისტრაციისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროს ერობის განყოფილება იმუშავებს ინსტრუქციას სამაზრო. კომისრებისათვის.

— ერობის ცენტრალური ბიურო. საქართველოს ერობათა ცენტრალურ ბიურომ უპირველეს ყოვლისა დაისახა სასურსათო საქმის ორგანიზაცია. ეს ბიურო მთელი თავისი შემადგენლობით შევიდა ცენტრალურ სასურსათო ნაწილში.

ამ ეამათ მთელი თხოვნები სხვა და სხვა ერობებისა ტარდება ცენტრალურ ბიუროში, მთელი საქმეები და ქონება მევენახეობის და მეღვინეობის თბ. საგუბერნიო კომიტეტისა გადაეცა ერობის ცენტრ. გამგეობას.

ერობათა ცენტრ. ბიურო ამ უამაღ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად იმუშავებს გეგმას სესხის განაწილების შესახებ ერობათა შორის. იმ თანხიდან, რომელსაც მთავრობა იძლევა თანახმად პარლამენტის 1918 წ. 3 დეკემბრის დადგენილებისა.

ცენტრ. ბიურომ დ. ონიაშვილი აირჩია თავის წარმომადგენლათ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ სამკურნალო სასანიტარო კომისიაში, რომელსაც დავალებული აქვს შეიმუშაოს სამკურნალო - სასანიტარო კანონ-პროექტი.

ცენტრ. ბიუროში აუარებელი თხოვნები შევიდა სოფლის მცხოვრებთაგან შაბათამანის, ვოგირდის, აბრეშუმის თესლის და სამეურნეო იარალის მიწვდენის შესახებ. ბიურომ მიიღო ზომები ამ შუამდგომლობათა დასაკმაყოფილებლად.

— თბილისის სამაზრო ერობის ხარჯთ-აღრიცხვა. ხარჯთ-აღრიცხვა 1918 წ. 2 ქრისტეშობისთვიდან — 1919. წლის 1 ივნისისთვემდის გამოანგარიშებულია 1.764.010 მან. 77 კ.

შემოსავალი წყაროები შემდეგია:

1. მოსალოდნელი სუბსიდია მთავრობისაგან აღმინისტრაციის და მილიციის შესანახად — 341.325 მან.

2. მთავრობის კრედიტი სახალხო განათლებისათვის — 115.185 მან.

3. მთავრობის სუბსიდია საორგანიზაციო საქმეებისათვის (უკვე მიღებულია) — 40.000 მანეთი.

4. წარსული წლის „ნეტოიქვები“ — 150.000 მან.

5. სასურსათო განკოფ. საწარმოო კაპიტალიდან სესხი — 445.000 მან.

6. მთავრობის ხუთ პროცენტიანი სესხი — 300.000 მან.

7. სესხი სხეა წყაროებიდან — 177.477 მან და 44 კაპ.

8. მოსალოდნელი სუბსიდია მთავრობისაგან, აღმინისტრაციის შენახვის გადიდების გამო (შუამდგომლობა აღძრულია) — 111.600 მან.

9. შემოსავალი ერობის საკუთარი წარმოებისაგან — 83.423 მ. და 33 კ.

გასავალი შემდეგია:

1. ერობის კრების სამი სესიის ხარჯები — 15.000 მან. ერობის კრების პრეზიდიუმის შესანახად — 14.000 მან. (თავმჯდომ. და მდივანს 1000 მ. თვითეულს ტვიურათ).

2. ჯამაგირები და სამგზავრო ხარჯები გამგეობის წევრებს — 51.900 მ. (თვითეული გამგეობის წევრი თვითეულათ დებულობს 1.700 მან. ჯამაგირების). გამგეობის კანცელიარიის შესანახი — 34.141 მან. და 62 კაპ. ბუჟალ-ტერიის შესანახად — 31.246 მან. 66 კაპ. სამეურნეო განყოფილების და გამგეობის კონტროლის შენახვა — 34.438 მან. და 57 კაპ.

3. ერობის მცირე ერთეულის შემოლებისათვის — 70.000 მან. აქედან — 30.000 მ. საორგანიზაციო ხარჯისათვის არი გადადებული. 20.000 მ. ერობათა მცირე ერთეულებს მიეცემათ სუბსიდის სახით და 20.000 მ. სესხათ.

4. ერობის აღმინისტრაციის შესანახად—456.450 მან.
5. ტეხნიკური განყოფილების შესანახად—344.100 მან.
6. აგრონომიული განყოფილების შესანახად—148.050 მან.
7. საექიმო-სასანიტარო გან. შეს.—168.235 მან და 59/კ.
8. საბეითლო განყოფილების შესანახად—35.000 მან.
9. იურიდიული გან. შესანახად—20.100 მან.
10. სასურსათო გან. შესანახად—53.423 მან. და 33 კაპ.
11. სტატისტიკური განყოფილების შესანახად—26.200 მან.
12. ხარჯები სახალხო განათლებისათვის—202.745 მან.
13. მიწის განყოფილების შესანახად—21.600 მან.
14. სხვა და სხვა ხარჯები—37.080 მან.

— თბილისის მაზრის ერობის უბნები. თბილისის სამაზრო ერობის გამბეობამ მაზრა 5 აღმინისტრატიულ უბნებათ გააწაწილა.

— არჩევნების დანიშვნა. თბილისის სამაზრო ერობის გამგეობამ ერობის ხმოსნების არჩევნები მაზრის ყველა წერილ კომუნაში დანიშნა 1 მაისისათვის, გარდა ყარაიაზის კომუნისა, საღაც არჩევნები გადადებულ იქნება შემოდგომამდე, რადგანაც აქ მცხოვრებელ თათრებს აპრილის მეორე ნახევარში საქონელი იალაზე გაცყართ და თითონაც მათ მისდევენ.

— აგრონომიული ნაწილი. 1 აპრილიდამ ერობის გამგეობასთან დაიწყო მოქმედება სააგრონომიო ნაწილმა, ნაცვლად გაუქმებულ სააღვილ-მაზულო გამგეობისა. თავის ინსტრუქტორების საშუალებით ერობის გამგეობა აწესებს მაზრებში რაიონებს აგრარულ რეფორმების გასატარებლათ. ისილავს საკითხს ხალხზე გადაცემულ მიწის ღირებულების შესახებ. განზრაბულია ის საშუალო ფასი რევოლუციის ხანამდი მიღებული დღეს-დღევაშით ახებული მიწის ფასს დაუპირდაპირონ, რომელიც მიწად-მოქმედების სამინისტრომ შეიმუშავა აგრარულ რეფორმის საჭირო ხარჯების გასატარებლად და მელიორაციურ სამუშაოთა-განსახორციელებლათ. აგრარულ ნაწილის გამგეთ მოწვეულია ბ-ნი გვანცელაძე.

— საბეითლო ნაწილი. საბეითლო ნაწილი ერობის გამგეობასთან ახლათ ეწყობა. ამ ნაწილის გამგეთ მოწვეულია ბეითალი ბ-ნი მასხარეშვილი.

— საექიმო-სასანიტარო ნაწილი. ერობის გამგეობის საექიმო-სასანიტარო ნაწილის მიერ განზრაბულ 10 საავათმყოფოდან დაარსდა ჯერ თოხი საავათმყოფო. გაგზავნილია ადგილობრივ სადესინფექციო კამერები. მანგლისიდან ატყობინებენ ერობის გამგეობას, რომ იქ სახადი; ისპანქა და ყვავილი მდვინვარებს. ერობის ექიმი გერ ასწარებს ავათმყოფების მოვლას. და თხოულობენ მეორე ექიმის გაგზავნას.

— სასურსათო ნაწილი. ერობის გამგეობის სასურსათო ნაწილმა, როგორც გამგეობის წევრის ბ. მამულაშვილის მოხსენებიდანა სჩანს გააცხოველა თვისი მუშაობა. ერობის გამგეობის განკარგულებაში მთავრობიდან

მიღებულია 30 ათასი მანეთი. ამ თანხით ზელი მოინაცვლა ერობაშ ყველა მატერიალის საწარმოებლათ. არავითარი წყარო შემოსავლისა ერობას არა ჰქონია და ამგვარათ სასურსათო ნაწილი თვითონ შეუდგა მზრუნველობას. თანხის გამოძებნაშა. ამ თანხის ეს ნაწილი შესყიდულ იმ: საქონლის ოქრაციიდან შოულობრა, რომელსაც იღებდა ცენტრალურ სასურსათო საბჭოდან. ანაწილებდა რა შესყიდულ და მიღებულ საბჭოდან საქონელს მცხოვრებთა შორის, სასურსათო ნაწილი იღებდა განსაზღრულ პროცენტს ერობის სასაჩვებლოთ. ამნაირათ მეორე საერობო კრებისათვის მთავრობისაგან მიღებული 30 ათასი მანეთი გაიზარდა 140 ათას მანეთამდე! ეს თანხა ერობის დასაბრუნებელ თანხათ გადაიქცა. ამ თანხის წარმოებიდან მიღებულ მოგებიდან 20 პროცენტი ხმარდება მიმდინარე ხარჯების დასაფარავათ, ხოლო 80 პროცენტი სამოძრაო კაპიტალში გადირიცხება.

სასურსათო ნაწილმა მიიღო ზომები სხვა და სხვა საქონლის შემოსატანათ საზღვარ-გარეთიდან და უკვე მიიღო ბრინჯი და შაბიამანი. გამოწერილია შაბიც.

ქალაქის ახლო-მახლო სოფლების შეცხოვებთ აუარებელი თხოვნები შემოაქვთ სხვა და სხვა საქონლის მიცემის შესახებ. დაშორებულ სოფელთა დასახმარებლათ მოწყობილია ზოგიერთ პუნქტებში სარაიონო საერობო საწყობები. ასეთი საწყობები უკვე არსებობს აღმულაღსა და მანგლისში.

სასურსათო ნაწილის აგენტები ადგილობრივ თვალყურს აღევნებენ, რომ საქონელი მცხოვრებთ შორის თანაბარათ იყოს განაწილებული და იღებენ ზომებს ამ საქონლის მაგიერ სხვა საქონლის შეძენისათვის ამ ადგილებში გაცვლის სახით. თვითონ ხარჯთ-აღრიცხვა სასურსათო ნაწილისა ნავარაუდევია 9 ათას მანეთში. სასურსათო ნაწილის სარაიონო საწყობების ხარჯების დასაფარათ გადადებულია დამატებით 10.300 მან.

სოფლის კომუნების (წვრილი ერთეული) არჩევნები ჯერ არ დაწყებულა. სამოძრო ერობის გამგეობა იწვევს ინსტრუქტორებს სოფლის კომუნების. საორგანიზაციოთ.

— ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობაშ შუამდგომლობა აღძრა ცენტრალურ მიმწოდებელ კომიტეტის წინაშე რათა 150 ფუთი რკინა და 50 ფუთი ფოლადი დათმობოდა საჭირო სამუშაოების იარაღების. დასამზადებლად. ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნა და ამ მოკლე ხანში მიიღებს ერობა 200 ფუთ რკინას.

— სამომრიგებლო უბნები ქუთაისის შაზრაში ქუთაისის მაზრის ერობის ხმისანთა მესამე ყრილობაშ დააღვინა ქუთაისის მაზრა დაჭყოს შემდეგ სამომრიგებლო უბნებად.

1. ბალდადის კამერა—ბალდადში; საზოგადოებანი: ბალდადის, ზეკრის, დიმის, კიქნაველეთის და საღემეტრაოს.

2. ამაღლების კამერა—ამაღლებაში: საზოგადოებანი: ამაღლების, გორის; და უხუთის.

3. მუხაყრუის კამერა—სოფ. მუხაყრუაში; საზოგადოებანი: მუხაყრუის, ტობანიერის და გამოჩინებულის.

4. ვანის კამერა—სოფ. ვანში; საზოგადოებანი: ვანის, დეალიშვილების და საპაიჭაოს.

5. სამტრედიის კამერა—ქ. სამტრედიაში; საზოგადოებანი: ქ. სამტრედია და კულაშის საზოგადოება.

6. ღიხაიშის კამერა—ს. ღ. ღიხაიში; საზოგადოებანი: ღიხაიშის, იანეთ-ეწერის და ღანირ-ქუტირის.

7. ხონის კამერა—ქ. ხონში; საზოგადოებანი: ქ. ხონი, კუხის, ნახახულევის და გვაშტიბის.

8. მუხიანის კამერა—სად. მუხიანაზე; საზოგადოებანი: ფარცხანაყანევის, საყულის, პატრიკეთის და ქვედა და ზედა მაღლაკის.

9. სვირის კამერა—სად. სვირზე; საზოგადოებანი: სვირის, ობჩის და სიმონეთის.

10. ხრესილის კამერა სოფ. ხრესილზე; საზოგადოებანი: საწირის, გურნის, მანდიკორის და კურსების.

11. ქუთაისის კამერა — ქ. ქუთაისში; საზოგადოებანი: ჭოგნარის, ოფურჩხეთის, რიონის, წყალტუბოს და ქვიტირის.

— სილნალის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობის დაღვენილებით სილნალის მაზრა დაყოფილია 26 თვითმართველ ერთეულად.

— ზუგდიდის ერობის მეორე სამაზრო კრებამ მოისმინა ერობის მთავარ ნაწილების მოხსენებანი. კრებამ დაამტკიცა სამუშაოთა განაწილება გამგეობის წევრთა შორის. გამგეობის თავმჯდომარეს ბ. ლ. შენგელიას დაეკისრა საერთო ხელმძღვანელობა ყველა საერთო დაწესებულებისა და ერობის მთავარ კანცელიარიის გამგებლობა. შავე ჩაბარდა საადმინისტრაციო ნაწილი. სასკოლო საქმე მიენდო გამგეობის წევრს ბ. ქოდუას, საფინანსო და სამიწათმოქმედო—გამგეობის წევრს ბ. ქავეარაძეს, ტეხნიკურის და საგზაო ნაწილისა—გამგეობის წევრს ბ. ბერიძეს, ხოლო სასურასთო და საექიმო—სასანიტარო ნაწილები—გამგეობის წევრს ბ. ბუკიას. ზუგდიდის ერობის კრებამ თავმჯდომარის უფლება შეზღუდა, სცნო რომ მოსამსახურეთა მიღება—დათხოვნის საკითხი უნდა სწყდებოდეს გამგეობის პლენუმის მიერ და არა მხოლოდ თავმჯდომარის მიერ. შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადებით ის დაღვენილება გაასაჩივრეს. საადმინისტრაციო სასამართლოში, ვინაიდან მის მიერ დარღვეულია ერობის დებულების ნორმები.

ერობის გამგეობამ ვერ მოასწრო წარედგინა კრებისათვის სამოლოო შემუშავებული ხარჯთ-აღრიცხვა; კრებამ გაუხსნა ერობის გამგეობას რამოდენიმე ასი ათასი მანეთის კრედიტი და 1 მილ. მან. სესხის აღების უფლება მისცა:

მოხსენება ერობის წვრილ ერთეულის შემოლების შესახებ გადაიდო მომავალ ერობის კრების სესიამდე.

— **სამუშაონალო დახმარება.** ერობამ დაადგინა გახსნას ზუგდიდის მაზრაში 6 საავათმყოფო. აწ არსებული 2 საავათმყოფო ჯერ არ ჩაუბარებია ერობას. ამ საავათმყოფოების დაარსებამდე ერობამ დაადგინა დაარსდეს საფერშლო პუნქტების მთელი რივი.

შესდგა მფრინავი საეპიდემიო ოაზმები 2 ექიმისა და 2 ფერშლისაგან. განზრახულია შექმნა სასანიტარო საბჭოსი საერობო გამგეობასთან.

— **ხარჯთ-აღრიცხვა.** საერობო კრებამ დაამტკიცა დროებითი ხარჯთ-აღრიცხვა საექიმო—სასანიტარო ნაწილისა—1 მილიონ მანეთი.

— **საბეითალო დახმარება.** საერობო გამგეობამ დაიმუშავა გეგმა საბეითალო ნაწილის მოწყველისა, რომელშიაც შევლენ 1 ექიმი და 3 ფერშალი მაზრა დაყოფილია უბნებათ. სდგება საბეითალო პუნქტები, ერობამ მიიღო თავის გამგეობაში სამაზრო საბეითალო ამბულატორია, რომელმაც უკვე დაიწყო მოქმედება. მაზრაში საქონლის ჭირი მძვინვარებს მსხვილფეხ საქონელზე. ერობამ დაადგინა გაიგზვნოს შავჭირთან საბრძოლველ ჭუთაისის. სადგურზე 100 სული საქონელი შრატის გამოსახდელათ.

— **აგრონომიული საბჭო.** ერობის გამგეობასთან მოწყვო საავრონომით საბჭო, რომელშიაც შევიდენ მაზრის ყველა აგრონომები. საავრონომით საბჭო მახლობელ სამუშაოების გეგმას იკვლევს. საერობო კრებამ დაამტკიცა წლიური ხარჯთ-აღრიცხვა საავრონომით ნაწილისა—1 მილ. მან.

— **სასკოლო კომისია.** ერობის გამგეობასთან შესდგა კომისია, რომელსაც დაევალა სკოლების მიღება. ერობას განზრახვა აქვს თავის მხრივ დაუმატოს ფული იმ თანხას, რომელიც გადადებულია მთავრობის მიერ მასწავლებელთა პერსონალის შესანახად. 4 თვეა მასწავლებლებს ჯამაგირი არ მიუღიათ. გამგეობასთან მუშაობს სპეციალური სასკოლო კომისია, მისი მუშაობის გათავების შემდეგ საერობო გამგეობას და შემდეგ საერობო კრებას წარედგინება სასკოლო ნაწილის საბოლოო ხარჯთ-აღრიცხვა.

— **საადმინისტრაციო სამოსამართლო ნაწილი.** საადმინისტრაციო სამოსამართლო ნაწილი მუშაობას შუადგა. მაზრა 6 სამოსამართლო ნაწილათა დაყოფილი. არჩეულია საკულტურო ცენტრები ამ მოსამართლეთა საცხოვრებლათ. მოსამართლენი არჩეულნი არიან ერობის კრების მიერ. თითო მოსამართლის თვიური ჯამაგირი, თანახმათ ერობის დადგენილებისა, ნავარაუდევია 1000 მანეთი.

მთავარ პრინციპიალურ საკითხების გადაწყვეტა ერობის გამგეობამ გადასდო საზოგადო საერობო ყრილობისათვის, რომ თვისი. მუშაობა სხვა: ერობათა მუშაობას შეუფარდოს.

„საქალაქო დებულების“ პროექტის განსამარცებელი წერილი

(საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის იურიდიულ
განყოფილების კომისიის*) მოხსენება)

ზოგადი მოსაზრებაზი

როდესაც კომისიას მიენდო საქალაქო დებულების შემუშავება და ივი შეუდგა საქმიანობას, იძულებულ იქმნა დასაწყისშივე გამორჩევია ზოგადი საკითხი—ის დედა-აზრი, რომელიც ფუძედ უნდა დასდებოდა ახალს კანონს. ამ დედა-აზრის გამორჩევა ნათელ ჰქონდა მთელს გეგმას, და მუშაობის განსაგრძობს გეზს და, ამას გარდა, გაუთვალისწინებდა კომისიას, იმ მომავალს ურთიერთობას მთავარ და ოდგილობრივ ხელისუფლებათა, აღილობრივ ხელისუფლებასა, და მკვიდრთა შორის, რომლის მოწესრიგებაც ევალებოდა საქალაქო მართველობის კანონს.

ამ დამოკიდებულებათა სფეროში ორი დედა-აზრი არსებობს, საზოგადოებრივ-საპოლიტიკო ცხოვრების ასპარეზზე და ორი დებულება ებრძვის ერთმანეთს—თვითმართველობისა და მართველობის დედა-აზრი.

პირველი დედა-აზრი იმას ემყარება, რომ განსაკუთრებული, აღგილობრივი, სათემო საქმეები არსებობს, რომელიც განსხვავდება საერთო სახელმწიფო საქმეთაგან. ეს აზრი ნათლად აღნიშნა. რევოლუციონურ საფრანგეთის კანონდებულებამ. 1789 წლის 11 დეკემბრის კანონში ნათქვამია, რომ სათემო დაწესებულებათა საგანი ორ-გვარია: „Les unes propres au pouvoir municipal, les autres propres à l'administration générale de l'Etat et déleguées par elle aux municipalités“. ნაპოლეონის მიერ შემოღებულმა ცენტრალიზაციამ სრულიად შვეციალა საფრანგეთში აღილობრივ მართველობათა განვითარების მიმდინარეობა, მაგრამ მთავარი და ძირითადი აზრი, რევოლუციით შთაგონებული, მაინც არ გაჰქრა და მისი გავლენა დაეტყო ჯერ ბელგიის 1831 წლის კონსტიტუციის მისის. ი პირველის მოძღვრებით და შემდეგ აქვედგან გერმანიის საკონსტიტუციო თეორიისა და პრაქტიკას. გერმანიის კორპორაციათა შესანიშნავი და საუკეთესო მკვლევარი ო. გირკე თემსა, სოფლიდა ტერიტორიალურ კორპორაციად და ერთგვარ ორგანიზმად, რომელსაც თავისი განსაკუთრებული მიზანი და დანიშნულება აქვს.

*) იურიდიულს კომისიაში ამორჩეულნი. იყვნენ! მთავარ. კომიტეტის იურიდიულ განყოფილების გამგე ბ. მ. ბროდსკი, ეკონომიკურ განყოფილების ფინანსების გამგე მ. ნ. სმირნოვი, ქალაქის იურისკონსულტი დ. კ. გრიშ შტეინი და კომისიის მდივანი ნაფიც ვექილის თანაშემწევე. ა. მადლისონი. მოხსენება შედგენილია ბ-ნ დ. კ. გრიშტეინის მიერ.

შეორე დედა-აზრი ორის სიტყვით გამოითქმის: თვითმართველობა სახელმწიფო მართველობა (Selbstverwaltung—Staatsverwaltung). ის საქმე, რომელსაც აკეთებს „თვით-მართველი“ თემი, არაფრით არ განსხვავდება საზოგადოდ სახელმწიფოს მიერ გაკეთებულ საქმისაგან. აქედვან აუცილებელია იმისი დასკვნა, რომ „ადგილობრივი თვით-მართველობა“ მოელის სახელმწიფოს აგებულობის ერთი შემადგენელი ნაწილთაგანია. ეს თეორია ჩინებულად აქვთ დასაბუთებული მეცნიერების ისეთს მესვეურებს, როგორნიც არიან ს. ლორენცი, ფ. შტეინი, რ. გნეისტი, იელლინენი, ლაბანდი და სხ. და ამავე თეორიას იურიდიულის სახელით იზიარებს დღეს. გერმანიის მეცნიერება.

რუსეთის 1892 წ. 2 ივნისის და დროებით მთავრობის 1917 წ. 9. ივნისის დებულებაზე გატარებულია იგივე აზრი დედა-აზრი, ზემოდ ჩეცნ მიერ დახასიათებული. ძეველის დებულების პირველს მუხლში ნათქვამია: „ქალაქის მკვიდრთა საზოგადოებრივი მართველობა განაგებს ადგილობრივ საჭიროებისა და სარგებლობის საქმეებს“. ამ სიტყვებში გარკვევით ისმის „თავისუფალ თემის“, „სათემო ორგანიზმის“ ჰანგი. არსებობს რალაცა; ადგილობრივი სარგებლობა და ადგილობრივი საჭიროება, რომლის სამსახურადაც მოწოდებულია საზოგადოებრივი მართველობა, და იგი მხოლოდ ამ განსაზღვრულ ფარგალშია უფლებით მოსილი. ამ მუხლის ძალით ქალაქის მართველობას თავისუფალ თემის უფლება ენიჭება, განსაკუთრებული ხელისუფლება ექლევა, მაგრამ მეტად მცირე და დიდად შეზღუდულს წრეში. ხოლო რადგან ამ წრის გაყვანა გარკვევით შეუქლებელია და მისი ხაზი ადვილად მისაწევ-მოსაწევია, ამიტომ მთავარ ადმინისტრაციის ჰაწია მოხელეც-კი ყოველთვის მაღლა იდგა ვიდრე ადგილობრივ თვითმართველობის წარმომადგენელი, იგი უფრო უზენაესის ხელისუფლების მქონებელად ითვლებოდა.

დროებით მთავრობის დებულებაზე ჰიტველი მუხლიად შეცვლილია: „ქალაქის საზოგადოებრივი მართველობა განაგებს ადგილობრივ მართვა-გამგებისა და მეურნეობის საქმეებს და აგრეთვე უველა იმ სხვა საქმეს, რომელიც ცალკე კანონებით აქვს დავალებული“. აქ აღარ მოიპოვება ძეველი, გამოურჩეველი სიტყვები: „ადგილობრივი საჭიროება და სარგებლობაა“ (ეს სიტყვები თარგმანია ბელგიის 1831 წლის კონსტიტუციის მე-108 მუხლისა), აქ უფრო ნათლადა სჩანს საგანი „ადგილობრივ საქმეთა მართვა-გამგებისა“ და ამით ქალაქის მართველობა სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებად არის ცნობილი, νουνοιρ municipal-ად მიჩნეული.

ამ ორ დებულებათა შორის კომისიას ერთ-ერთი უნდა ამოერჩია.

ერთად-ერთი საბუთი „თავისუფალ“ თემის ამორჩევისა ისტორიული საბუთია. იმ ქვეყნებში, სადაც უფრო ძლიერ არის თვითმართველობა განვითარებული, მაგალითებრ ინგლისში, ისტორიულად ადგილობრივ საქმეთა.

ფარგალში ისეთი მოვალეობანი შედიოდა, რომელთა ასრულებაც სახელმწიფოს არა ჰსურდა, ანუ არ შეეძლო და ამიტომ აჩემებდა სავსებით ადგილობრივ კავშირთა ზრუნვას. ამ გვარად თითქმს შესაძლებელი იყო გამონახვა. მთელის რიგის ადგილობრივ საქმეებისა, თუმცა ადგილობრივად რგი დასახული იყო განკერძოებულ ისტორიულ გარემოებათა გამო. ეს ფაქტიური განწყობილება, „თავისუფლების“ და „თვითმართველობის“ მიმზიდველს სამოსში გახვეული, ერთად-ერთი საბუთი იყო პირველ დედა-აზრის სასარგებლოდ.

სამაგიროდ, ეს საბუთი კრიტიკის ქარ-ცეცხლს უერ უძლებდა!

თვით სიტყვა თვითმართველობა, როდესაც ახლო დაკვირდებით, მოქლებულია ყოველსავე იურიდიულს შინაარსს. თვითმართველობა კანონს ექვემდებარებოდა, კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა და, რადგან მხოლოდ მთავრობას მიერ მისთვის შემოხაზულს წრეში შეეძლო მოქმედება, ისეთივე თვითმართველი იყო, როგორც თვითმართველია მთავრობის ყოველი ადგილობრივი დაწესებულება. ზოგიერთის მხრივ იგი დამოუკიდებლად ჰმოქმედებდა, მაგრამ ამითი მართველობასა და თვითმართველობას ვერაფრით გაარჩევდით. პოლიტიკურისა და საზოგადოებრივ თვალ-საზრისით შეიძლება ამ ორ ცნებათა შუა საზღვარის გავლება, მაგრამ იურიდიულად ამის მეცადინეობა უნაყოფო იყო, უმიზნო და უსარგებლო.

დამახასიათებელია ამ მხრივ ის გარემოება, რომ თვითმართველობის დედა-აზრი გატარებულია უფრო ძველს თეორიებსა და საქანონმდებლო სიგელებში. ეს იმითი აიხსნება, რომ „თვითმართველობაში“ ჩაქსოვილია ისეთი აზრი, რომელიც უფლებრივს ნორმებს-კი არ ეყრდნობა, არამედ პოლიტიკურს ლოზუნებს. რუსეთის 1892 წლის „საქალაქო დებულების“ შემქმნელებმა კარგად იკოდნენ რასაცა ჰქმნიდნენ. განსაზღვრეს რა თვითმართველობა ადგილობრივ სარგებლობითა და საჭიროებით, ამითი იმათ ფორმალურად ხალხის პოლიტიკური მოთხოვნილება დაკმაყოფილეს, არსებითად-კი კანონს ემყარებოდნენ და თვითმართველობა უფრო დაბეჩავებული და დაჩაგრული იყო, ვიდრე მართველობის რომელიმე დაწესებულება. და ის წინააღმდეგობა, რომელიც გამოიწვია გერმანიაში „თავისუფალ თქმის“ თეორიამ, ბრძოლა იყო თქმის უფლებათა გაფართოვებისა-თვის, რომელსაც შეეძლო იგი ჰეშმარიტად ძლიერი და ძალის-მქონებელი შეექმნა. მოჩვენებული თვითმართველობა ამ შემთხვევაში ადგილს უთმობს ნამდვილს, უფლებრივს კანონებზედ დამყარებულს მართველობას.

შემდეგ, თვითმართველობის დედა-აზრით რომ ვიხელმძღვანელოთ და შეეცადნეთ ადგილობრივი ინტერესები გამოვაცალკევოთ სახელმწიფოს ინტერესებს, ან, როგორც ბელგიის კონსტიტუციაშია ნათევამი, *l'intérêt provincial-i l'intérêt général-i* დაგანვითარებან გამოყოფა, უნუგეშოდ უნდა ილვიაროთ, რომ ასეთი ცდა ამაღ და ყოვლად განუხორციელებელი იქნება. არ მოიძებნება ისეთი ადგილობრივი საქმე, ისეთი ადგილობრივი საჭი-

როება და სარგებლობა, რომელიც ათასის ძაფით არ იყოს გადაკეანძული საერთო საქმესა, საჭიროებასა და სარგებლობასთან; არ მოხპოვება ისეთი ადგილობრივი ინტერესი, რომელიც სახელმწიფოს საერთო ინტერესთან არ იყოს გადახლართული. თემის მკვიდრი იგივე სახელმწიფოს მცხოვრებელია, მისი ქონება—სახელმწიფო ქონების ნაწილს შეადგენს. რა ჯადოსნული წრე უნდა შემოავლოთ თემს, რომ ეს პირადად და ქონებრივად შემაკავშირებელი ძაფები გასწყვიტოთ. აქამდე იურისტები თავს იმტვრევენ რომის სამართლით ნაანდერძევ საერთო, საქვეყნო და კერძო უფლების გამოცანის ასახსნელად და ვერ ღაუძლევიათ ეს გამოცანა. მაშრავა იმედი უნდა გვქონდეს ჩვენის ამიცანის გამორკვევისა, როდესაც იგი პირველზედ უფრო რთულია. აქ უფლებრივი დამოკიდებულებანი, ორად-კი არა, სამ ჯგუფად ჰნაწილდება: საქვეყნო, საერთო და საზოგადოებრივ ანუ სათემო უფლებრივ დამოკიდებულებად.

შეირეს მხრივ, ყოვლად შეუძლებელია ადგილობრივ თვითმართველობას წარმომადგენელთა ისეთის მოქმედების გათვალისწინება, რომელიც თავისის შედეგით სახელმწიფო ხელისუფალთა მოქმედებაში არ შეიკრებოდეს, ანუ, როგორც იგივე ჩვენგან არა ერთხელ ხსენებულ ბელგის კონსტიტუციაშია ნათქვამია,— „რომ მისდა მიკუთვნებულ სამოქმედო ფარგალს არ გადასცილდეს და საერთო ინტერესს არ შეეხალოს“. თუ მარტო ცრუ ხახელით არ დავკამაყოფილდით, ასეთს მოქმედებას ვერ ვიპოვით და ვერ წარმოედგენთ. ადგილობრივ თვითმართველობის წარმომადგენელის ყოველი მოქმედება მცხოვრებთათვის ხელისუფლობის, მთავრობის მოქმედებაა. აღმინისტრაციის განკარგულების წინააღმდეგ იქნება ეს მოქმედება. მიმართული, თუ ამას ხელს შეუწყობს იგი სულ ერთია, ორსაც შემოხვევაში მისი შედეგი თემის ფარგლით არ შეიჩინუდება. ადგილობრივ თვითმართველობის მოქმედება მთელის ქვეყნის, სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ხევულშია ჩაქონილი და ჩაგრეხილი.

სხვათრივ არც შეიძლება. ყოველი ხელისუფლებაც იმის ქალით ჰმოქმედებს, რომ მას დათმობილი აქვს დამოუკიდებელ სახელმწიფოს უფლების რაოდენიმე ნაწილი. თემობრივი ხელისუფლებაც ან ასეთის დათმობის ძალითა ჰმოქმედებს, ან იმიტომ, რომ თვით ხალხისაგან აქვს მინიჭებული უფლება თემის ადგილ-მამულის საზღვართა შორის მოქმედებისა. პირველს შემოხვევაში ყოველი ხელისუფლება ერთ გვარია და მხოლოდ უფლებათა მეტ-ნაკლებობით განირჩევა, მეორე შემოხვევაში-კი ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ სახელმწიფოში ისეთი განსაკუთრებული ჯგუფები, რომელთაც დამოუკიდებლად შეუძლიან არსებობა. ყველა დაგვეთანხმება, რომ ასეთ ჯგუფების არსებობა ჩვენს სახელმწიფოებრივს ცხოვრებაში ყოვლად წარმოუდგენელია და შეუძლებელი.

ანგარიში გაუწია რა ყველა ამ მოსაზრებას, კომისიამ მეორე დედა-აზრი, ამჯობინა.

ამ თეალ-საზრისით ღროებითის მთავრობის საქალაქო დებულება თავისის საფუძვლით უფრო მისაღები და მოსაწონი იყო. პირველი მუხლი იმდენად ეთანხმებოდა ჩვენ მიერ არჩეულს დედა-აზრს, რომ არც ერთის სიტყვის დამატება არ დასჭირდა. სამაგიეროდ დებულების დანარჩენი ნაწილები და მუხლები ხშირად არ შეესაბამებოდა დედა-აზრს. ამის გამო კომისიამ მეორე სავნად დაისახა გადაესინჯა საქალაქო დებულება და გადაეკეთებინა ისე, რომ პირველსა და დანარჩენს მუხლებს შორის არა თუ არავითარი წინაუმობა, არამედ არავითარი შეუსაბამობა არა ყოფილიყო.

ყოველთ უწინარეს საჭირო იყო ყურადღება მიჰქეორდა ქალაქის თვითმართველობის ხელისუფლების საზღვარს; იმის უფლება-მოსილობას. 1892 წ. საქალაქო დებულების პირველი მუხლი თვითმართველობის უწყების ფარგლის აღსანიშვნელად გვისახელებდა მეორე მუხლს, რომელშიც სავსებით იყო აღნუსხული ამ უწყების ყოველი სამოქმედო საქმე. სხვაფრივ არც შეძლებოდა. ადგილობრივი სარგებლობა და საჭიროება ნიშანდობრივად უნდა ყოფილიყო აღნიშნული, რომ მთავრობისა და თვითმართველობის ხელისუფლებანი ერთმანეთში არ გადახვლანჯულიყო. ღროებითის მთავრობის საქალაქო დებულებაში ხელისუფლება სულ სხვაფრივ არის განსაზღვრული. ზოგადს პირველ მუხლს მოსდევს მეორე მუხლი, რომელიც ასე იწყება: „ქალაქის საზოგადოებრივ ძართველობის უმთავრესს საზრუნავს საგანს შეადგენს“ და ამას მოსდევს ამ უმთავრეს საგანთა ნუსხა. ასევე აღრიცხულია საბჭოს უფლება შე-62—63 მუხ., ჯერ ზოგადად არის განსაზღვრული უფლება, შემდეგ ცალკე მოქმედებანია ჩამოთვლილი. არც პირველსა და არც მეორე შემთხვევაში საზრუნავ საგანთა ნუსხა დამთავრებული, სავსებით ამოწურული არ არის. საზოგადოებრივ მართველობისა და საბჭოს უფლებანი ზოგადის სიტყვებით არის გამოთქმული და სანიმუშო ნუსხით დამაგალითებული. კომისიაც ამ წესს დაადგა და იგი სისრულემდე მიიყვანა. სამოქმედო საგანთა ყოველი ნუსხა ისე შეადგინა, რომ იგი მხოლოდ სანიმუშო, მაგალითებრივი ყოფილიყო და რომ თვით მის გამოუცდელ განმხილველსაც-კი ნათლად დაენახა, რომ ქალაქის მართველობის უფლებანი, ძირითადს მუხლებში აღნიშნული, შემდეგს მუხლებში-კი არა კნინდება და მცირდება, არამედ უფრო ვრცელდება და ფართოვდება. სანიმუშო, მაგალითებრივი ნუსხა. შეგვაძლებინებს უფრო სავსებით, სრულად და ლრმად გამოვირკვით ის, რაც „ადგილობრივ მართვა-გამგეობისა და მეურნეობის“ ცნობაში იმაღება და იგულისხმება.

მეორე საერთო ცვლილება, რომელიც კომისიამ მოახდინა, იმავე ძირითად დებულებიდან გამომდინარეობდა. თუ ქალაქის საზოგადოებრივი მართველობა სახელმწიფო ხელისუფლების მანქანის შემადგენელი ნაწილია და ამასთან ამ მართველობას ვრცელს ასპარეზზედ დამოუკიდებლად მოქმედების უფლება ენიჭება, აშკარაა, რომ იგი მოხელის კონტროლსა და მეთვალყურეობას ვერ დაექვემდებარება. აქ განსაკუთრებულის სინათლით უნ-

და იჩინოს თავი ამ საქმის პოლიტიკურმა მხარემ. აღგილობრივი მართველობა, ოუმცა მთავრობის მართვა-გამგეობის ნაწილს შეადგენს, თვის სამოქმედო საქმეთა აღმასრულებელ პირთა მიწვევის შერივ განსაკუთრებულის თვისებით ვანირჩევა—მინიჭებული აქვს არჩევანის უფლება და დამოუკიდებლობა. ამიტომ საკირო იყო, რომ აღგილობრივი მართველობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სხვა დაწესებულებებთან ერთგვარ ვითარებაში ყოფილიყო ჩაყენებული. ამისი განხორციელება იმითი შეიძლებოდა, რომ კონტროლისა და მეთვალყურეობის უფლება კანონიერობის ფარგალს ჩრ გადასცილებოდა და ჰქონოდა მხოლოდ უზენაესს ხელისუფლებას და სახელმწიფოს საკანონმდებლო დაწესებულებას.

დასასრულ, მესამე თვალსაჩინო ცვლილება შეეხებოდა მოხელეთა უფლებასა და მოვალეობას. იგიც, როგორც დანარჩენი ცვლილება, იმავე დედა-აზრიდგან გამომდინარეობდა. რაკი ქალაქის მართველობა სახელმწიფო მართველობად იყო მიჩეული. მისნი მოხელენიც სახელმწიფო ხელისუფლების მქონებელნი უნდა ყოფილიყვნენ და იმათი უფლება აღმინისტრატორულ გარანტიის სახით უნდა ჩამოყალიბებულიყო. ამას თან სდევდა მოვალეობაც — სამსახურის მოვალეობის ყოველ დარღვევისათვის უნდა დაჰკისრებოდათ როგორ დისკიპლინალური პასუხისმგებლობა.

საქალაქო დეგულება (პროექტი)

პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ჭ ი

ზოგადი დებულებანი.

1. ქალაქის საზოგადოებრივი მართველობა განაგებს მართვა-გამგეობასა და მეურნეობის საქმეებს და აგრეთვე უველა იმ სხვა საქმეს, რომელიც ცალკე კანონებით აქვს დავალებული.

2. ქალაქის მართველობის უმთავრესს საზოგადოებრივს საგანს შეადგენს:

1) ქალაქის გეგმის შედგენა და შემდეგ ამ გეგმაში შესაფერ ცვლილებათა შეტანა, ზრუნვა ქალაქის უკეთ მოწყობისათვის ამა გეგმის თანახმად, წესიერ აღმშენებლობის მეთვალყურეობა და აგრეთვე ქალაქის სააღმშენებლო ნაწილის მართვა.

შენიშვნა. ქალაქებში გუბერნიის სამართველოს სააღმშენებლო განყოფილების ყველა უფლება და მოვალეობა, რომელიც აღრიცხულია სააღმშენებლო წესდების მე 6—10 მუხ. (კანონ. კრებ. მე XII ტ., გამოც. 1900 წ.) ქალაქის საზოგადოებრივს მართველობას ეკუთვნის.

2) ქალაქის სასარგებლოდ დაწესებულ გარდასახადისა და ბეგარის გამგებლობა.

3) ქალაქის უძრავ და მოძრავ ქონების მართვა-გამგეობა:

4) ზრუნვა, რომ მოეწყოს და ჯეროვანად ინახებოდეს ქუჩები, მოედნები, მოკირწყლული ქუჩები, ქვაფენილები, საზოგადოებრივი ბალები, სატივე და სანავე ადგილები, წყლის ნაპირები, ნავსადგურები, ხიდები, არხები, ჭაბურები გაყვანილი ვზები, ტბები, ჭები, ბუნებრივი წყაროები და სხ. და აგრეთვე დადგენა მათის სარგებლობის წესრიგისა.

5) მოწყობა და მოვლა-პატრონობა ქალაქის განათებისა, მცხოვრებთა წყლით უზრუნველ-ყოფისა, არხების ქსელისა, მოძრაობისა და მიმოსვლის სხვა-და-სხვა საშუალებისა, საქალავ საქონლის სალახანისა და მასთან შეკავშირებულ ქალაქის წარმოებათა, აგრეთვე ყველა სხვა საზოგადოებრივ სახმარებელ წარმოებისა და აღნაგებ-აღნაშენისა, და იმათი სარგებლობის წესრიგის დადგენა; ნებართვის მიცემა საზოგადოებრივ სახმარებელ ისეთ კერძო წარმოებათა მოწყობისა, რომელთაც ზემოდ აღნიშნული მიზანი აქვთ დასახული, და მათი ოვალ-ყურის ვდება; ხალხის მატარებელ და ტვირთის მზიდველ მრეწველობის მეთვალყურეობა.

6) ცეცხლის გაჩენისა, წყალ-დიდობისა და სხვა უბედულების ასაცილებლად სიფრთხილის ზომების მიღება; ცეცხლის-მქრობელ და ბუხრის-მწმენდელ რაზმებისა და ცეცხლის გაჩენის მანიშნებელის მოწყობა და მოვლა-პატრონობა; წყალში დახრიხიბილან გადასაჩჩენ ლონისძიებათა ხმარება და აგრეთვე ქონების ცეცხლისაგან დაზღვევის საქმის მოწყობისა: და განვითარებისათვის ზრუნვა.

7) მოწყობა და მოვლა-პატრონობა ისეთ დაწესებულებათა, რომელთაც მიზანად აქვთ ქალაქის მცხოვრებთა ზენების გაფაქიზება, და კერძო პირთა მიერ დაარსებულ ასეთ დაწესებულებათა მეთვალყურეობა; ლოთობისა და გარეუნილების წინააღმდეგ ლონისძიებათა ხმარება.

8) მოწყობა და მოვლა-პატრონობა ქალაქის პირველ-დაწყებით და სხვა სასწავლებლებისა, რომელიც ქალაქის ხარჯით ინახება; ამ სასწავლებლების სწავლისა და მეურნეობრი მხრივ გამგებლობა და აგრეთვე სხვა საზოსწავლო დაწესებულებათა გამგებლობაში კანონით დაწესებულ მონაწილეობის მიღება; მომართვა სწავლისა სასწავლებლისათვის მკირე-წლოვან ბავშთათვის და სპასტავლებელს გარეშე დარჩენილთათვის; ზრუნვა, რომ დაარსდეს სწავლა-განათლებისა და საყოველთაო, სასარგებლო დაწესებულებანი, სახელდობრ: სახალხო უნივერსიტეტები, კონსერვატორიები, საზოგადოებრივი წიგნთ-საცავები, მუზეუმები, თეატრები და სხ., და ამ დაწესებულებათა დახმარება.

9) გამოფენათა გამართვა; ზრუნვა ქალაქის მართვა-გამგეობაში მყოფ საზოგადოებრივ აღნაგებ-აღნაშენისა, ძეგლებისა და სიძველეთა ნაშთებისათვის.

10) დაცეა ქალაქებში ხალხის ჯანმრთელობისა; სანიტარულ-ჰიგიენის მხრივ ადგილობრივ ვითარების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა ხმარება; ქალაქის მკვიდრთათვის სამკურნალო და სანიტარულ დახმარების განვითარება; საბეითალო მეთვალყურეობის დაწესება; მოწყობა და მოვლა-პატრონობა სამკურნალოებისა, სამშობიარო სახლებისა, ქალაქის აფთიაქებისა, სანატორიებისა და სხვა ამ გვარ დაწესებულებისა; ნებართვის მიურება, რომ გაიხსნას კერძო აფთიაქები, სამკურნალოები და ისეთი დაწესებულებანი, რომელიც სასაჩრგებლოა სანიტარულ-ჰიგიენის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, და ამ დაწესებულებათა მოქმედების მეთვალყურეობა; მოწყობა ქალაქის სასაფლაოებისა და იმათ სანიტარულ მდგომარეობის თვალ-ყურის დევნება; სანიტარულ სამზრუნველოების და მეთვალყურეობის დაწესება.

შენიშვნა. ქალაქებში გუბერნიის სამართველო სამკურნალო განყოფილების ცველა უფლება და მოვალეობა, რომელიც აღრიცხულია სამკურნალო წესდებაში (კანონ. კრებ. მე XIII ტ.), ქალაქის საზოგადოებრივ მართველობას ექუთვნის.

11) მკვიდრთა სურსათ-სანოვაგისათვის ზრუნვა და ამ სურსათის ნაკლებულობისა და პირველ-საჭიროების საგნებისა და სადგურების სიძირის აცილება; ამ აზრით იაფ-სადგომიან სახლებისა, სახალხო სასადილოებისა და საჩაიების გამართვა და პურისა, ხორცისა, რძისა, სათბობ მასალისა და სხ. სავაჭროების მოწყობა.

12) მკვიდრთათვის იურიდიულ დახმარების აღმოჩენა.

13) ღარიბთა თავშესაფარებლად და მათხოვრობის ჭოსპობისათვის ზრუნვა; ღარიბთა სამზრუნველოების დაარსება.

14) კერძო საშუალოებრივ კანტორების დაარსების ნება-რთვის მიურება და იმათ მოქმედების მეთვალყურეობა.

15) დახმარება ადგილობრივ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებისათვის, რამდენადაც ეს საზოგადოებრივ მართველობაზედ დამოკიდებულია; მოწყობა და მოვლა-პატრონობა საქულბაქოებისა და საგაჭრო ადგილებისა, საქონლის საჭყობებისა, საყინულე-საცივეებისა და სხ.; ვაჭრობის წესიერად წარმოების მეთვალყურეობა; უმახლობელესი ზედამხედველობა, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში კანონიერი საზომ-საწყო და სასწორი იხმარებოდეს; საკრედიტო დაწესებულებათა დაარსება. საკრედიტო წესდების თანახმად და აგრეთვე საბირჟო დაწესებულებათა დაარსებისათვის დახმარება.

16) ქალაქის სტატისტიკურად გამოკვლევის წარმოება.

17) საქალაქო მოლვაწეთა კრებების გამართვა, მორიგება ერობისა და ქალაქის სამართველოებთან მათის მოქმედების გასაერთიანებლად და შესათანხმებლად და მათ შორის კავშირის დასამყარებლად.

შენიშვნა. ამ პუნქტში აღნიშნულ ქალაქთა და ერობათა სამართველოების კავშირს იურიდიულ პიროვნების უფლება აქვს

და ამისათვის თითოეულს შემთხვევაში მთავრობის ცალკე დამტკიცება არ არის საჭირო. ამა კავშირთა წესდება და დებულება შინაგან საქმეთა მინისტრს ეგზავნება ცნობად და კანონთა და მთავრობის განკარგულებათა ოფიციალურს კრებულში გამოსაქვეყნებლად.

18) პირად და საზოგადოებრივ უშიშრობისა და წესიერების დასაცავად კანონის მიერ დადგენილ ღონისძიებათა ხმარება; მომქმედ კანონდებულებათა თანახმად მილიციის გამგებლობა.

19) კანონით ქალაქზე დაკისრებულ სამხედრო და სამოქალაქო გამგეობის საჭიროებათა დაკავაყოფილება.

20) იმ საქმეთა წარმოება, რომელიც ცალკე კანონდებულებითა და წესდებით საზოგადოებრივ მართველობის უწყებას აქვს დაქვემდებარებული.

3. ქალაქის საზოგადოებრივ მართველობის უფლება განისაზღვრება ქალაქთა და მისთვის გადაცემულ აღგილ-მიწებით; მისდა ქვემდებარე საქმეების განხილვისა და გარდაწყვეტის დროს ქალაქის საზოგადოებრივი მართველობა დამოუკიდებლად ჰმოქმედებს.

4. ქალაქის საზოგადოებრივ მართველობას უფლება აქვს მკვიდრთა სახელით, საზოგადო სამოქალაქო კანონთა და ამა დებულების საფუძველით, შეიძინოს და გაასხვისოს ყოველ გვარი ქონება, ხელშეკრულებანი დასდოს, ვალდებულებანი იკისროს, სამოქალაქო საჩივრები აღძრას და ქონებრივ საქმეების გამო სასამართლოში პასუხი ავოს, იმ წესთა დაცუით, რომელიც სახაზინო სამართველოებისათვის არის დადგენილი.

შენიშვნა. ასეთივე უფლება აქვთ ამ დებულების მე-2 მუხ.

მე-17 მუხ: აღნიშნულ ქალაქთა, და ერობათა კავშირებს.

5. ქალაქის მკვიდრთა კუთვნილი მიწები, რომელიც ქალაქის გეგმით მოედნებისა, ქუჩებისა, ბულვარებისა, სატივეების ანუ მის სამაგიერო ნავთსადაგურებისა და წყლის სანაპიროებისათვის არის დანიშნული და აგრეთვე ქალაქის მიწებზედ მყოფი მდინარეები ქალაქის საკუთრებას შეაღგენს და საყველთაოდ უნდა იხმარებოდეს.

6. იმ გადასახადთა გარდა, რომელიც დადგენილია ჯეროვან საერობო და საქალაქო დაწესებულებათა მიერ მათთვის გამოცემულ კანონთა თანახმად, ქალაქის მკვიდრთ ვერავითარი სხვა ხარჯი, გარდასახადი და სამსახური ვერ დაეკისრება, თუ იგი საკანონმდებლო წესით არ არის შემოღებული.

ქ უ რ ე თ ა ვ ი

ქალაქის საზოგადოებრივ მართველობის შემადგენლობა.

7. ქალაქის საზოგადოებრივს მართველობას შეაღგენს:

1) ქალაქის საბჭო და

2) ქოლ. გამგეობა მასთან დაარსებულ აღმასრულებ. დაწესებულებანით.

იმ ქალაქებში, რომელშიაც მცვიდრთა რიცხვი ორმოცდათი ათასზედ ნაკლები არის, ქალაქის საბჭოებს უფლება ეძლევათ ქალაქის საუბნო სამართველოები დაარსონ ამ სამართველოთა ცალკე წესების თანახმად (კანონდებ. კრებ. 1917 წ., მე-529 მუხ.).

მ ე ს ა მ ე თ ა გ ი

ქალაქის საბჭო.

8. ქალაქის საბჭო შესდგება ხმოსანთა დადგენილ რიცხვიდგან, რომელთაც ქალაქის მცვიდრნი ირჩევენ საქართველოს რესპუბლიკაში მომქმედ კანონდებულებათა თანახმად:

ხმოსნებს შეიძლება გისამრჯელოდ დაენიშნოს საბჭოს დადგენილებით ქალაქის საშუალებიდგან საბჭოს სხდომაზედ თითოეულ დასწრებისასათვის ტფილისა და ქუთაისში ათ მანეთზედ, ხოლო სხვა ქალაქებში — ხუთ მანეთზედ არა უმეტესი.

ვიდრე მოვალეობათა აღსრულებას შეუდგებოდეს, ხმოსანმა საზეიმო აღთქმა უნდა დასრულოს, რომ თავისს მოვალეობას კეთილ-სინიდისიერიად შეასრულებს.

9. საბჭოში თავმჯდომარეობს საბჭოს მიერ ერთის წლის ეადით ხმოსანთაგან ამორჩეული პირი. ახლად ამორჩეულ ხმოსანთა პირველი სხდომა ირჩევს ქალაქის მოურავის ხელმძღვანელობით საბჭოს თავმჯდომარეს. თავმჯდომარის არჩევანთან ერთად საბჭო ირჩევს ხმოსანთაგან იმის მოადგილეებსაც. საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს უფლება არა აქვთ, საპატიო თანამდებობათა გარდა, იყისრონ სხვა რაიმე თანამდებობა ქალაქის. საზოგადოებრივს მართველობაში და აგრეთვე აღილობრივ ოლქის სასამართლოს წევრის თანამდებობა (საადმინისტრაციო განყოფილებაში). ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის უფლება და მოვალეობა აღნიშნულია ამას-თანავე დართულს წესებში.

10. ქალაქის მოურავი, იმისი ამხანაგები და გამგეობის წევრი. თუნდა ამ თანამდებობაზედ არჩევამდე ხმოსნადაც არა ყოფილიყვნენ, ქალაქის საბჭოს სხდომაზედ მონაწილეობას იღებენ ხმოსნის უფლებით, ხოლო მათ შორის ისინი, რომელნიც თანამდებობაზედ დანიშნვამდე ხმოსნებად არა ყოფილან არჩეულნი, ქვირუმს ვერ შეასებენ. ამათ და აგრეთვე იმათაც, რომელთაც რაიმე თანამდებობა აქვთ ქალაქის საზოგადოებრივს მართველობაში, მონაწილეობა არ უნდა მიიღონ საბჭოს მიერ იმ საქმეთა გადაწყვეტის დროს, რომელიც იმათ მოქმედების საკითხს შეეხება, აგრეთვე როდესაც საბჭო მათ თანამდებობის აღსრულებისათვის ჯამაგრის უნიშნავს და გამგეობის ანგარიშის რევიზიის დასკვნას განიხილავს.

11. თუ რომელიმე ხმოსანთაგანი იმ ვადის განმავლობაში, რა ვადი-

თაც იყო არჩეული, დაპკარგავს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, ან ხმოსნობაზედ უარს განაცხადებს, იგი ხმოსნად აღარ ითვლება და მის მა-გიერ უნდა მიწვეულ იქმნას საარჩევნო ვადის გასვლამდე მორიგი კანდი-ლატი ხმოსანთა ჯეროვან საკანდიდატო სიის თანახმად.

12. ხმოსნის თანამდებობაზედ უარის განცხადებად ჩაითვლება, თუ ხმოსანი ორის თვის განმავლობაში არც ერთხელ არ დაესწრება ქალაქის საბჭოს სხდომას.

საზოგადოებრივ მართველობის უწყების ფარგალში (1-ლი და მე-2 მუს.) საბჭოს ეკუთვნის უმაღლესი ხელისუფლება განკარგულებათა გაცე-მისა და აღმასრულებელ დაწესებულებათა მეთვალყურეობისა.

13. კერძოდ საბჭოს უფლებას შეადგენს:

1) არჩევანით დანიშნული ამ დებულებაში აღნიშნულ თანამდებობის პირთა, აგრეთვე იმ თანამდებობის პირთა, რომელთა არჩევა ქალაქის მართველობას აქვს მინიჭებული ჯეროვან წესდებათა; დებულებათა და სხვა დადგინდებათა ძალით.

2) ჯამაგირის რაოდენობის განსაზღვრა ყველა იმ ამა მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ თანამდებობისათვის, რომლის აღსრულება უსასყიდლოდ არ არის დაწესებული.

3) საზოგადოებრივ მართველობის აღმასრულებელ დაწესებულებათა მოქმედების წესის განსაზღვრა და მათთვის ჯეროვან დარიგებათა (ინს-ტრუქციათა). შედგენა.

შენიშვნა: ამა პუნქტში აღნიშნული დარიგებანი საბჭომ უნდა გამოსცეს ერთის წლის განმავლობაში გამეობისათვის. ამ დებულების შემთხვევაში დღიდგან, ხოლო დანარჩენ აღმა-სრულებელ დაწესებულებისათვის—მათის დაწესების დღიდგან..

4) შემოსავალ-გასავლის ანგარიშის (შემოსავლისა და ხარჯის აღრიც-ხვის) განხილვა; შტატების და აგრეთვე ქალაქის საზოგადოებრივ მართვე-ლობის მოხელეთათვის პენსიისა, დახმარებისა და ყოველ სხვა ფულად შემწე-ობის დანიშნის წესების განხილვა და დამტკიცება.

5) მოქმედ კანონით დადგინდება ადგილობრივ გარდასახადთა რაოდე-ნობის წესის განსაზღვრა.

6) მკვიდრთა საერობო ბეგარის ნაცვლად ფულად გარდასახადის. და-წესება, ისე-კი, რომ ეს ფული ქალაქის მკვიდრთა საერთო ქონებაში ჩა-რიცხოს.

7) ქალაქის საერთო ხარჯით, ან, სახლის-პატრონებთან შეთანხმე-ბით, ნამდვილ საჭიროების კვალობაზედ სახლის-პატრონებზედ გაწერილ ფულით გამართვა, მოწყობა და შენახვა: ა) ქუჩების მოკირწყვლისა და ქა-ფენილებისა; ბ) სახლების ბეჭრების გაწმენდისა; გ) ღამის დარაჯების შე-ნახვა ცეცხლის გაჩენის საფრთხის ასაცილებელად დ) უწმინდურების გატა-ნა და მოშორება არხების შემწეობით.

შენიშვნა 1-ლი. ამ (მე-7) პუნქტში აღნიშნული გაწერილი ფული მარტოლენ თავის დანიშნულს საგანს უნდა მოხმარდეს.

შენიშვნა შე-2. ამასთან დართულ წესების ძალით ამა (მე-7) პუნქტში აღნიშნული სახლის-პატრონთა ბეგარა: ა) ქუჩების მოკირწყვლისა და ქვაფენილების დაგებისა, ბ) ბუხრების გაწმენდისა, გ) ცეცხლის გაჩენის საფრთხის ასაცილებლად ღამის დარაჯის შენახვისა, დ) ნაგავ-ნაყარის გატანისა და ე) ქალაქის არხების შემწეობით უწმინდეურობის მოშორებისა შეიძლება სახლის-პატრონთ გაწეროს ცალკე გარდასახადადაც მთელს ქალაქში ან რომელსამე უბანში.

8) ქალაქის გარდასახვდთა უწესოდ შეწერილ ფულისა ანუ მისალებად უიმედო დაოჩენილ გარდასახვისაგან განთავისუფლება.

9) ქალაქის მკვიდრთა თანხებისა და სხვა ქონების, აგრეთვე ქალაქის საზოგადოებრივ საგამგებლო უწყებაში მყოფ სამკურნალო, საქველმოაქმედო და საყოველთაოდ სასარგებლო დაწესებულებათა მართვა-გამგეობის წესების დადგენა.

10) უძრავ ქონებათა შეძენა.

11) უძრავ ქონებათა გასხვისება, აგრეთვე წესებისა და ფასის დადგენა იმ ასეთის ქონების გაყიდვისა და გამოსყიდვისათვის, რომელიც, დამტკიცებულ გეგმის თანახმად, ქალაქის მკვიდრთა სააღმშენებლოდ და ქალაქის მოსაწესრიგებლად არის დანიშნული.

12) პირველ-საჭიროებისა და საერთოდ სახმარებელ ნაწარმოებზედ ნიხრის დადგენა (ხორცისა, პურისა, რძისა, ასანთისა, ნავთისა, ელექტრონისა, ბულისა (გაზისა) და სხ.) და ამ ნაწარმოებისა და საგნების ხმარების რაოდენობის გასაზღვრა.

13) დადგენა ქალაქის შემოსავლად გარდასახდევინებელ სასყიდლის რაოდენობისა: ა) ქალაქის ხარჯით მოწყობილ მისავალ გზებითა, გადასასვლელებითა და გადასატან - გადასაყვან საშუალებითა, აგრეთვე ქალაქის სააღახანისა, ქარიზისა (წყლის სადენი) და სხვა ამ გვარ გამართულობით სარგებლობისათვის; ბ). იმ მიწის ნაჭრებისათვის, რომელიც კერძო პირთა და საზოგადოებათ აქვთ დათმობილი ნავთ-საყუდლებისათვის, ან გასატან და შემოტანილ საქონლის საწყობად, ისე კი, რომ ამასთან დაცულ იქმნას გზათა უწყების წესდება სატივეებისა და მის სამაგიერო ნავთსადგურებისა და წყლის სანაპირო აღილების უსასყიდლოდ საყოველთაოდ სარგებლობის შესახებ; გ) ქალაქის საზღვრებში მდინარე წყლებზედ ნაჯებისა და გემების გაჩერებისათვის იმ ხანზე მეტად, რაც საჭიროა საქონლის აზიდვისა, ვადმოზიდვისა და ნავოსნობის სხვა საჭიროებისათვის და დ) ქალაქის მკვიდრთა ხარჯით გამართულ ნავთსადგურებსა და ნავთ-საყუნებში დაზამთრებისათვის.

შენიშვნა. ქალაქის საბჭოსავე ნება აქვს საერთო საფუძველით სავალდებულო დადგენილებით დაწესოს ნიხრი ქალაქის

სასარგებლოდ ყანთარზედ სურსათისა და საქონლის აწონვის გარდასახადისა.

14) ქალაქის მკვიდრთა სახელით განზრახულ ასაღებ სესხისა და სხვა ვალდებულებათა განბჭობა.

15) ქალაქის მკვიდრთა სასარგებლოდ შეწირულებათა მიღება.

16) ამა დებულების მე-27 მუხ. აღნიშნულ საგანთა შესახებ სავალ-დებულო დადგენილებათა შედგენა და გამოცემა.

17) ქალაქის გეგმის შედგენა და შეცვლა.

18) გამგეობის მოქმედებისა და ანგარიშის შემოწმება და გამგეობა-ზედ შეტანილ საჩივრების განხილვა.

19) საზოგადოებრივ მართველობის თანამდებობის პირთა პასუხის-მგებლობის შესახებ საქმეთა აღძრა და ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ პირ-თა თანამდებობის აღსრულებიდგან დროებით გადაყეხება, თუ ვინიცობაა იმათ წინააღმდეგ სისხლის სამართლით საჩივარია აღძრული.

20) გაჭრობის წარმოების მეთვალყურეობა იმ ფარგალთა შორის, რო-მელიც მიკუთვნებული აქვს ქალაქის საზოგადოებრივს მართველობას ჯერო-ვანის წესდებებითა და სხვა კანონდებულებანით.

21) უფლება პირდაპირ, სხვათა დამოუკიდებლად, მიჰმართოს სახელ-მწიფოს საკანონმდებლო დაწესებულებას და თავისი საკანონმდებლო მოსა-ზრებანი წარუდგინოს („საკანონმდებლო თაოსნობის უფლება“).

22) დადგენა ყველა იმ უძრავ ქონების მფლობელისათვის, რომელთა ქონება ქალაქის არხის ქსელთან მდებარეობს, სავალდებულო მოვალეობი-სა, რომ ამ ქსელს შეუურთდნენ უწმინდურობისა და ნიაღვრების ჩასაშევებად, დანიშვნა ცალკე უძრავ ქონებათა ამ აზრით არხთან შეერთების რიგისა და ვადისა და აგრეთვე არხით სარგებლობის სასყიდელისა, რომლის რაოდენობა უნდა დაწესებულ იქმნას ამ უძრავ ქონებათა თვისებისა და მნიშვნელობის კვლობაზედ, ისე-კი, რომ საერთო ჯამი ამ სასყიდელისა არ უნდა აღემ-ტებოდეს იმ თანხას, რომელიც სჭირია არხის გაყანასა და მისის მოვლა-შენახვისათვის დახარჯულ ფულის სარგებლისა და თავნის ანაზღაურებას.

შენიშვნა. თუ ამ (22) პუნქტში აღნიშნული მოთხოვნილე-ბა არ იქმნა შესრულებული, ქალაქის საზოგადოებრივი მართვე-ლობა თვით აწარმოებს საჭირო სამუშაოს მფლობელთა ხარჯით; ამ სამუშაოს სალირალი, ექვსის წლიურ ასისთავის დამატებით ანგარიშის წარდგენის დღიდგან გარდახდის დღემდე, უნდა გარ-დახდევინებულ იქმნას ქალაქის დასაფასებელ გარდასახადისათვის დაწესებულ საერთო წესით, იმისდა მიუხედავად, ის ქონება იხდის თუ არა დასაფასებელს გარდასახადს. ქალაქის საბჭოს შე-უძლიან ეს გარდასახადი, განსაკუთრებულ შესაწყნარებელის მი-ზეზით, ნაწილ-ნაწილ გარდაახდევინოს, ხოლო არა უგვიანეს ექვსის წლისა.

თუ სამფლობელო ქონება მეტად მცირე ლირებულობისაა; ან სახლის პატრონი ღარიბი და შეუძლებელია, ქალაქის საზოგადოებრივს მართველობას. უფლება აქვს გაწეულ სამუშაოს სარჯი ქალაქის საერთო გასავალს მიაწეროს.

14. ქალაქის საბჭომ ამ თავით მთელის წლისათვის უნდა შეადგინოს ნუსხა თავისის სხდომებისა, რომელთა რიცხვი წელიწადში ოცდაოთხზედ ნაკლები არ უნდა იყოს; ამასთან სხდომები ქალაქის შემოსავლისა და გასავლის აღრიცხვის აღსრულების ანგარიშისა და აგრეთვე გამგეობის წარსულ წლის ცველა ანგარიშის განსახილველად უთუოდ სექტემბერში უნდა დაინიშნოს, ხოლო დამდეგ წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის განსაბჭობად—ნოემბერში.

15. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, ჰინიშნავს საქმეებს საბჭოს სხდომაზედ განსახილველად თანდათანობით, ქალაქის მოურავისაგან საქმეთა მიღების კვალობაზედ და ამ საგნის შესახებ საბჭოს დადგენილების თანახმად. დღე და საათი საბჭოს სხდომისა ხმოსნებს უნდა აღრევე ეცნობოს უწყებით, რომელიც შედგენილ უნდა. იქმნას თავმჯდომარის განკარგულებით. უწყებასთან ერთად ხმოსანს ეგზავნება მოსასმენად დანიშნულ საქმეთა ნუსხა.

16. რიგს გარეშე სხდომა საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლიან დანიშნოს თავისის მიხედულობით, საბჭოს დადგენილებით, ქალაქის მოურავის ანუ ქალაქის გამგეობის თხოვნით, სარევიტო კომისიის მოთხოვნილებით და ხმოსანთა საერთო რიცხვის ერთს მესამედზედ არა ნაკლების განცხადებით. წინადადება, განცხადება და მოთხოვნილება რიგს გარეშე სხდომის დანიშნების შესახებ უნდა წარედგინოს საბჭოს თავმჯდომარეს, რომელმაც ასეთი სხდომა უნდა დანიშნოს სამს დღეზედ არა უგვიანეს წინადადებისა, განცხადებისა და მოთხოვნილების მიღების დღიდგან.

17. ქალაქის საბჭო მისდა უწყებულ საქმეთა განხილვასა, და განბჭობას უნდა შეუდგეს:

- 1) შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადებით,
- 2) ქალაქის მოურავისა და ხმოსანთა წინადადებით,
- 3) გამგეობის წარდგენილებისა თანახმად და
- 4) კერძო პირთა თხოვნისა და საჩივრის გამო.

თუ ხმოსანს ჰაიმე წინადადება შეიტანოს, წერილობითი განცხადება უნდა წარედგინოს ქალაქის მოურავს, რომელმაც, ჯეროვან ცნობათა შეგროვებისათანავე, ეს წინადადება უნდა გადასცეს საბჭოს თავმჯდომარეს მის მიერ ამა დებულების მე-15 მუხ. წესით წარსამართავად; იმავე წესით უნდა გადაეცეს საბჭოს განსახილველად სხვა-და-სხვა დაწესებულებისა და თანამდებობის პირის განცხადება და აგრეთვე კერძო პირთა ყოველი თხოვნა და საჩივრი;

შენიშვნა. საბჭოს განსახილველად, დანიშნულ საქმეთა მოხ-

სენებანი შეიძლება დაიბეჭდოს, ქალაქის მოურავის განკარგულებითა და მისის პასუხისმგებლობით, იმდენ ცალად, რამდენიც საჭიროა საქმის საწარმოებლად და ხმოსანთა შორის დასარიგებლად.

18. საბჭოს შეუძლიან მისდა ქვემდებარე როზულ საქმეთა წინასწარი განხილვა მიანდოს საბჭოს ცალკე წევრო ანუ ხმოსანთაგან შემდგარს განსაკუთრებულ აღმასრულებელ კომისიებს. თუ საჭიროა, საბჭოს შეუძლიან განსაზღვროს ვატა, რომლის განმავლობაშიაც არჩეულმა პირებმა და კომისიებმა მათდამი დაკისრებული მინდობილება უნდა აღასრულონ.

ქალაქის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის ასრულების შესახებ გამგეობის ანგარიშის განსაზღვრელად უთუოდ უნდა ამორჩეულ იქმნას ხმოსანთაგან სარევიზიო კომისია.

19. საბჭოს კრებაზედ, მისივე დადგენილებით, შეიძლება მიწვეულ იქმნან განმარტებათა წარსადგენად ისეთნი პირნიც, რომელნიც ხმოსნად არ იჩიცხებიან.

20. საბჭოს კანონიერ შემადგენლობისათვის საჭიროა დაესწროს იმ ქალაქებში, სადაც ხმოსანთა საერთო რიცხვი 1000მოცს არ აღემატება,—საერთო რიცხვის ნახევარზედ არა უმცირესი, ხოლო დანარჩენ ქალაქებში—საერთო რიცხვის ერთს მესამედზედ არა უმცირესი. რიგს გარეშე კრება, მოწვეული რაიმე საერთო უბედურებისა, სამხედრო ვითარებისა და სხ. გამო, ამა დებულების მე-16 მუხ. თანახმად ინიშნება და კანონიერად ჩაითვლება, თუ ხმოსანთა საერთო რიცხვის ერთს მეოთხედზედ ნაკლები არ დაესწრო.

21. საბჭოს დადგენილების კანონიერად ჩასათვლელად, თუ იგი შეეხება:

1) ქალაქის კუთვნილ უძრავ ქონებათა გასხვისებას, იმ მცირე-ზომიან ადგილებს გარდა, რომელიც აღნიშნულია ამა (21) მუხ. მე-2 პუნქტში;

2) იმ მცირე-ზომიან მიწების ფასის დადგენას, რომელიც ქალაქის გეგმით კერძო შენობათა აღსაგებად და ქალაქის მოსახლეობის მოსაწესრიგებლად არის დანიშნული;

3) ქალაქის სახელით სესხის აღებას, თავდებობას და უზრუნველმყოფელობის პირობას;

4) ხელშექრულებათა დადებას კერძო პირებთან საყოველობაზე სასარგებლო აღსაშენ-აღსაგებისა და სხვა-და-სხვა წარმოების შოწყობისა და დამუშავების გამო, როდესაც ხელშექრულების ვადა 12 წელიწადს, ან წარმოების ლირებულობა ქალაქის უკანასკნელ განვლილ წლის შემოსავლის ნახევარს ჯამს აღემატება;

5) სახლის-პატრონებზედ იმ ბეგარის ცალკე გარდასახადად შეწერას; რომელიც აღნიშნულია მე-13 მუხ. მე-7. პუნქტის მეორე შენიშვნაში, და

6) ქალაქის კუთვნილ მიწების საშენად გასაცემად,—საჭიროა იმ ქა-

ლაქებში, სადაც ხმოსანთა საერთო რიცხვი თრმოცს არ აღემატება, ამ რიცხვის ორ მესამედზედ არა უმცირესის დასწრება, ხოლო დანარჩენს ქალაქებში — იმავე რიცხვის ნახევარზედ არა ნაკლების დასწრება, და ოვით დადგენილებაც უნდა შეწყნარებულ იყოს საბჭოს კრებაზედ. დამსწრე ხმოსანთა ორის მესამედის ხმის უმეტესობით;

7) ქალაქის საბჭოს იმ დადგენილების კანონიერად ჩასათვლელად, რომელიც საუბნო მართველობათა დაარსებას შეეხება, საჭიროა, რომ იგი შეწყნარებული იყოს დამდგენელ ქალაქისათვის დაწესებულ ხმოსანთა საერთო რიცხვის ნახევარზედ მეტის ხმის უმეტესობით.

22. მე-21 მუხ. აღნიშნულ საქმეთა გარდა, კველა დანარჩენი საქმე საბჭომ უნდა გადასწყვიტოს ხმათა უბრალო უმეტესობით, ხოლო თუ ხმათა რიცხვი, ცხადად გამოთქმული, თანაბარი აღმოჩნდა, იმ ნაწილის აზრი ითვლება მიღებულად, რომელსაც თავმჯდომარე ემზრობა. აზრთა შეკრების დროს არავის არ შეუძლიან ერთს ხმაზედ მეტი იქონიოს. ერთს ხმოსანს ნება არა აქვს თავისი ხმა მეორეს გადასცეს.

23. აჩევანი საზოგადოებრივს თანამდებობაზედ, რომელიც საბჭოს უფლებას შეადგენს, ფარულის ხმის შექრებით უნდა მოხდეს, კენჭის ყრის შემწეობით. ამავე წესით უნდა იქნას დადგენილი გარდაშეკვეტილება საზოგადოებრივ მართველობის თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საქმის აღძრისა. ყველა დანარჩენი საქმე, საბჭოს სურვილისამებრ, შეიძლება გადაწყდეს ცხადად შექრებილის ხმით:

24. ქალაქის საზოგადოებრივ მართველობის დადგენილება და განკარგულება, რომელიც საყოველთაო საცნობელად უნდა იქნას გამოქვეყნებული, უნდა დაიწეროს, სახელმწიფო ენის გარდა, იმ უმცირეს ეროვნების ენაზედაც, რომელიც მკვიდრთა საერთო რიცხვის 20%-ზედ ნაკლებს არ შეადგენს. განაჩენი იმ კერძო თხოვნათა შესახებ, რომელიც ქალაქის საზოგადოებრივს მართველობაშია შეტანილი იმ პირთაგან, რომელიც მკვიდრთა ამავე უმცირესობას ეკუთვნიონ, უნდა გამოკხადდეს იმ ენაზედ, რომელზედაც თხოვნაა დაწერილი.

25. ყოველი დადგენილება უნდა აღნიშნული იყოს ოქმში, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ თავმჯდომარემ და დამსწრე ხმოსნებმა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს. დადგენილებაში. ოქმს ამოწმებს საბჭოს მდივანი. საბჭოს მდივნის მოვალეობას საბჭოს ოქმების შედგენაც შეადგენს.

26. თუ ქალაქის საბჭოს კრებაზედ ხმოსანთა კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა (ამა დებულების მე-20 და 21 მუხ.), საბჭოს თავმჯდომარემ ამ სხდომაზედ მოსასმენ საქმეთა განსახილველად ხელ-ახალი კრება უნდა დანიშნოს შეუძლებარ კრების შემდეგ სამს დღეზედ არა უგვიანეს; ეს ხელ-ახალი კრება შემდგარად ითვლება, რამდენი ხმოსანიც უნდა დაესწროს, რაც ხმოსნებს წინდაწინვე უნდა ეცნობოთ კრებაზედ მისაწვევ უწყებით.

იმ საქმეთა გადასაწყვეტად, რომელიც აღნიშნულია. ამა დებულების

შე-21 მუხ., ყოველ შემთხვევაში საჭიროა, რომ სხდომაზედ კანონით დადგენილი რიცხვი ხმოსანთა დაესწოოს.

27. ქალაქის საბჭოს შეუძლიან საეალდებულო დადგენილება გამოსცეს შემდეგ საგნების შესახებ:

1) ქალაქის წესიერ და გეგმის თანახმად გაშენებისა;

2) ქალაქის სასარგებლოდ დაწესებულ გარდასახადთა შეტანის ვადის დადგებისა და მათის გადახდევინების წეს-რიგისა; ქალაქის სასარგებლოდ დაწესებულ ბეგარის აღსრულებისა;

3) ქალაქის მოწესრიგებისა; კერძო შენობათა აგებისა; კერძო სამფლობელო მიწების წვრილ ნაკრებად განაწილებისა და ამ ნაკრებზედ შენობათა აგებისა; ქალაქის ამა თუ იმ უბანში შენობათა სიმაღლისა და სართულთა რაოდენობის განსაზღვრისა; შენობებში საცხოვრებელ სადგომთა სიმაღლისა და მათის სინათლით უზრუნველყოფისა; აღსამართასატან ხელშესაწყობისა და საერთოდ შენობათა ტეხნიკურ მოწყობილობისა; ამ შენობათა გარეგან სახისა; ცეცხლისაგან უზრუნველ-მყოფელ კედლებისა; იმ უბნებში, სადაც ქალაქის გეგმით ქვითკირის შენობები უნდა აშენდეს, ხის შენობების დანგრევისა და მათ ნაცვლად ქვითკირის შენობების აგებისა; ქუჩებსა და მოედნებზედ ხეხილების ჩარგისა; ქვაფენილების გამართვისა და სხვა იმ შენობათა აგებისა, რომლის განხორციელებაც მკუდრთა მოვალეობას შეაღებს;

4) ცეცხლისაგან უზრუნველმყოფელ საშუალებათა; ბანებისა, ღუმელებისა და ბუხრების გამართვისა და მათის დათვალიერებისა და მოელაპატრონობისა; იმ ადგილებისა, ზადაც ნება დართულია გამართვა ადვილად აღმგზნებ საგნების საწყობებისა; ამ საგნების შენახვისა და გაყიდვისა; იმ ზომათა მიღებისა, რომელსაც შეუძლიან აცდენა მათის აღგზნებისა და აფეთქების საფრთხისაგან; იმ ადგილების ცეცხლის საფრთხისაგან უზრუნველყოფისა; სადაც დიდადი ხალხი იყრის ოავს; ღამის დარაჯის შენახვისა; ეზოს გასავალ გზების გაყვანისა, რომ გაადგილდეს მისვლა-მოსვლა ეზოსა და ქუჩას მორის; ცეცხლის ჩაქრობისა და ცეცხლის გაჩენის დროს სახლის გადარჩენისა და ქონების დაცვისა და სხ.;

5) წყალ-დიღობისა და სხვა უბედურებათა წინააღმდეგ ზომების მიღებისა და ამ უბედურებათა დროს ხალხის გადარჩენისა და ქონების დაცვის საშუალებისა;

6) იმ ზომებისა, რომ დაცულ იქმნას დაურღვეველიად ქალაქის გამგებლობაში მყოფი საზოგადოებრივი ნაშენ-ნაგებნი, ხელოვნების ძეგლი და სიძველეთა ნაშთნი; ბუნების ძეგლთა და იშვიათის ჯიშის ცხოველებისა, ხეებისა და მცენარეების დაცვის ღონისძიებისა;

7) მოწყობისა და სუფთად და წესიერად მოვლა-პატრონობისა ქუჩებისა, მოედნებისა, მოკირწყლულ ადგილებისა, ქვაფენილებისა, საზოგადოებრივ ბაღებისა, ბულვარებისა, სატივეებისა და სანავეებისა, წყლის ნაპი-

რებისა, ნავთსადგურებისა, ხიდებისა, გადასავლელ და საყოველთაოდ სახმარებელ ადგილებისა, აგრეთვე არხებისა, ჭაობებზედ გაყვანილ გზებისა, ტბებისა, თხრილებისა და ბუნებრივ წყაროებისა; იმათ გამოუკლებლად, რომელიც იმყოფება კერძო პირთა, დაწესებულებათა და უწყებათა კუთვნილს მამულებზედ, და იმათის სარგებლობისა;

8) სახლისა და ეზოების ქარიზმების (წყალ-სადენი) და არხების გამართვისა, მოვლა-პატრონობისა და სარგებლობის წესისა; ბანებიდგან ნაწილის გადალორისა და ჯირგინებისა და სხვა ამ გვარ ძველ მოწყობილებათა გაუქმებისა და სხ.;

9) ქალაქის საზღვარს შორის ბაზრებისა, საქულბაქოებისა და სხვა სავაჭრო ადგილების დანიშნისა, მათის მოწყობისა და მოვლა-პატრონობისა, აგრეთვე ამ ადგილების წესებისა და იქ ვაჭრობის წარმოების დროისა;

10) ნავთსადგურებისა, გადასასტულელ და გადასაზიდ ადგილების მოწყობისა და მათის მოვლა-პატრონობისა, ქალაქის მდინარებზედ ნავოსნობისა და მეტივეობის მოწესრიგებისა და საქონლის მიღებისა და გაგზავნის მოხელე პირთა მოქმედების წესრიგისა;

11) ქალაქის საზღვარს შორის ცხენისა და მექანიკურად მოწყობილ რკინის გზებისა ან სხვა უკეთეს და განკარგებულ მიმოსავლელ გზების გაყვანისა და მოვლა-პატრონობისა და აგრეთვე როგორც კერძო, ისე ქალაქის საყოველთაოდ სახმარებელ წარმოებათა გამართვისა და მოვლა-მოწყობისა, განათებისა, ქარიზმისა, არხებისა და სხ. და ამ გზებითა და წარმოებებით სარგებლობისა;

12) მოგზაურთა და მკვიდრთა მატარებელ და ტეირთის გადასატან მრეწველობის წარმოებისა; ცხენისა და მექანიკურ საშუალებით მოძრავ ხალხისა და ბარგის მატარებელ ეტლებისა; მეტლეთა რკინის გზის სადგურებსა, ნავთსადგურებსა, და ხალხის სხვა თავ-მოსაყრელ ადგილებში მორიგეობისა და დეგრადის წესისა;

13) ქუჩებში მოძრაობის უშიშრად ყოველი ლონისძიებისა და აგრეთვე იმ მდინარეებსა, სატივე და სანავე ადგილებსა და მდინარის ნაპირებზედ, რომელიც გზათა უწყებას არ ექვემდებარება;

14) სახლების დანომვრის წესსა; სახლების ფარნების ნოშრებისა, კიბეებისა და ზარულების განათებისა;

15) საზოგადოებრივ ადგილებში წესიერებისა და მართებულობის, და საცავად სახმარებელ ლონისძიებისა;

16) გადამდებ და მოარულ სენთან ბრძოლისა და ამ სენთა გავრცელების ამაცილებელ ლონისძიებისა;

17) სასმელებითა და სხვა გამაბრუებელ ნივთიერებით ლოთობისა და გარყვნილობის წინააღმდეგ ზომებისა;

18) იმ ადგილების აღნიშნვისა, რომელშიაც აღიკრძალება ქარხნებისა და სხვა სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებათა გამართვა;

19) სანიტარულად და საბერითალო ზედამხედველობის მხრივ გამართვისა და მოვლა-პატრონობის წესისა: საქართველო, სახელოსნო და სავაჭრო დაწებულებათა; საზოგადოებრივ საკურებულოებისა და აგრეთვე თეატრებისა, კინემატოგრაფებისა, ცირკებისა და სხვა გასართობა. აღვილებისა; სასწავლო, სამკურნალო და საქველმოქმედო აღვილებისა, ცხენის რძით სამკურნალოებისა და რძის ფერმებისა; აფთიაქებისა, ლაბორატორიებისა, სამკურნალო კაბინეთებისა, საცხოვრებელ საღვრმებისა, მოსამსახურეთა საბინადროებისა, სასტუმროებისა, ავეჯით მოწყობილ ოთახებისა, ქარვასლებისა, მუშათა სადგომებისა, ოთახის გასაქირავებელ კუთხეებისა, საწოლებისა და ლამის თავშესაფარებისა; აბანოებისა, საბანებლებისა და სამრეცხველოებისა; სალახნებისა და შინაურ პირუტყვის სხვა დასაკვლეულ აღვილებისა; ყასბის დუქნებისა და საჭმელ-სასმელ სურსათ-სანოვაგის ყოველ გვარ მომმზადებელ. შემნახველ და გამყიდველ აღვილებისა; დაკლულ საქონლის საწყობებისა და გასაყიდ. აღვილებისა და აგრეთვე ტყავეულობის ქარხნებისა; მეტლეთა ეზოებისგ და სხვა იმ აღვილებისა, სადაც შინაურს პირუტყვს ინახავენ; სასენიზაციო ეზოებისა და ეტლებისა და სხ.;

20) ეზოების გაწმენდისა; ჯირგინებისა; სანაგვეებისა და ზარულების გამართვისა და მოვლა-პატრონობისა; უწმინდურებისა და ნაყარ-ნუყარის მოშორებისა და იმათ გადასაყრელ აღვალებისა;

21) მაგნე ცხოველთა და მწერთა გახაწყვეტ და მოსასპობ ზომებისა;

22) ჰაერისა და ნიადაგის წახდენის წინააღმდეგ საშუალებათა და არტეზიანულ და სხვა ჭების გამართვისა და მოვლა-პატრონობისა, აგრეთვე საყოველთაოდ სახმარებელ წყაროების წყალის ხარჯვის წესისა;

23) საჭმელ და გასასყიდად ნება-დართულ სასმელ - სურსათ - სანოვაგის. რიგიანობის უზრუნველყოფისა; ნიხრის დაწესებისა; იმ ნაწარმოებისა და საგნებისათვის, რომელიც აღნიშნულია ამა დებულების მე-13 მუხ. მე-12 პუნქტში, და ამ ნაწარმოებთა და საგარითა ხმარების წეს-რიგისა;

24) ძველ და ნახმარ ნივთების ყიდვისა, გაყიდვისა და შენახვისა და ამა და აგრეთვე სხვა ძველ-ძულებისა, ნაყარ-ნუყარისა და ნაშთის გამამყენებელ სარეწავთა წარმოებისა;

25) პირუტყვთა მფარველობისა და მათის მოვლა-პატრონობის წესისა;

26) შინაურ ცხოველების მძორების აკრეფისა და მოსპობისა და ამ მძორების ტენიკურად გადასამუშავებელ ქარხნების მოწყობისა და მოვლა-პატრონობისა;

27) სავაჭრო და სამრეწველო დუქნებისა და დაწესებულებებისა; საწყობებისა. და კანტორებისა, თეატრებისა, კლუბებისა, სინემატოგრაფებისა და სხვა გასართობა აღვილებისა, ყავასანებისა, სასტუმროებისა და. სხ. გაღებისა და დაკეტვის ღროს დაწესებისა და აგრეთვე ამ დაწესებულებებში მომუშავეოა დასასვენებელ ღროს უზრუნველყოფისა;

28) იმ მცირე-წლოვანთა და ქალების ჯანმრთელობისა და ზეობის

მხრივ დაზიანებისაგან დასაცავ ზომებისა, რომელნიც სავაჭრო, სამრეწველო და სხ. დაწესებულებანში ჰმსახურობენ, ან საჯარო გასართობ და სამხიარულო აღილებში მონაწილეობას იღებენ;

29) სამორინე, საყომარბაზო და სხვა ამ გვარ სათამაშოების აღკრძალვისა;

30) ყავახანების მათის დანიშნულებისამებრ მოწყობისა და წარმოების წესისა; დანიშნვა იმ აღილებისა, სადაც ასეთ დაწესებულებათა გამართვა და დაარსება აღკრძალულ უნდა იქმნას, და ამ დაწესებულებებში წესიერებისა და მართველობის დაცვისა;

31) ლუდისა და თაფლის სასმელების ნარდად სავაჭრო საწყობებისა და ლუქნების შინაგან მოწყობისა, ამ დაწესებულებანში წესიერებისა და მართებულობის დაცვისა და აგრეთვე ლვინითა და არყით ვაჭრობის შეზღუდვისა ან აღკრძალვისა;

32) ფეხზედ ვაჭრობის წარმოების წესისა;

33) ყანთრებზედ ნაწარმოებისა და საქონლის ასაწონ გარდასახადის ნიხრისა;

34) პირველ-საჭიროების საგნების ნაკლებულობისა და სიძვირის წინააღმდეგ ლონისძიებათა; სოფლის მეურნეობის ნაწარმოების სავაჭრო აღილებს გარეშე გაყიდვის აღკრძალვისა;

35) ლუქნებისა, სავაჭროებისა და სხ. წარწერათა, რეკლამებისა და სხ. მოწყობის წესისა;

36) ყველა დანარჩენ საგნისა, რაც კი ქალაქის საზოგადოებრივ მართველობის უწყების ფარგალში შედის (ამა დებულების 1-ლი და მე-2 მუხ.), და აგრეთვე იმ საგნებისა, რომელთაგამოც მომქმედ კანონდებულებათა ძალით უფლება აქვს სავალდებულო დადგენილება გამოსცეს.

28. ქალაქის საბჭოს მიერ შედგენილი სავალდებულო დადგენილება არაფრით არ უნდა არღვევდეს მომქმედ კანონებს.

29. ქალაქის საბჭოს მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დამრღვევვლი საერთო საფუძვლით უნდა იქმნენ პასუხისმგებაში მიცემული და უნდა მიესაჯოთ ის სასჯელი, რომელიც აღნიშნულია სასჯელთა წესდების მე-29 მუხლში, თუ ამ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევა სხვა დამსჯელ კანონით არ არის გათვალისწინებული.

30. კერძო პირთა, საზოგადოებათა და დაწესებულებათა საჩივარი ქალაქის საბჭოს მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილების უკანონობის შესახებ უნდა აღძრულ იქმნას ოლქის სასამართლოში (სააღმინისტრაციო განუოფილებაში) ვადის შეუზღუდველად. ეს საჩივარები უნდა შეტანილ იქმნას ქალაქის გამგეობაში, რომელმაც ერთის კვირის განმავლობაში თავისის დასკვნითურთ უნდა წარუდგინოს სასამართლოს.

31. სავალდებულო დადგენილების გამოცემის დროს საბჭოს მიერ უნდა დანიშნულ იქმნას ვადაც, რომლიდგანაც დადგენილება ძალაში შედის.

32. მილიციის მოხელენი მოვალენი არიან სავალდებულო დადგენილებათა უნაკლულოდ აღსრულებას თვალ-ყური ადევნონ. ამისდა დამოუკიდებლად, საბჭოს შეუძლიან ამ დადგენილებათა აღსრულების მეთვალყურებად დანიშნოს განსაკუთრებული უბნის მზრუნველები, რომელთაც მათის წოდების დასამოწმებლად ქალაქის გამგეობისაგან ბეჭედ-დასმული ლია: ფურცელი მიეცემათ.

33. სავალდებულო დადგენილების დამრღვველთა წინააღმდეგ სამართალში საქმის აღძრა და ბრალდების წარდგენა შეუძლიანთ როგორც გამგეობასა და უბნის მზრუნველებს, ისე მილიციასაც.

მ ე თ თ ხ ე თ ა ვ ი

ქალაქის გამგეობა.

34. ქალაქის გამგეობას შეადგენენ, ქალაქის მოურავის თაემჯდომარებით, ქალაქის მოურავის ამხანაგები, საღაც ასეთი თანამდებობა არსებობს, და გამგეობის წევრნი.

შენიშვნა: ქალაქის მოურავი და გამგეობის წევრნი შეიძლება არჩეულ იქმნენ ისეთ პირთაგან, რომელნიც ხმოსნად არიან ირიცხებიან.

35. ქალაქის მოურავის ამხანაგთა თანამდებობა შეიძლება დაწესებულ იქმნას ქალაქის საბჭოს მიხედულობით; იგივეა განსაზღვრელი ამ თანამდებობის რიცხვისა. ქალაქის მოურავსა და მის ამხანაგებს შორის მოვალეობას საბჭო ანაწილებს.

ქალაქის გამგეობაში ორს წევრზედ ნაკლები არ უნდა იყოს. ქალაქის საბჭოზედ დამკიტებულია, თუ საჭიროებამ მოითხოვა, გამგეობის წევრთა მეტის რიცხვის დანიშნვა.

36. იმ ქალაქებში, საღაც ქალაქის მოურავის ამხანაგის თანამდებობა არა არსებობს, საბჭო გამგეობის ერთ-ერთ წევრთაგანს მოურავის მოადგილედ ირჩევს.

37. თუ ქალაქის მოურავს არ შეუძლიან თავისის თანამდებობის ასრულება ავადმყოფობისა გამო ან სხვა შესაწყნარებელ მიზეზით, ან თუ იგი სხვა, კანონით იმაჩედ დაკისრებულ, მოვალეობათა აღსრულებაშია გართული, მისი მაგიერობა უნდა გასწიოს მისმა ამხანაგმა, ან მისმა მოადგილემ, ან გამგეობის ერთ-ერთმა წევრთაგანმა, გამგეობის მიერ არჩეულმა.

38. ქალაქის მოურავს და ქალაქის გამგეობას, ამა გამგეობასთან დაარსებულ საზოგადოებრივ მართველობის, აღმასრულებელ დაწესებულებებთან ერთად, ევალება მართვა და გამგეობა ქალაქის მეურნეობისა ამა დებულების წესებისამებრ, ჯეროვან წესდებათა და კანონდებულებათა და აკრეთვე საბჭოს დადგენილებათა თანახმად.

39. გამგეობა ვალდებულია შედგენილი პქონდეს ქალაქის ყოველ ქონიების სია; ქალაქის მართველობის და მეურნეობის მიმღინარე საქმეები აწარმოოს; ამ მეურნეობის განკარგების საშუალებანი იძიოს; საბჭოს და დგენილებანი აღასრულოს, საბჭოს საჭირო ცნობები მიაწოდოს და აგრეთვი აუწყოს, მათის მოთხოვნილებისამებრ, სხვა-დასხვა დაწესებულებას მათ მიერ მოსამარაგებელ საგნებზედ არსებული ფასები; ქალაქის შემოსავლისა და ხარჯის სავარაუდო აღრიცხვა შეადგინოს; ქალაქის სასარგებლოდ დადგენილი გარდასახადი შეპკრიბოს და პხარჯოს იგი კანონით დაწესებულ და ჯეროვან წესით შემდგარ საბჭოს დადგენილებათა საფუძველთა თანახმად; ქალაქის ქონებრივ საქმეების გამო სასამართლოში ეძიოს და პასუხი იგოს; საბჭოს ნებართვით დაადგინოს წესები და ვადა მისდა ქვემდებარე პირთა და დაწესებულებათა ანგარიშისა, რევიზია გაუწიოს ამ ანგარიშს და საბჭოს ანგარიშები წარუდგინოს:

1) თავისის მოქმედებისა,

2) ქალაქის შემოსავალ-გასავლის ავკარგიანობისა და

3) მის ქვემდებარე ნაწილებისა, დაწესებულებათა და ქონების მდგომარეობისა.

40. გამგეობას აქვს დავალებული ქალაქის კერძო შენობათა და ამ შენობათა გარესახის გეგმათა დამტკიცება და ნება-რთვის მიცემა შენობების გაღაეთებისა და საფუძვლიანად შესწორებისა; ამ შენობათა აგების წესიერად წარმოების მეთვალყურეობა; ნება-რთვის მიცემა, რომ ქალაქში გამართულ იქმნას საზოგადოებრივი საბანებლები, ქარხნები და სხვა ისეთი სამრეწველო დაწესებულებანი, რომელთა გამართვა დაუბრკოლებლად შეიძლება დასახლებულ ადგილებში თავისის უვნებლობისა გამო.

შენიშვნა. იმ დაწესებულებათა სია, რომელთა დაარსება ამა მუხლის ძალით საზოგადოებრივ მართველობის ხელისუფლებას აღემატება, უნდა გამოსცეს შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯეროვან უწყებასთან შეთანხმებით.

41. საბჭოს ინსტრუქციით უნდა იქმნას დადგენილი (მე-13 მუხ. მე-3: პუნქტი) გამგეობის შინაგანი წეს-რიგი და აგრეთვე მის მიერვე იყოს აღნიშნული ის საქმეები, რომელიც გამგეობამ ერთობილად უნდა განიხილოს. გამგეობის მოვალეობანი უნდა განაწილებულ იქმნას მის წევრთა შორის თვით გამგეობისავე დადგენილებით, რომელიც საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

42. ის საქმეები, რომელიც გამგეობის საკრებულოს მიერ ერთობილად არის განსახილველი, ხმის უმეტესობით უნდა გადასწყდეს, ხოლო თუ ხმათა რიცხვი თანაბარია, ის მხარე სძლევს, რომელსაც თავმჯდომარე ემხრობა. ისეთს შემოხვევაში, როდესაც დახანება არ შეიძლება, ქალაქის მოურავს უფლება აქვს თვით მიიღოს ლონისძიებანი, რომელთა მიღება ქალაქის გამგეობის საკრებულოს განსასჯელ საგანს შეადგენს, ხოლო თავისი ნამოქმედარი პირველსავე შემდგარ სხდომაზედ უნდა აცნობოს გამგეობას.

